669
1969

# დროშა

№ 2 თებერვალი 1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა





# ასე ულოცავდა ლენინი

„გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“, ასე ულოცავდა ვ. ი. ლენინი საქართველოს მშრომელებს ორმოცდარვა წლის წინ, იმ დღეებში, როცა თბილისის თავზე აფრიალდა თავისუფლების მზიური დროშა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, თვალს ავლებენ რა განვლილ ათეულ წლებს, ამაყობენ თავიანთი სახელოვანი წარმატებებით და მიღწევებით, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ ლენინის დიადი პარტიის მეთაურობით; განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ოქტომბრის რევოლუციის საქმემ ყოველმხრივი ისტორიული შემოწმება გაიარა, ცხადყო თავისი უძლეველობა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების წარუვალი მნიშვნელობა, მათი დამრაზმველი, შთამაგონებელი ძალა, რომელმაც შეაძლებინა ადამიანებს უმოკლეს ისტორიულ ვადაში თვალუწვდენელ სიმაღლეებზე აეყვანათ თავიანთი სამშობლო. და საბჭოთა საქართველოს მშრომელები გამსჭვალულნი არიან უდიდესი მადლიერებითა და უსაზღვრო სიყვარულით კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც მიუძღვის წინ ჩვენს ხალხს უფრო ნათელი მომავლისაკენ, კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

დიდმა ოქტომბერმა ქართველ ხალხს მოუტანა ყველა სიკეთე, რაზედაც ოცნებობდნენ, რისთვისაც იბრძოდნენ მთელი თაობები; საქართველოს სახელი ახლა ამაყად ისმის მთელ მსოფლიოში. ესაა უაღრესად განვითარებული მძიმე და მსუბუქი მრეწველობის, მექანიზებული სოფლის მეურნეობის და მაღალი კულტურის ქვეყანა.

ჰყვავის და იფურჩქნება დიდი და დიდებული ქართული კულტურა; საბჭოთა ეპოქამ უფართოესი გასაქანი მისცა ხალხის წიაღში დაბადებულ ტალანტებს.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები მუდამ ერთად ზეიმობენ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმიის დაბადების თარიღებს.

საბჭოთა არმია, მუდამ მზადმყოფი ჩვენი დიადი სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერების დასაცავად, დაიბადა ორმოცდათერთმეტი წლის წინ და მთელი ამ ხნის მანძილზე სამარადისო დიდების შარავანდედით შემოსა თავისი საბრძოლო დროშები. სამოქალაქო ომის ფრონტები, ხასანისა და ხალხინ-გოლის ბრძოლები, და ბოლოს, დიდი სამამულო ომის მანამდე არნახული ეპოპეა, როცა საბჭოთა არმიამ იხსნა მთელი კაცობრიობის მომავალი, მოსკოვის, კავკასიის, სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლები, განმათავისუფლებელი მარში ევროპაში და ბერლინის თავზე აფრიალებული გამარჯვების დროშა — აი მოკლედ ჩამოთვლილი ყველაზე მთავარი ეტაპები იმ უბადლო, დიდებით მოსილი გზისა, რომელიც ჩვენმა ძლევამოსილმა შეიარაღებულმა ძალებმა განვლეს 1918 წლიდან 1969 წლამდე.

დღეს საბჭოთა არმია მთელ მსოფლიოში მშვიდობის უძლეველი ბურჯია. იგი საიმედოდ იცავს ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომას, დიდი ოქტომბრის მონაპოვარს.

დიდება საბჭოთა არმიას, ოქტომბრის სახელოვან და სასიქადულო პირმშოს!



სურათებზე: ზემოთ — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში; ქვემოთ — სოციალისტური შრომის გმირი, სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ყოჩიაშვილი სტუმრად საბჭოთა მეომრებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოლკოვნიკი
ვლადიმერ ალექსანდრეს ძე
შატალოვი



პოლკოვნიკი
ბორის ვალენტინის ძე
ვოლინოვი



ბორტ-ინჟინერი
ალექსი სტანისლავის ძე
ელისეევი

10.925



ინჟინერ-მკვლევარი
ევგენი ვასილის ძე
ხრუნოვი

# პირველად მსოფლიოში

არასოდეს, არც ერთი ეპოქა არ ყოფილა სავსე ისეთი საოცრებებით, როგორც ჩვენი მშფოთვარე საუკუნეა. ადამიანის გონებამ თამამად შეაღო კოსმოსური უსაზღვროების კარი და თავის პირველ ვაჟკაცურ ნაბიჯებს დგამს ვარსკვლავთა ფანტასტიკურ სამყაროში.

მიმდინარე წლის დასაწყისში მთელი მსოფლიო კვლავ განცვიფრებაში მოიყვანა საბჭოთა ადამიანების ახალმა კოსმოსურმა გმირობამ.

1969 წლის 14 იანვარს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილ იქნა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-4“, რომელსაც მართავდა საბჭოთა კავშირის მოქალაქე, კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი.

მეორე დღეს, 15 იანვარს იმავე ორბიტაზე გავიდა მეორე კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“, რომელშიც იმყოფებოდნენ კოსმონავტები — ხომალდის მეთაური პოლკოვნიკი ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვი, ბორტ-ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე სტანისლავის ძე ელისეევი და ინჟინერ-მკვლევარი პოლკოვნიკი ევგენი ვასილის-ძე ხრუნოვი.

და აი, 1969 წლის 16 იანვარს, 11 სათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით წარმატებით განხორციელდა კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-4“-სა და „სოიუზ-5“-ის ხელით შეპირაპირება; ამრიგად, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე აწყობილ იქნა და ამუშავდა მსოფლიოში პირველი ექსპერიმენტული კოსმოსური სადგური, რომელსაც ჰქონდა ოთხი ნაკვეთური ეკიპაჟისათვის, რაც უზრუნველყოფს ექსპერიმენტებისა და კვლევის დიდი კომპლექსის შესრულებას, აგრეთვე მუშაობისა და დასვენების კომფორტულ პირობებს. სადგურში მის ნაკვეთურებს შორის დამყარებული იყო სატელეფონო კავშირი.

იმავე დღეს კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟებმა განახორციელეს ახალი შესანიშნავი ექსპერიმენტი კოსმოსურ სივრცეში.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟის წევრებმა, კოსმონავტმა მფრინავებმა ე. ხრუნოვმა და ა. ელისეევმა ჩაიცვეს სკაფანდრები და ორბიტალური ნაკვეთურის ლუკით კოსმოსურ სივრცეში გავიდნენ. კოსმოსურ სივრცეში მთელი რიგი მეცნიერული ექსპერიმენტების და დაკვირვებების განხორციელების შემდეგ ა. ელისეევი და ე. ხრუნოვი გადავიდნენ კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის ორბიტალურ ნაკვეთში, გაიხადეს სკაფანდრები და დაიკავეს ახალი სამუშაო ადგილები ხომალდის მეთაურის კოსმონავტი მფრინავის ე. შატალოვის გვერდით.

მსოფლიოში პირველად დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე განხორციელდა ორი კოსმონავტის გადასვლა ერთი ხომალდიდან მეორეში.

ამ ექსპერიმენტს მეტად დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კოსმოსური ნავიგაციისათვის. იგი ქმნის წინამძღვრებს კოსმოსში ისეთი ოპერაციების შესასრულებლად, როგორიც არის ხანგრძლივი ორბიტალური სადგურების ეკიპაჟების შეცვლა ან საავარიო სიტუაციებში კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟების გადარჩენა.

საბჭოთა კოსმოკური ხომალდების „სოიუზ“-4-ის და „სოიუზ-5“-ის ეს დიდებული ექსპერიმენტი უზრუნველყოფს შორეულ კოსმოსურ სივრცეებში გაფრენილი კოსმონავტების კიდევ უფრო გულდაჯერებულ ფრენას და მუშაობას.

ეს არის კიდევ ერთი უდიდესი გამარჯვება საბჭოთა მეცნიერული აზრისა და ბრწყინვალე დადასტურება საბჭოთა ადამიანის სიმამაცისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 2 (387) თებერვალი, 1969 წ.

გამოცემის წელი 47-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნსუქულელ ოსტატთა საჩუქარი

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალს გასულ წელს შეემატა შესანიშნავი ექსპოზიცია. ვ. ი. ლენინის დაბადების 98 წლისთავის დღეს, 22 აპრილს, გაიხსნა ჩვენი პარტიის ბელადისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურის კრემლის სამუშაო კაბინეტის ნატურალური ასლი.

თბილისის ფილიალის კაბინეტში წარმოდგენილია ყველა იმ ნივთისა და ინვენტარის ასლი, რაც კრემლის კაბინეტში მოიპოვება. არ გვქონდა მხოლოდ დაღესტნელი მშრომელების მიერ 1921 წელს ბელადისათვის საჩუქრად მირთმეული საწერი მოწყობილობა, შესრულებული უნსუქულელი ხალხური ოსტატების — მაჰომედ ქებედოვისა და ნურმაჰომედ ხანბუდაევის მიერ.

დღეს ჩვენ ამ საწერი მოწყობილობის ასლიც გვაქვს.

შარშან, აპრილში, „პრავდაში" დაიბეჭდა კორესპონდენცია დაღესტნელთა მიერ ლენინისათვის მიძღვნილი ამ საჩუქრის შესახებ, საიდანაც გავიგეთ, რომ ზემოხსენებული ორი ოსტატიდან ერთი — ნურმაჰომედ ხანბუდაევი ცოცხალი ყოფილა. ჩვენ გადავწყვიტეთ გვეთხოვა მისთვის, თუ შესძლებდა, გაემეორებინა თავისი 47 წლის წინანდელი ნახელავი, მივწერეთ პარტიის უნსუქულის რაიკომის მდივანს ჩვენი განზრახვა და ვთხოვეთ, დაგვხმარებოდა; რაიკომის მდივანი მაჰომედ გიმბათოვი გულისხმიერად მოეკიდა ჩვენს თხოვნას, გვიპასუხა, რომ მოიხმო მოხუცი ოსტატი და სთხოვა დაემზადებინა ჩვენი ფილიალისათვის ლენინის საჩუქრის ასლი. ოსტატი, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა (იგი ახლა 87 წლისაა), სიამოვნებით შეხვდა ქართველი მოძმეების სურვილს.

— მე ახლა აღარც თვალი მიჭრის და აღარც მაჯა მემორჩილება ისე, რომ შევძლო ამ უსათუთესი სამუშაოს შესრულება, მაგრამ არიან ჩვენი ხელობის ახალგაზრდა გამგრძელებლები. კერძოდ, ჩვენი დაუვიწყარი მეგობრის მაჰომედ ქებედოვის მოწაფე მაჰომედ აბდულ-ჰაჯიევი, რომლებიც შესძლებენ გაიმეორონ ჩვენი ნახელავი ჩემი ზედამხედველობით. მხოლოდ დამჭირდება ერთხელ კიდევ შევხედო ნივთებს, რათა აღვიდგინო მათი ქარაგმა და გადავიღო ფოტოსურათი, მოგეხსენებათ, თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო, ბევრი რამ აღარ მახსოვს — ეთქვა ნურმაჰომედს.

უნსუქულში შეიქმნა სპეციალური ბრიგადა მაჰომედ აბდულ-ჰაჯიევის მეთაურობით, რომელიც შეუდგა საქმეს მოხუცი ოსტატის ხანბუდაევის ზედამხედველობით. სამუშაოს საერთო მეთვალყურეობას უწევდა სამხატვრო ფაბრიკის დირექტორი იდრის აბდულაევი. და აი, გასული წლის 30 ნოემბერს უნსუქულიდან მივიღეთ დეპეშა — საჩუქრის ასლი მზად არის, 3 დეკემბერს მიგვაქვს მოსკოვში, კრემლში, ორიგინალთან შესადარებლად და გთხოვთ თქვენც დაგვესწროთ და, თუ შენიშვნა არ იქნება, ჩაიბაროთ ავარიელთა ხალხური ხელოვნების ეს ნახელავიო.

4 დეკემბერი... მოსკოვი... კრემლი... ვ. ი. ლენინის კაბინეტი.

დილი[illegible] 11 საათზე, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ამ სანუკვარ ოთახში ჩვენ პირველად შევხვდით დაღესტნელ ოსტატებს; აქვე იყვნენ ამ ამბით დაინტერესებული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებიც.

აბდულ-ჰაჯიევი ლენინის სამუშაო მაგიდაზე ალაგებს 47 წლის წინათ ლენინისათვის მირთმეული საჩუქრის ასლებს. საჩუქარი 12 ნაწილისაგან შედგება. ვადარებთ ასლებს და ორიგინალებს. აბსოლუტური მსგავსებაა, ოდნავ სახესხვაობას ვერ ვამჩნევთ, განსაცვიფრებელი ფილიგრანული ნამუშევარია. რაოდენი ენერგია დაუხარჯავთ, რა მომთმენლობით უმუშავნიათ ხელმარჯვე უნსუქულელ ოსტატებს, აღტაცებულნი ვულოცავთ მაჰომედ აბდულ-ჰაჯიევსა და იდრის აბდულაევს დიდ წარმატებას, ვუსურვებთ ავარიელ მოძმეებს, არ დაივიწყონ ეს დიდი მომხიბლავი ხელოვნება, რითაც ისინი ოდითვე ნაქებნი იყვნენ, და უფრო განავითარონ იგი.

— ეს ჩვენი მონდომება იმითაც უნდა აიხსნას, ამხანაგებო, რომ ვიცოდით ამ ნივთს ჩვენი ძვირფასი მეზობლებისა და მეგობრების, საქართველოს მშრომელებისათვის ვაკეთებდით, ამიტომაც ცოდნა, ცდა და უნარი არ დაგვიკლიაო, — ღიმილით გვიპასუხა მაჰომედ აბდულ-ჰაჯიევმა.

ცნობილია, რომ ეს საჩუქარი 47 წლის წინათ მოსკოვში ჩაიტანა დაღესტნის მშრომელთა დელეგაციამ — დ. ქორქმასოვის, მ. ხიზროევისა და და ა. თახო-გოდის შემადგენლობით. დელეგაცია 1921 წლის 12 თებერვალს მიიღო ვლადიმერ ილიას-ძემ კრემლში.

აი ერთი ადგილი ალიბეკ თახო-გოდის მოგონებიდან:

— როცა ჩვენ ის საჩუქრები საწერ მაგიდაზე დავალაგეთ, ლენინი მოიხიბლა მათი ხილვით, ესიყვარულებოდა, აღტაცებას გამოთქვამდა ავარიელი ოსტატების ხელოვნებით, გვთხოვა — დაეხმარეთ მათ, რომ ეს ოსტატობა დავიწყებას არ მისცენ, შეინარჩუნონ. საჩუქრის მიღებაზე კი უარი გვითხრა — მარტო მე რატომ უნდა ვტკბებოდე მისი სიმშვენიერით, დაე ყველამ იხილოს, მუზეუმს უნდა გადაეცესო, — გვითხრა. ჩვენ მაინც დავიყოლიეთ თავისთან დაეტოვებინა საჩუქარი, დავპირდით, რომ მუზეუმისათვის სხვას გავაკეთებდით.

ასე შემორჩა დაღესტნელთა ეს საჩუქარი ვ. ი. ლენინის კაბინეტს კრემლში, რომელსაც ღრმა ინტერესით ათვალიერებს ყოველი აქ მოსული ექსკურსანტი; ხოლო იმ დაპირების განხორციელება, რომელიც დაღესტნელთა დელეგაციამ აღუთქვა საყვარელ ბელადს — მუზეუმისათვის სხვა ექსპონატს დავამზადებთო, გასულ წელს განხორციელდა. ეს ექსპონატი ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალისათვის დაამზადეს უნსუქულელი ოსტატების ოქროს ხელებმა და ახლა ექსპონირებულია ყველას სანახავად.

* * *

და ბოლოს, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მთელ ამ ამბავს, იმ საჩუქარს, რომელიც დაღესტნელმა ოსტატებმა თბილისელებს გამოუგზავნეს, თავისი სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. უნსუქული, ანუ როგორც ძველი ქართველები ეძახდნენ ოსოქოლა, ხომ სწორედ ის აულია, სადაც ტყვედ იყო ჩვენი დიდი მგოსანი დავით გურამიშვილი... სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას მტრობა და შუღლი ხალხებს შორის და ხალხთა ამ დაძმობილების, მათი მეგობრობის იდეას ლენინის გენიამ შეასხა ხორცი. დღეს ოსოქოლა საჩუქარს უგზავნის თბილისს და ეს ფაქტიც ჩვენს ძმობასა და სიყვარულზე მეტყველებს.

**ანტონ კალენჯერიძე,**
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.











# ჭეშმარიტად სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ბოლო წლების მანძილზე უდიდესი წარმატებები მოიპოვა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. ამ ისტორიულ მიღწევებში საგრძნობი წვლილი შეიტანეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, ამ ჭეშმარიტად სახალხო ორგანოებმა, რომლებიც უოველდღიურად აუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას, ეძიებენ შემოქმედებით-ორგანიზატორული საქმიანობის ახალ ფორმებს და იყენებენ პრაქტიკულ ცხოვრებაში.

ამჟამად, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, კიდევ უფრო იზრდება საბჭოების, როგორც ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო ორგანოების, ხალხის ყოვლისმომცველი ორგანიზაციების, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლის როლი და მნიშვნელობა. გამოხატავენ რა მილიონობით მშრომელთა ნება-სურვილს, საბჭოები წარმოადგენენ მილიონთა საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთ სკოლას, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობას. ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს მართვაში მოსახლეობის ჩაბმის ყველაზე მასობრივ ფორმას. საბჭოები — სახალხო თვითმმართველობის ორგანოებია. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოებში არჩეულია ორ მილიონზე მეტი მშრომელი, რომლებიც 150 მილიონი ამომრჩევლის წარმომადგენლები არიან და მათ ნება-სურვილს გამოხატავენ; სამ მილიონამდე მოქალაქე მონაწილეობს საბჭოებთან შექმნილ მრავალრიცხოვან მუდმივმოქმედ კომისიებში, ხოლო საბჭოების აქტივს შეადგენს 20 მილიონზე მეტი ადამიანი. საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისა, ახალი ძალების მიზიდვისათვის, იმისათვის, რომ სახელმწიფოს მართვის სკოლა გაიაროს მილიონობით ახალმა მშრომელმა, ყოველ არჩევნებში ხდება საბჭოების დეპუტატების შემადგენლობის განახლება, სულ მცირე ერთი მესამედით მაინც.

სწორედ ესაა ჭეშმარიტად სახალხო მმართველობა, ფაქტიური დემოკრატია, ნამდვილი დემოკრატია.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მშრომელთა მასებს შორის, მთელ ხალხთან მჭიდრო და მუდმივი კავშირის განხორციელების სფეროში თვალსაჩინო როლს ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიები, რომლებიც აერთიანებენ დეპუტატების უმრავლესობას. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე შექმნილ 14 მუდმივმოქმედ კომისიაში არჩეულ იქნა 310 დეპუტატი, ანუ დეპუტატთა საერთო რიცხვის 72,5 პროცენტი.

მუდმივი კომისიები, როგორც უმაღლესი საბჭოს დამხმარე ორგანოები, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან და დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. ისინი პერიოდულად სწავლობენ და თავიანთ სხდომებზე იხილავენ სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის საკითხებს, აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის მიერ განსახილველი საკითხების მომზადებაში, იმუშავებენ კანონპროექტებს, ხელს უწყობენ საქართველოს სსრ კანონებისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, კონტროლს უწევენ თუ როგორ სრულდება ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში საბჭოთა კანონები.

კომისიების და მათში გაერთიანებული დეპუტატების აქტიურ საქმიანობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვაში, რომელიც სესიამ უკვე დაამტკიცა, ყველა კომისიამ მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობას ამ ბოლო ხანებამდე აწესრიგებდა უმაღლესი საბჭოს მიერ ადრე დამტკიცებული დებულება, რომელიც გამოიცა 1959 წელს და განსაზღვრავდა ცალკეული კომისიების უფლება-მოვალეობებს. მაგრამ ეს დებულება დროთა განმავლობაში ნაწილობრივ მოძველდა. მუდმივი კომისიების მუშაობის პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ იგი საჭიროებს არსებით გადამუშავებას. მუდმივი კომისიების ახალი დებულების პროექტს საფუძვლად დაედო პარტიის პროგრამა, XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულება, რომელიც მიღებულ იქნა 1967 წლის ოქტომბერში. გამოყენებულ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დღემდე მოქმედი დებულების ზოგიერთი ნორმა.

ახალი დებულების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებმა, მუდმივმა კომისიებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დეპუტატებმა. და ბოლოს, ახალი დებულება განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

დებულების პროექტი შედგება 4 კარისა და 88 მუხლისაგან. პროექტი მუდმივ კომისიებს ახასიათებს, როგორც უმაღლესი საბჭოს დამხმარე ორგანოებს, რომელთა ამოცანაა წინასწარ მოამზადონ და განიხილონ საკითხები, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში; დებულებით კომისიებს დავალებული აქვთ აქტიურად შეუწყონ ხელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების განხორციელებას.

რით განსხვავდება ახალი დებულება დღემდე მოქმედი დებულებისაგან? ძველი დებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში არ შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წევრები; ახალი დებულების შესაბამისად, მუდმივი კომისიების შემადგენლობაში, მათს გარდა, არ აირჩევიან აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები და რესპუბლიკის პროკურორი.

ძველი დებულებით მუდმივი კომისიების წინადადებებს მაშინ ეძლეოდა ძალა და შეიძლებოდა მათი ცხოვრებაში გატარება, როცა მათ დაამტკიცებდა უმაღლესი საბჭო, ან როცა მიღებული იქნებოდა პრეზიდიუმის ან მინისტრთა საბჭოს დადგენილება; ახალი დებულება აწესებს, რომ კომისიების რეკომენდაციები და წინადადებები აუცილებლად უნდა განიხილონ სამინისტროებმა, უწყებებმა და სხვა სახელმწიფო ორგანოებმა და ორგანიზაციებმა. ამასთან, განხილვის შედეგების და მიღებული ზომების შესახებ ერთი თვის ან კომისიის მიერ დაწესებულ ვადაში უნდა ეცნობოს მუდმივ კომისიას.

წინანდელი დებულება ითვალისწინებდა, რომ კომისიის თავმჯდომარე და წევრები კომისიების მუშაობის დროს თავისუფლდებოდნენ ძირითადი სამუშაოდან. ახალი დებულება ამასთან ერთად ითვალისწინებს, რომ კომისიის წევრები ძირითადი სამუშაოდან თავისუფლდებიან (ხელფასის შენარჩუნებით) არა მარტო კომისიების მუშაობის დროს, არამედ კომისიის დავალებათა შესრულების დროსაც.

ძველი დებულებით მუდმივი კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლებოდა, თუ მას ესწრებოდა კომისიის შემადგენლობის ორი მესამედი, ახლის თანახმად სხდომა შეიძლება ჩატარდეს, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა.

ახალ დებულებაში არის ბევრი ისეთი ნორმა, რომლებსაც წინანდელი დებულება არ ითვალისწინებდა.

ასე, მაგალითად, თანახმად ახალი დებულებისა, მუდმივი კომისიების საქმიანობის კოორდინაციას, სესიებს შორის პერიოდში, ახდენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

დებულება ასახავს და განამტკიცებს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს კომისიების მუშაობის უკვე ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ მეთოდებს — კოლეგიალობას, საჯარო განხილვას, საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმას, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მუდმივი კომისიების ორგანიზაციისა და საქმიანობისათვის.

კონსტიტუციით მუდმივ კომისიებს აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ეს კონსტიტუციური პრინციპი კიდევ ერთხელაა ხაზგასმული კომისიების ახალ დებულებაში. დებულების თანახმად, კომისიები ამზადებენ საქართველოს სსრ კანონების პროექტებს, ამუშავებენ წინადადებებს სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების განვითარების საკითხებზე და მათ განსახილველად წარუდგენენ უმაღლეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმს.

როგორც აღინიშნა, დებულების ახალი პროექტი შედგება ოთხი განყოფილებისაგან.

პირველ განყოფილებაში განსაზღვრულია მუდმივი კომისიების საქმიანობის საერთო პრინციპები და შექმნის წესი; აქ აღნიშნულია, რომ მუდმივი კომისიები ამზადებენ კანონპროექტებს, აგრეთვე დასკვნებს უმაღლეს საბჭოში სხვა ორგანოების მიერ შეტანილ საკითხებზე, აკონტროლებენ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას იმის თაობაზე, თუ როგორ ახორციელებენ ისინი კონსტიტუციისა, კანონებისა და დადგენილებათა მოთხოვნებს.

დებულებაში ჩამოთვლილია, რომელი კომისიები უნდა შეიქმნას, ამასთან ნათქვამია, აგრეთვე, რომ, თუ საჭიროა, შეიძლება შეიქმნას სხვა მუდმივი კომისიებიც. განსაზღვრულია მუდმივი კომისიების არჩევის წესი და რწმუნებათა ვადა. კომისიების რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს უმაღლესი საბჭო.

კონსტიტუციიდან გამომდინარე დებულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული,

რომ მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან უმაღლესი საბჭოს წინაშე. იგი ითვალისწინებს, რომ მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ კონსტიტუციით და სხვა კანონებით, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებით და ბრძანებულებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

დებულების მეორე განყოფილება აწესებს მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხებს. აქ კონკრეტულადაა ჩამოთვლილი ცალკეული კომისიების ამოცანები.

უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ურთიერთშორის. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია, რომ კომისიები ერთობლივად იხილავდნენ მონათესავე დარგების საკითხებს; მათ შეუძლიათ სთხოვონ სხვა კომისიებს თავიანთი აზრი ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ.

დებულების მესამე განყოფილება აწესებს კომისიების უფლება-მოვალეობებს. აქ აღნიშნულია, რომ მათ თანაბარი უფლებები აქვთ და თანაბარი მოვალეობანი აკისრიათ, შეუძლიათ გამოვიდნენ მოხსენებებითა და თანამოხსენებებით უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მათ კომპეტენციაში შედის, უფლება აქვთ გამოიყვანონ თავიანთი მომხსენებლები და თანამომხსენებლები.

კომისიებს შეუძლიათ წინადადებები შეიტანონ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის წინაშე რომელიმე კანონპროექტის ან სხვა რესპუბლიკური მნიშვნელობის საკითხის საერთო-სახალხო განსახილველად გადაცემის თაობაზე.

ამიერიდან საკანონმდებლო წესით მტკიცდება კომისიების უფლება, მოუსმინონ საქართველოს სსრ მთავრობის, სამინისტროების, უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საერთო-საკავშირო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს; კომისიებს უფლება ეძლევათ წინასწარ მოსთხოვონ ამ ორგანიზაციებს საჭირო დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები და სხვა მასალები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ დებულებაში გამოხატულებას პოულობს პარტიის XXIII ყრილობის მითითებანი სამინისტროების და უწყებების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ კომისიების რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების შესრულებისათვის.

დებულებაში აღნიშნულია, რომ კომისიები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს და უგზავნიან სამინისტროებს, უწყებებს, სხვა რესპუბლიკურ ორგანიზაციებს, აგრეთვე ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებს. კომისიებს უფლება აქვთ თავიანთი წინადადება წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე შეკითხვით მიმართონ მთავრობას ან მთავრობის ცალკეულ წევრს.

მუდმივ კომისიას უფლება ენიჭება თავის მუშაობაში ჩააბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ის დეპუტატებიც, რომლებიც კომისიის შემადგენლობაში არ შედიან, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ მუდმივი კომისიების ნაყოფიერი საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მათ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს კომისიის ყველა წევრი-დეპუტატი. ახალ დებულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კომისიის წევრები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიის სხდომებში და შეასრულონ მისი დავალებანი.

დებულების მეოთხე განყოფილება განსაზღვრავს მუდმივი კომისიების მუშაობის, მათი მოწვევისა და სხდომების ჩატარების წესს, კომისიების სხდომების ჩატარების ვადებს, გადაწყვეტილებათა მიღების, კომისიების მუშაობაში სამინისტროების, უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა, სპეციალისტთა, მეცნიერთა მონაწილეობის და ქვეკომისიებისა და მუშაჯგუფების შექმნის წესს. ამავე განყოფილებაშია მითითებული მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა ფუნქციები.

მუდმივმოქმედ კომისიების ახალ დებულებაში ასახულია საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების თანამედროვე დონე. იგი შემუშავებულია საბჭოების ბოლოდროინდელი პრაქტიკის გათვალისწინებით. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მიღება ხელს შეუწყობს მუდმივი კომისიების როლის შემდგომ გაზრდას, მათი საქმიანობის სრულყოფას, დეპუტატების აქტივობის გაძლიერებას და მთლიანად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დონის ამაღლებას.

ა. ქართველიშვილი

გეორგ მაურერი

# დღეს დაბადებულთ

პოეტი, მთარგმნელი და ესეისტი გ. მაურერი მნიშვნელოვანი ფიგურაა სოციალისტური გერმანიის ლიტერატურაში. თუ მისი ადრინდელი ლექსები „მარადიული ხმები“ (1936) და „დროის სიმღერები“ (1948) ჯერ კიდევ ქრისტიანულ-მეტაფიზიკური იდეებით იყო გამსჭვალული, შემდეგდროინდელ ნაწარმოებებში — „42 სონეტი“ (1950 წ.) და „ელემენტები“ (1958 წ.) იგი დგება სოციალიზმის პოზიციებზე და დამაჯერებლად ასახავს ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

1961 წელს გეორგ მაურერს იოჰანეს ბეჰერის პრემია მიენიჭა.

1.

დაბადებულნიც
და ვინც ჯერ არ დაბადებულან,
ჯერ კიდევ დედის სხეულში რომ დაფაჩუნებენ, —
ჩვენ რომ მოვუხმობთ, ეს იმიტომ მოდიან ქვეყნად
და არა თავის სურვილით და თავისი ნებით.
წიგნის ყდასა ჰგავს გადასაშლელს თვალები მათი,
გადაშლიან და, ანბანას დაუფლებულნი,
თავისი ხელით შეიტანენ გადაშლილ წიგნში
ნაირფეროვან ისტორიას თავისი ყოფის.
ვიდრე აკვნებში იცინიან, ანდა ტირიან,
გრიგალი ფურცლავს წიგნს და თქმული ყველა სიტყვისთვის
მათი დედები და მამები აგებენ პასუხს;
ჩვენ ვაგებთ პასუხს,
პასუხს ვაგებთ ყველა სიტყვისთვის,
რადგან ისინი გაოცებით გვეკითხებიან:
„რად მოგვიხმეთო, თუ მკვლელობა ეწერა აკვნებს,
თუ საფრთხის ნიშნებს ალმართავდით მოწამლულ ზღვაზე?
ჩვენს სხეულზე რომ დამდნარიყო ჩუქურთმის მსგავსად,
ნუთუ იმისთვის გვიქსოვდითო ცისფერ პერანგებს?“.
რაკი საშინლად აისვეტა თეთრი ღრუბელი,
რაკი სიკვდილმა ფრთოსანს ფრთები დააკეცია,
რაკი ფილაქანს, მოწამლული ყვავილებივით,
მინერალები საწამლავებს ანთხევენ თავზე, —
დილის ნათელის დანახვას ვინც ვერ მოასწრებენ,
გვეკითხებიან: „ტყეს ზღაპარში რად ჰქვია მწვანე,
როცა მოხუცის სახის მსგავსად ფერწასულია...
ანდა პრინცესას რათ ჰკოცნისო პრინცი ტუჩებში,
მათ ხომ სიცოცხლის ნიშანწყალი არ აქვთ სრულიად?!“

2.

მაგრამ დედებო და მამებო, ჯერ ჩვენი ზღვები
გამჭვირვალეა,
განიბანეთ, თუ გაქვთ სურვილი,
თქვენი თვალები გაანათებს დაბინდულ ტყეებს
და განთიადი, შემომდგარი ხეების თავზე,
შეყვარებულებს უფრო ჩუმად აჩურჩულებს.
არხების თავზე იფარფატებს დილით ნიავი,
და გაზაფხულის სუნთქვისაგან ღია ფანჯრებზე
დიდი ფარდები აფრასავით გაიშლებიან...
მაგრამ მტვრიანი ქარიშხალი, მზისგან დევნილი,
ცათამბჯენების და ტაძრების დამამსხვრეველი,
აისზე ადრე მოვლენილი, თუ ფარდებს ასწევს,
თვალისმომჭრელი ელვარებით ანთებულ კედლებს
ჩვენი ლანდები ჩვენზე უფრო დიდხანს შერჩება.
და არაფერი არ დარჩება გადასარჩენი!..
რომ არაფერი არ დარჩება — მილიონერებს
კარგად ესმით და... მივარდნილი ქოხმახებისთვის
ალპებში მწყემსებს სთავაზობენ უმაღლეს ფასებს;
შემდეგ თავისი სიმაღლისას თხრიან სოროებს,
რომ გადაურჩნენ, ვირთხებივით დამალულები,
თავისი ხელით მომზადებულ მსოფლიო წარღვნას...
მაგრამ მამშვიდებს ჰაილბრონის ტყისმჭრელთა საქმე:
მათ ნაჯახები აღუმართავთ არა ხეებზე,
არამედ მათზე, ვინც ცდილა ტყის განადგურებას —
რაკეტებისთვის მოედნების მოსამზადებლად.
ნაჯახით წერდნენ ტყისმჭრელები მშვიდობის ანბანს.
და თქვენ, ახლა რომ დაიბადეთ ამ ქვეყანაზე,
დადგება დრო და წაიკითხავთ დიდი ხალისით
თქვენი დედების ათრთოლებულ ხელისმოწერას,
რადგან მათ შეძლეს და განაგრძეს სიცოცხლის წიგნი.

გერმანულიდან თარგმნეს ვაჟა ჟუზუსიძემ და
დავით დავლიანიძემ.





უბნის ოსტატი ე. ზუბიაშვილი და ამწყობი ზეინკალი ს. გოგიშვილი.

არ დააყოვნა, ადგილზე საქმის გასაცნობად თავისი მუშაკები გამოგზავნა. ისინიც გაეცვნენ და ჩარხმშენებლებს ცივი წყალი გადაასხეს.

— საამქროში მუშაობა უნდა შეწყდეს, — განაცხადეს მათ, — ისე ვერავითარ სამუშაოს ვერ ჩავატარებთ, ვერც იმ ღუმელებს შეგიცვლით, ვერც საძირკვლებს გაგიმართავთ ჩარხებისთვის.

ჩარხმშენებლები შეცბუნდნენ. საამქრომ მუშაობა შეწყვიტოსო?! კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა რომელიმე არტელის სახელოსნო ხომ არ ჰგონიათ ამ დალოცვილებს! გააჩერებ ერთ საამქროს და გაჩერდება მთელი ქარხანა. ეს კი არ შეიძლება. რამდენ ქვეყანას ეგზავნება ამ ქარხნის პროდუქცია — ინგლისს, იტალიას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ავსტრიას, ბულგარეთს... შეკვეთები შეკვეთებზე მოდის.

ქარხნის დირექტორმა შალვა ჩიქოვანმა წარბი შეიკრა. სტუმრებს არაფრის გაგონება არ სურდათ. არც დირექტორის მოადგილის პავლე ჩიგოგიძის საბუთიანი ლაპარაკი იღეს ყურად, არც მთავარი ინჟინრის მიხეილ წეროძის შეგონებას დაუჯერეს. რა ვქნათ, სხვაგვარად მუშაობა ჩვენ არ შეგვიძლიაო.

— აი, რა, — მოჰრა შალვამ, — არ გვინდა თქვენი დახმარება! ჩვენ თვითონ მოვუვლით ჩვენს თავს. რა გვაქვს ამდენი სახვეწი! ღუმელებსაც გამოვცვლით და საამქროსაც არ გავაჩერებთ.

ოთახში შეკრებილ ინჟინრებს და ტექნიკოსებს თითქოს ლოდი მოხსნეს მკერდიდანო, ჩვენ თვითონ გავაკეთებთ ყველაფერსო, ერთხმად მისცეს დირექ-

# ჩარხმშენებელთა საზრუნავი

ამწყობი ზეინკლები ვ. პროზოროვი და ო. მურადოვი.



ფოტო ოთარ თურქიასი.

ეს თათბირი სულ არ ჰგავდა ადრინდელ თათბირებს, რომლებიც თითქმის ყოველ დღე იმართებოდა დირექტორის კაბინეტში.

არც ეს ფართო, ნათელი ოთახი მოსწრებოდა ასეთ კამათსა და აზრთა შეხლა-შემოხლას.

ამბავი ასე დაიწყო: აუცილებელი გახდა ქარხნის ცალკეული საამქროების მოდერნიზება, მათი ახლებურად მოწყობა და აღჭურვა. ასე, მაგალითად, სამჭედლო-თერმულ საამქროში საჭირო იყო მაზუთის ძველი ღუმელების მოხსნა და ახლების აგება, ჩარხების დაყენება და მათთვის საძირკვლების გამართვა. ამიტომ დახმარებისათვის მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტს მიმართეს. ტრესტმაც



კონსტრუქტორები ა. მაკაროვი და ლ. სამარჩიანი.



მთავარი ინჟინერი მ. წეროძე, საამქროს უფროსი ა. კაშიაშვილი, ამწყობი ზეინკალი ა. შელიუგოვი, მთავარი კონსტრუქტორი პ. აბესაძე.

ტორს დასტური და არანაკლებ გაოცებულ მშენებლებს ნიშნის მოგებით გადახედეს.

ეს ამბავი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა, მაგრამ იმ დლიდან თითქოს რალაც შეიცვალა ქარხანაში. სწორედ იმ დლიდან დაიწყო თანდათან ის ძირეული გარდაქმნა საწარმოო სტრუქტურაში, რომელიც ახლო მომავალში თითქმის სრულებით შეუცვლის სახეს ამ ქარხანას.

უპირველეს ყოვლისა, აქ გასულ წელსვე მოხსნეს მაზუთის ძველი ლუმელები, რომლებიც უმოწყალოდ ჭვარტლავდნენ იქაურობას და გაუშვეს ორი ახალი გამოსალლობი ლუმელი, გამართეს საძირკვლები უროებისათვის და დააყენეს უროები. ყველაფერი ეს მართლაც საკუთარი ხელით გააკეთეს, სხვის დაუხმარებლად.

მერე მექანიკურ-საამწყობო საამქროებს მიუბრუნდნენ.

ჩარხმშენებლები დიდად ზრუნავენ საამქროების კეთილმოწყობაზე. დაიწყეს სამლებრო საამქროდან. ოლროჩოლრო, ჩაშავებული კედლები თეთრი კაფელით მოაპირკეთეს, იატაკზე მოზაიკური ფილები დააგეს, ჭერი და მისი საყრდენები ნათელ, მხიარული ფერებით შეღებეს, ჭერზე დღის სინათლეები დაკიდეს. ფანჯრებთან დეკორატიული მცენარეები დადგეს, ხის ძველი კარიც შეცვალეს და მის მაგივრად მექანიზებული კარი გააკეთეს.

ასეთივე სამუშაოები მიმდინარეობს საიარალო საამქროშიც.

— ბევრს შარშანვე მოვასწრებდით, — გულნაკლულად გვითხრა შალვა ჩიქოვანმა, — მაგრამ ძალიან გვიჭირს მუშახელი. ეს ჩვენი ნომერი პირველი შემფერხებელი მიზეზია. გადაწყვეტილი გვაქვს ამ პრობლემის გადაჭრა ქარხანაში წარმოების პროგრესული მეთოდების დანერგვით, რათა ამის მეოხებით გავანთავისუფლოთ მუშახელი სხვა სამუშაოზე გადასაყვანად.

ქარხანაში ამ მიზნით შეიქმნა ტექნიკური პროგრესის შემოქმედებითი ბრიგადა, რომელსაც შალვა ჩიქოვანი ხელმძღვანელობს. ასეთივე ბრიგადები შეიქმნა საამქროებშიც.

ამ ბრიგადების მიზანია შეარჩიონ როგორც სამამულო, ისე უცხოური მალალწარმადობის ჩარხები, მიიღონ და დანერგონ ქარხანაში, ამასთან ხელი შეუწყონ მუშათა და ინჟინერთა ნოვატორულ-გამომგონებლური აზრის განვითარებას და მის პრაქტიკულად განხორციელებას.

ასეთმა სიახლემ სულ მალე თავისი შედეგიც გამოიღო. მაგალითად, თუ ადრე ჩარხების დგარების მიჯიბთვა ხელით ხდებოდა, რაც დიდ შრომასა და ჯაფას მოითხოვდა, ახლა ეს კეთდება სპეციალური ჩარხების მეოხებით, რაც აიოლებს შრომას და ათავისუფლებს ზედმეტ მუშახელს.

მაგრამ ქარხნის კოლექტივის ყოველგვარი ცდა მუშახელის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად ვერ გამოიღებს სათანადო ნაყოფს, თუ ჩვენი აზრით, მოგვარებული არ იქნა შემდეგი საკითხი:

ქარხნის მუშაობის შეფერხების ერთ-ერთი მიზეზი დაგვისახელა დირექტორის მოადგილემ პავლე ჩიგოგიძემ; რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან დროზე ვერ ვიღებთ ნედლეულსო, გვითხრა მან; გარდა ამისა, თვითონ გეგმა არ არის სათანადოდ შედგენილი, მოდელ 163 ჩარხს წელიწადში 3100 ცალს ვამზადებთ, სპეცჩარხებს კი — 610. ამ სპეცჩარხებიდან ზოგი 5 ათასი მანეთი ღირს, ზოგი 120 ათასი. ეს უკანასკნელნი ძალიან რთული ჩარხებია. გეგმას კი რიცხობრივად იძლევიან, ზოგჯერ მეტი წილი 120-ათასიანი ჩარხია და გვიჭირს ასეთი გეგმის შესრულება, გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში მუშახელი აღარ გვყოფნისო.

ქარხნის მუშაკთა ამ მოთხოვნილებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. შემაფერხებელი მიზეზები, რომლებზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, დროულად უნდა აღმოვფხვრათ.

ა. გვარამაძე

ქარხნის მოწინავე მუშები: პ. ტენიშჩევი, ზ. გველუკაშვილი, ბ. ჩიტაიშვილი, ა. ხარიტონაშვილი, ა. სუკაჩოვი.



# ადამიანები და მთები

ალაზნის სარწყავი არხის პროექტზე რომ მუშაობდნენ, ინჟინრები ბევრს ფიქრობდნენ, სად უნდა აეღო მას სათავე. იყო რამდენიმე მოსაზრება და ბოლოს არჩევანი სოფელ ყვარელწყლის ბოლოზე შეჩერდა.

1965 წელი... მაისი... იმ ხანებში მოვიდნენ აქ მშენებლები, შექმნეს პირველი ბრიგადა. სამშენებლო სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე თულაშვილმა „პირველ მერცხლებს" საქვეყნო და საშვილიშვილო საქმის დაწყება მიულოცა. მერე დაიკაპიწეს სახელოები და დაჰკრეს პირველი ბარი.

ასე დაიწყო სათავე-ნაგებობის სამუშაოები.

ახლა ამ უბანს კვლავ სათავე-ნაგებობათა უბანი ეწოდება, მისი უფროსია ახალგაზრდა ინჟინერი გიული რატიანი.

გიული მომდევნო წლის გაზაფხულზე მოვიდა პანკისში, არხის მშენებლობაზე და სამუშაოთა მწარმოებლად დაიწყო მუშაობა.

სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე თულაშვილმა ერთი წელი უყურა ახალგაზრდა ინჟინრის მუშაობას, დარწმუნდა მის უნარსა და შესაძლებლობებში. მერე გაბედულად მიანდო უბნის უფროსობა.

ახლა გიული რატიანის სამუშაო ობიექტი ხუთ კილომეტრზეა გაჭიმული. აშენებს სათავეს და გაჰყავს არხი.

სათავე-ნაგებობათა რთული სამუშაოების შესრულება დაკისრებული აქვს გიორგი მათიაშვილს.

გიორგი თმაშევერცხლილი, ხალისიანი და მოძრავი კაცია. დიდი პრაქტიკა აქვს მიღებული ასეთი მშენებლობისა. ჯერ კიდევ 1947 წელს, ჯარისკაცის ფარაჯა რომ გაიხადა, სამგორის წყალმშენის ექვსთვიანი კურსები დაამთავრა და მაშინვე სარწყავი არხის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა.

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა.

ამ ხნის მანძილზე რაღა არ უშენებია: არხი, დიუკერები, გვირაბები, ხიდები... ახლა მისთვის ამ მშენებლობაზე გაურკვეველი არაფერია. ამიტომაც გიორგი მათიაშვილის გაკეთებულ საქმეს წუნი არ დაედება.

ბორბალოს ძუძუნაწოვი ალაზანი პანკისში ლვიმიის კლდეებთან რომ ჩაივლის, აქაფებული აწყდება რკინა-ბეტონის ბურჯებს, უნდა რომ დალეწოს, დაანგრიოს, შთანთქას, მაგრამ არ ძალუძს. რამდენჯერ გადაუღებელი წვიმებითაც გაილეშა, გადაირია და ისე მიუხტა ბურჯებს ფაფარაშლილი — ახლა კი წაგლეკავო, მაგრამ არც მაშინ გამოუვიდა არაფერი.

ადამიანებმა აჯობეს მდინარეს.

## რა მოგივიდათ, მთებო?

დიდი საქმე იოლად და ერთი შეტევით არასოდეს არ კეთდება, არც ალაზნის არხის მშენებლობაა იოლი. მისი ტრასა ხან თუ მინდვრებზე მიდის, ხანაც მთებს მიადგება. მთა კი ძლიერია. მას არ სურს ვინმეს წინაშე დაჩოქება. ბულდოზერები და ექსკავატორები ბევრიც რომ მიუსიო, ნირს არ შეიცვლის. მაგრამ არც ადამიანები იხევენ უკან. სატრედოსა და მატნის მთას რომ მიადგნენ, მშენებლებმა არც უკან დაიხიეს, არც გვერდი აუქციეს, პირდაპირ მიიტანეს იერიში — გვირაბების გაყვანა დაიწყეს.

...ოთხი მთის გულში ერთდროულად თუხთუხებენ პნევმატური ბურღები. თავჩაჩქნიანი ვაჟები ნელ-ნელა მიიწევენ მთების გულში.

ამ უბნის უფროსიც ახალგაზრდა ინჟინერია — ჟიული ლოლაძე.

...ჟიული იმ დილითაც რვა საათზე გამოცხადდა სატრედოში გვირაბის მნგრეველებთან. მან იცოდა, რვა საათზე ღამის ცვლის უფროსი დღის ცვლის უფროსს გადააბარებდა ობიექტს. ჰოდა, უნდოდა ორივე ერთად ენახა.

— როგორ არის საქმე, წუხელ ხომ არ შეფერხებულხართ? — ჰკითხა ღამის ცვლის უფროსს.

— არა, — უპასუხა ირაკლი არაბულმა.

— ახალი რა არის?

— გუშინ საღამოს ვიღაც ბიჭი მოვიდა ტრაქტორით. ასე თქვა, თქვენთან გამომგზავნეს დასახმარებლად. „ბელორუსით" ამოიარა ეს პატარა აღმართი, მოატრიალა და... ტრაქტორი დაგორდა. დაგორდა და მერე როგორ, პირდაპირ ხრამისკენ მიდიოდა. რომ ვერ გააჩერა, მერე საჭე მოუგრიხა და ხრამს გვერდი აუარა. აგერ იქ, ჭალაში რომ ჩავიდა, იქლა გაჩერდა.

ტრაქტორისტმა ფეხით ამოიარა აქამდე და გვეუბნება, თქვენთან სამუშაოდ გამომგზავნესო...

ჩვენი სახერხის უფროსმა ბაკაკომ უთხრა:

— ბალღო, ღმერთს მადლობა უთხარი, რომ ჩვენი უბნის უფროსი აქ არ არის. შენი დაგორებული ტრაქტორი რომ დაენახა, არც მაგ „ბელორუსს" გაგატანდა, ისე გაგაგდებდა აქედან! ახლა წადი და გზას ბარაქა დააყარე, შე ციმცხვარავ! აქ შენ ის ხომ არა გგონია, ბალღების სათამაშო!

რაღას იზამდა, დაღუნა თავი და გაიპარა.

— ძალიან კარგად უთქვამს ბაკაკოს, — თქვა ჟიული ლოლაძემ, — აქ ჩვენს ბიჭებზე ნაკლებს სამუშაოდ აღარ მივიღებ. როგორ არის საქმე, ბურღავენ ბიჭები?

— წელან მორჩნენ, ახლა მალე აფეთქება დაიწყება.

ლოლაძე იმ წამსვე მიტრიალდა და სანგრევისაკენ გაეშურა. წესი დაარღვია — უჩაფხუტოდ შევიდა გვირაბში. საკუთარი თვალებით ნახა ბიჭები როგორ აწყობდნენ ლაღუმებს მთის გულში. მერე ყველანი ერთად გამოვიდნენ და გვირაბის შორიახლო დადგნენ.

ჰაერში აიჭრა გამაფრთხილებელი შუშხუნა. ცოტაც და...

...გვირაბი ჰგავდა ვეება, ზღაპრულ ხახას. თითქოს სასულეში ნამცეცი გადასცდაო, სატრედოს მთას ხველება აუტყდა.

## ერთად ივლიან

არხის ტრასა მთებსა და ხევებს რომ დააღწევს თავს, წინ ახლა მდინარე ილტო გადაეღობება.

ილტო თავისთავად დიდი მდინარე არაა, მაგრამ მას გრძელი სათავე აქვს. მთებში შეჭრილი. ამიტომ წვიმებმა თუ გადარია, მტრისას!

მაგრამ ეს მდინარე არც ისე პატარაა, ცოცხლების სიაში ჩასაწერად რომ არ ღირდეს. სპეციალისტებმა დაწვრილებით შეისწავლეს და აღმოჩნდა: მას შეუძლია ალაზნის სარწყავი არხი წამში ექვსი კუბომეტრი წყლით კვებოს. ეს კი არც ისე ცოტაა. ამიტომ გადაწყდა, ამ „გაუხედნავ კვიცსაც" ამოსდონ ლაგამი.

მმართველმა კონსტანტინე თულაშვილმა ილტოს სათავე-ნაგებობა ინჟინერ გივი სულავას ჩააბარა.

გივი დინჯი, ენერგიული და საქმის ერთგული კაცია. სამი წელია იგი ამ უბანს ხელმძღვანელობს, სამი წელია მისი თავკაცობით ხორცი ესხმება ნახაზებს. კოლეგების მსგავსად, დილიდან საღამომდე ვერც სულავა ჩაიხრის მუხლს. მით უმეტეს მაშინ, როცა მუშაობა ორცვლიანია.

ასე სრულდება გადაჭარბებით თვისა თუ კვარტლის გეგმები.

დღეისთვის ილტოს სათავე-ნაგებობაზე უამრავი საქმეა გაკეთებული და უფრო მეტი გასაკეთებელი. მაგრამ სასიხარულო ის არის, საქმე ყოველდღიურად მტკიცე ნაბიჯით მიიწევს წინ.

გაივლის კიდევ რამდენიმე ხანი და დაირღვევა საუკუნეთაგან დაწესებული კანონი, — ილტო და ალაზანი ბებერ ბახტრიონთან კი აღარ შეიყრებიან, არამედ სოფელ ჩაჩხრიალასთან გადაეხვევიან ერთურთს და იმ დღიდან ერთად ივლიან ქართული ბაღ-ვენახებისა და დასიცხული სახნავ-სათესების დასარწყულებლად.

## ამბავი ხატისწყლისა

სოფელი დუმასტური ალაზნის გაღმა მთების ძირშია მოყუჟული. იმ სოფლის განაპირას უზარმაზარი თელები და იფნები გუგუნებენ ჯგუფად. ხეთა შუა კი ბატონობს ეკლესიის ნანგრევებში ჩაბუდებული მთავარანგელოზის ხატი, რომელიც, მოხუცთა გარდა აღარავის ახსოვს. ხატის „ფეხთით" მიწიდან ამოჩქუხს ყინულივით ცივი და ანკარა წყალი.

პარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ალექსი ბატიაშვილმა კონსტანტინე თულაშვილთან საუბარში ძალიან აქო დუმასტრის წყალი. მერე სთხოვა, ნახეთ, იქნება მოხერხდეს მისი გამოყვანაო.

სამმართველოს უფროსი დაინტერესდა და მალე ეწვია წყაროს სათავეს.

წყალი მართლაც სანაქებო იყო.

დაიწყო მისი შესწავლა.

საუკეთესო თვისებები აღმოაჩნდა.

დებეტი მოსახლეობის რაოდენობაზე გადაიანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ ამ საამო სასმელი წყლით შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო სოფლები: თვითონ დუმასტური, დუისი, ყვარელწყალი, კუწახტა, საკობიანო, ბაყილოვანი, მატანი, ქალაქი ახმეტა, ქისტაური და ოჟიოც კი.

გადაწყდა: ამ დიდი და საქვეყნო საქმის გვერდით კიდევ ერთი კეთილი საქმე გაკეთებულიყო — სოფლებისათვის გამოეყვანათ სასმელი წყალი.

შედგა ნახაზები, სქემები, გეგმები...

ამ კეთილი საქმის დიდი ნაწილი უკვე გაკეთებულია — მთელ მაგისტრალზე ჩაწყობილია ფოლადის მილები. ახლა მიმდინარეობს სათავე-წყალშემკრების მშენებლობა. გავა დრო, და მშრომელები მიიღებენ ანკარა სასმელ წყალს.

## რას მისცემს ეს მშენებლობა ქვეყანას

დიახ, ფართოდაა გაშლილი შრომის ფრონტი ალაზნის სარწყავი არხის მშენებლობაზე. ამ დიდ და რთულ საინჟინრო ნაგებობაზე მილიონები იხარჯება. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა სიკეთეს მოუტანს ეს არხი სახალხო მეურნეობას?

პასუხი ასეთია: ზემო ალაზნის არხი შიდა და გარე კახეთის რაიონებში 110 ათას ჰექტარ სავარგულებს მორწყავს.

სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენება, აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელება უზრუნველყოფს მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების გადიდებას. მაგალითად, ყურძნის მოსავლიანობას ერთ ჰექტარზე 50 ცენტნერიდან 100 ცენტნერამდე გაზრდის, ხილისას — 30 ცენტნერიდან 125 ცენტნერამდე. ასევე მკვეთრად გაიზრდება ბოსტნეულის, შემოდგომის ხორბლის, სიმინდის, მზესუმზირას და სხვა კულტურების მოსავლიანობა. ყოველივე ამის შედეგად საზოგადოებრივ მეურნეობებში საერთო პროდუქციის ღირებულება 13,8 მილიონი მანეთიდან 100,1 მილიონ მანეთამდე გაიზრდება. ამ დიდ საირიგაციო მშენებლობაზე გაწეული კაპიტალური დაბანდებანი კი 4—5 წლის მანძილზე მთლიანად იქნება ანაზღაურებული.

**ვალერიან ჩეკურიშვილი.**

**პანკისის ხეობა.**



ზურაბ ლორთქიფანიძე

გიორგი ლეონიძეს

# მამადავითი

როგორ გეტყობა,
ტრფობამ დაგხეტყვა
და აგაძგერა, როგორც ვედრება...
რად არ მცილდება ეგ შენი სიტყვა:
„შენს სილამაზის იქით ბნელდება“.

თვალში აკლიხარ
ქუჩებს,
ტრიბუნებს —
ლომურ იერით,
ლომურ ბუხუნით,
ქართლის ტრამალებს გადათიბულებს
დაეტყვე ადრე ჩანამუხლივით.

მამადავითის
დუმილში შედი,
მსუბუქად ახველ ციცაბო ფერდზე,
ნინოს თეთრ მკერდზე შეირხა ბელტი,
შუა გატყდა და დაგეცა მკერდზე.

ჯერ სიკვდილი რად გეკადრებოდა,
ოდეს ეგ სული
ეკვატორობდა,
სიტყვა ნათრთვილო,
ქირხლისებურო,
პიტალოების
ციხისებურო!
სულ
სადღეობო კაცი იყავი,
არ გჭირდებოდა არსად ნიღაბი.

ყველა დღეობის გამყანწებელი,
ყველა
საფლავზე ცრემლის მცემელი,
გამოსაჩენი
სახლში
და კარში
მამულს ედექი ხარივით მხარში.
სიკვდილს ებრძოდი
სიცოცხლის ჯანლად,
სახმისხ ივსებდი რიყრაყის დელგმით.
შეგნაცვლებოდი,
საქმისთვის,
სჯობდა
მე, ვინც, სიკვდილის მხარეს ვიდექი.
მამულს სჭირდება შენისთანები,
ცოდვაა ხალხი,
ცოდვაა ერი!
წახველ,
დატოვე სატრფოს თვალები,
დატოვე
მწუხრის გაშლილი ფერი.

საქართველოში ყველაზე დიდი
მამადავითის მწვერვალი არი,
ახვედი კდემით, სიჩუმით, რიდით
მარადისობის შეგხვდა ციალი.

ტყვიავის კოლმეურნეობის ეკონომისტის კაბინეტში ვსხედვართ. თუნუქის ღუმელს ვეფიცხებით. რაიონის ცენტრში რაღაც საზელდახელო საქმეზე წასულ თავმჯდომარეს ველოდებით.

გარეთ ყინულლავს. ზეცას ტყვიისფერი გადაჰკვრია. დროდადრო მთებიდან სუსხიანი ქარი წამოიქროლებს და წელში ხრის კანტორის წინ ჩარიგებულ ხეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაბინეტის კარი ანაზდად ვიღაც მაღალმა, ხშირულვაშიანმა კაცმა შემოაღო და ქუდის მოხდით მოგვესალმა ყველას.

— გაიცანით ჩვენი სოფლის ცოცხალი მატიანე ლევან კეცხოველი, — გვეუბნება კოლმეურნეობის ეკონომისტი ვალერიან კახაბრიშვილი და ხმადაბლა უმატებს, — ლევანი ცნობილი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის ალალი ძმისშვილია!

ლევან კეცხოველი სამოცდაათი წლის კაცია. წელში ლარივით გამართული, დინჯი და დარბაისელი. გულითადი საუბარი იცის ლევანმა. ათასი ამბის მომსწრე და მონაწილე, ისეთ რამეზე ჩამოაგდებს სიტყვას, ისეთ ძველ და საინტერესო შემთხვევას გაიხსენებს, თავის მოყოლილ ამბავს ისეთ მარილს და იუმორს წაუმატებს ზედ, რომ რამდენიმე წუთში დაატყვევებს მსმენელს.

აღარ ვნანობთ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აეცდით. მაგიდასთან ვსხედვართ, თუნუქის ღუმელს იფნის ვეება კუნძებს ვუკეთებთ. შეკითხვას შეკითხვაზე ვაყრით ლევან კეცხოველს.

პაპა იღიმება. ულვაშებზე ისვამს ხელს და დინჯად, ჩვეული ხალისით და ენაწყლიანობით ახლა ტყვიავში უცხოური ჯიშის ხეხილის გავრცელების საინტერესო ამბავს გვიყვება.

ლევანის მამა, ნიკო კეცხოველი ხალხოსანი იყო. ერთი პირობა, ნიკო კახეთში, სოფელ ნაფარეულში მუშაობდა მასწავლებლად. მერე პედაგოგობას თავი მიანება, მშობლიურ ტყვიავში დასახლდა და მეხილეობას მიჰყო ხელი.

გასული საუკუნის შუა წლებში ქართლში იშვიათად შეხვდებოდით ევროპული ჯიშის ხეხილის ბაღებს. ამ რაიონებში, უმთავრესად, მარცვლეული მოჰყავდათ. ტყვიაველებს გაგონებაც არ უნდოდათ, რომ თავი გაენებებინათ იმთავითვე შეჩვეულ მამაპაპური კულტურების მოვლა-მოყვანისათვის და უცხოური ჯიშის სამრეწველო ხეხილის ბაღების გაშენება დაეწყოთ.

ნიკო კეცხოველი ენერგიულად მოეკიდა საქმეს. ბაღის გასაშენებლად სოფლის ზემო უბანში საუკეთესო ნაკვეთი შეარჩია, უცხოეთიდან ევროპული ხეხილის ცნობილი ჯიშები გამოიწერა. ტყვიავში პატარა, საცდელი სადედე მეურნეობაც მოაწყო და რამდენიმე წელიწადში მართლაც სანიმუშო ხეხილის ბაღი გააშენა.

უჯიათი ტყვიაველი გლეხკაცები იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ: „გაგიჟდა ჩვენი მღვდლის შვილი“, იტყოდა რომელიმე გლეხი და აქეთ-იქიდან მაშინვე აუბამდნენ თანასოფლელები მხარს: „გაგიჟდა, მა რა არი, მთიდან ჩამოსატანი მჭამჭარეული მაყალოსათვის თავი გაუნებებია და ამოდენა მიწაზე კურკას თესავს, რომ ხე ამოიყვანოს“.

ერთხელ უცნაური ამბავი მოხდა. ადრეული გაზაფხული იყო, წვიმდა. ნიკო კეცხოველი ის-ის იყო ცხინვალიდან შინ დაბრუნდა. დაღლილ-დაქანცულმა ვაჟკაცმა ხელ-პირი დაიბანა, გულიანად ივახშმა და ის იყო ტახტზე მიწვა მოსასვენებლად, რომ ოთახის კარი მოულოდნელად მისმა მეუღლემ, მარიამმა შემოაღო.

— ნიკო, დავიღუპეთ!.. — მუხლებზე ხელი შემოირტყა გაფითრებულმა ქალმა, — ვიღაც არდასაცალებელი დილით ჩვენს სადედეში შეპარულა და ახალი ნამყენი ნერგები მოუპარავს...

ნიკო ფეთიანივით წამოიჭრა ტახტიდან.

— ვაშა! — მთელი ხმით შესძახა გახარებულმა გაძარცულმა მეხილემ და ცეკვა-თამაშით აივანზე გაიჭრა, — ვაშაა!.. მთელ სოფელში ერთი ჭკვიანი კაცი მაინც გამოჩნდა, რომელმაც ხეხილის ფასი გაიგო და ნერგები მოიპარა, ვაშაა!

იმ დღიდან კეცხოველიანთ სადედეში „ქურდებმა“ იმრავლეს. ღიად დატოვებულ სადედედან ხან ვის გაჰქონდა ნერგები და ხან კიდევ ვის. ნიკო კეცხოველთან მალე მეზობელ სოფლიდანაც დაიწყეს სიარული. გამოცდილი მეხილე სიხარულით იღებდა ყველას. ბაღების გაშენებით დაინტერესებულ გლეხებს ნიკო საჭირო რჩევას აძლევდა, არიგებდა და თან უსასყიდლოდ უწყალობებდა ნერგებს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა. ტყვიავში თანდათან მომრავლდა ბაღები. ახლად ჩაყრილმა ხეხილმა მუხლი გაიმაგრა, მხრებში გაიშალა, გალაღდა, უხვი ნაყოფით დაიხუნძლა და თავისი სიკეთით მოუვახს გული და თვალი გაახარა.

...გარეთ ისევ ყინულლავს, დროდადრო გაღმა მთებიდან ისევ ზუილით წამოიქროლებს სუსხიანი ქარი და გამეტებით ეხლება კოლმეურნეობის კანტორის შეჭირხლულ მინებს.

# ტყვიაველი მეხილეები

ლევან კეცხოველმა მოყოლა დაამთავრა. ფიქრებში წასული პაპა ერთი პირობა მდუმარედ გასცქერის ზამთრის ჩამობურულ ზეცას, მერე წვერ-ულვაშზე ისვამს ხელს და, ცოტა არ იყოს, გულნაკლული ადამიანის ხმით გვეუბნება:

— ნუ გაგიკვირდებათ, შვილებო, თუ ტყვიავში თქვენი დღევანდელი სტუმრობით ვისარგებლებ და ერთ პატარა სათხოვარს გაგანდობთ...

პაპა ჩერდება, ჩვეული მოძრაობით ისევ წვერ-ულვაშზე ისვამს ხელს და მაშინვე განაგრძობს:

— იმ სახლში, რომელშიც მე ვცხოვრობ, ლადო კეცხოველი დაიბადა და გაიზარდა. კარგა ხანია აპირებენ სახლი ლადო კეცხოველის სახლ-მუზეუმად გადააკეთონ, მაგრამ დღემდე თავი ვერ მოება ამ საქმეს... მე ყველაფერზე თანახმა ვარ, მითხრან და, ეზო-ყურეს, ზოგიერთ ნივთსა და ავეჯს დავუთმობ ამ სახლ-მუზეუმს... როცა ქალაქში წახვალთ და ტყვიავში ხეხილის ბაღების გაშენების ამბავს დაწერთ, მოდითდა ეს ამბავიც დაუმატეთ ზედ.

სიამოვნებით ვასრულებთ ლევან კეცხოველის თხოვნას. პაპასთან ერთად, ჩვენც სიხარულით მივესალმებოდით ტყვიავში ცნობილი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის სახლ-მუზეუმის გახსნას.

* * *

გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი არტელია. რა არ მოჰყავთ აქაურ ნოყიერ მიწებზე კოლმეურნეებს: ყურძენი და ბოსტნეული, შაქრის ჭარხალი და მარცვლეული. ტყვიავში მეცხოველეობასაც მისდევენ, მაგრამ წამყვანი ადგილი მაინც მეხილეობას უჭირავს.

აქაურმა ხილმა უკვე კარგა ხანია შორს გაითქვა სახელი. ტყვიავში მოყვანილი კეხურა, ქართული სინაპი, შამპანური რენეტი, კანადური რენეტი და სხვა ჯიშის ხილი თავიანთი გამძლეობით და შეფერილობით, სურნელებით და გემოთი, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესონი არიან ქართლში და მათზე დიდი მოთხოვნილებაა მთელ ჩვენს ქვეყანაში.

ტყვიავის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღებს 520 ჰექტარი ფართობი უჭირავს. აქაურმა მეხილეებმა შარშან 96 ჰექტარი მსხმოიარე ბაღიდან 844 ტონა ხილი მოკრიფეს;

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ შემოსავალს აძლევს მეხილეობა ტყვიავის კოლმეურნეობას, მხოლოდ ორ ციფრს დავასახელებთ· შარშან კოლმეურნეობის მთელი შემოსავალი 576 ათას მანეთს შეადგენდა, მარტო მეხილეობიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 354 ათას მანეთს მიაღწია.

ვინ ქმნის ასეთ სიუხვეს? ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც მზრუნველობით თავზე დასტრიალებენ კოლმეურნეობის თვალუწვდენელ ბაღებს?

ენდელი კაპანაძე ტყვიაველია. იგი ამ სოფელში დაიბადა და გაიზარდა. ენდელი საშუალოზე ოდნავ მაღალი ტანის კაცია, ჯმუხი და ბეჭებში ლაღად გაშლილი. როგორც ეტყობა, მას საკუთარ თავზე ლაპარაკი უძნელდება. ამოდენა ვაჟკაცი ბავშვივით ალეწილი გვარიდებს თვალებს, წამდაუწუმ ქათქათა ცხვირსახოცს ისვამს შუბლზე და მოკლედ იძლევა პასუხებს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ენდელიმ თურმე კოლმეურნეობაში მუშაობაზე გული აიცრუა. ჯერ კიდევ დაუდულებელი ბიჭი იყო, მკლავში ღონე მოსდევდა, გული ერჩოდა და ამან გაათამამა. აიყოლებდა ენდელი თანატოლებს, შეზარხოშებულნი სიმღერით ჩაივლიდნენ შარაზე, ხან სოფლის თავში გამართავდნენ მუშტი-კრივს, ხან სოფლის ბოლოში უმიზეზოდ აუხირდებოდნენ ვინმეს.

ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაიბარა ენდელი. გასუსული ბიჭი ბეჭებში მოხრილი იჯდა თავმჯდომარის კაბინეტში და შეცბუნებული დასცქეროდა იატაკს.

— ბევრი ვიფიქრეთ, კარგად ავწონ-დავწონეთ ყველაფერი და გადავწყვიტეთ, ბრიგადირად დაგნიშნოთ! — გამგეობის სახელით აუწყა თავმჯდომარემ სახტად დარჩენილ ჭაბუკს.

როგორც ხედავთ, ტყვიაველთა თავმჯდომარე კარგი ლიტერატორიც აღმოჩნდა. დროზე გაახსენდა იმ მაცდური გვადი ბიგვას ამბავი!

ის დღე იყო და ის, ამის შემდეგ ენდელი კაპანაძე უსაქმოდ აღარავის დაუნახავს. საქმეს მოწყურებული ბიჭი უთენია წამოხტებოდა და მაშინვე ბაღში გარბოდა სამუშაოდ.

ენდელის პირველად საშუალო სკოლადამთავრებული ვაჟა რაზმაძე ამოუდგა მხარში. მერე ბრიგადირს გამოცდილი მეხილეები — უშანგი ელბაქიძე, გიორგი რაზმაძე, ალექსი ბერძენიშვილი, ნათელა და ზოია რაზმაძეები წამოეშველნენ. მთელი ბრიგადა შეხმატკბილებულ კოლექტივად იქცა და სულ მოკლე ხანში თავისი საქმიანობით ყველა გააოცა.

1967 წელს ენდელის ბრიგადამ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული ხუთი ტონა ხილის ნაცვლად, ცხრატონანახევარი ხილი მიიღო. ეს დიდი გამარჯვება იყო. ბრიგადის წევრებმა ყველაფერი აწონ-დაწონეს, ყველაფერი გულმოდგინედ გაიანგარიშეს და მომავალ წელს ჰექტარზე თერთმეტი ტონა ხილის მიღება გადაწყვიტეს.

ბრიგადის წევრები მთელი წელი ბაღში ტრიალებდნენ: ბარავდნენ, თოხნიდნენ, რწყავდნენ, სხლავდნენ, ნიადაგში სასუქები შეჰქონდათ, ხეხილს წამლავდნენ და ათეთრებდნენ. ნიადაგში ტენიანობის შენარჩუნების მიზნით, ტყვიავის მეხილეობის ისტორიაში, მათ პირველად გამოიყენეს ახალი მეთოდი და ბაღები ზამთარშიკე მორწყეს.

ხეხილის მეწლეობასთან ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ბრიგადის ბაღები მეორე წელსაც უხვი მოსავლით დაიხუნძლა. მეხილეებმა თავიანთი პირობა შეასრულეს — რვანახევარი ჰექტარი ბაღიდან მათ თვითეულ ჰექტარზე, ხუთი ტონა ხილის ნაცვლად, თერთმეტი ტონა ხილი მოკრიფეს.

ერთხელ სოფელში სასიხარულო ამბავი მოვიდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უხვი წარმოებისათვის მთავრობამ ტყვიავში თერთმეტი კაცი დააჯილდოვა ორდენებით და მედლებით. ამ დაჯილდოებულთა შორის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული ენდელი კაპანაძეც იყო.

* * *

— თქვენ მეკითხებით, რა სიძნელეები გვაქვს ჩვენს მუშაობაში, ასეა არა?— კითხვას გვიბრუნებს ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პიმენ ჩიხლაძე და მაშინვე დასძენს: — სერიოზული არაფერი! საქმის წარმატება ახლა ძირითადად ჩვენს უნარზე და მონდომებაზეა დამოკიდებული.

მართალს ამბობს თავმჯდომარე. კარგა ხანია, წავიდა ის დრო, როცა ერთი ვაგონი სასუქის მისაღებად კოლმეურნეები თვითონ ჩადიოდნენ რუსთავში და იქ ატარებდნენ რამდენიმე დღეს. კოლმეურნეობა ეკონომიურად მომაგრდა. ახლა ტყვიაველებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც საკმარისი აქვთ, სასუქებსაც საჭირო რაოდენობით იღებენ და გამოცდილი, უნარიანი კადრებიც ჰყავთ.

უხვი მოსავლის მიღება ახლა ძირითადად მართლაც კოლმეურნეების უნარზე და მათ მონდომებაზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, არის ერთი გარემოება, რომელიც წლიდან წლამდე ხელს უშლის და ერთგვარად აფერხებს ტყვიაველთა საერთო წარმატებას.

ხილის კრეფის სეზონი ტყვიავში აგვისტოდან ნოემბრამდე გრძელდება. კრეფის გახურებულ სეზონში კოლმეურნეებს თავიანთი ძალებით თავისუფლად შეუძლიათ დღეში ორმოცი-ორმოცდაათი ტონა ნაყოფი მოკრიფონ და მოსავლის აღება ორი-ორნახევარი თვის ნაცვლად ერთ თვეში დაამთავრონ.

რაშია საქმე, რატომ ჭიანურდება ხელოვნურად ხილის კრეფის სეზონი, რატომ ხდება რომ კოლმეურნეების თავდადებული შრომით მოწეული ხილი ზოგჯერ ღია ცის ქვეშ ყრია და ფუჭდება?

ტყვიავში ხილის მიმღები ერთი პუნქტია გახსნილი. „საქხილბოსტანვაჭრობის“ გორის დამზადების კანტორის ტყვიავის ხილის მიმღები პუნქტი კოლმეურნეობას დროულად ვერ უზრუნველყოფს საჭირო ტარით. არის შემთხვევები, როცა ეს პუნქტი, იმ მოტივით, რომ შესანახი ადგილი არ აქვს, უკანვე აბრუნებს კოლმეურნეობის მიერ მიტანილ ხილს.

მიმღები პუნქტი, როგორც იტყვიან, ადამისდროინდელი მეთოდებით მუშაობს. ხილის მიღება, დაყალიბება, შეფუთვა და სხვა ოპერაციები ხელით წარმოებს. მცირეა სამუშაო მოედანი. მოზღვავებული ხილის შესანახი ადგილი არ არის. ამის გამო ირღვევა ხილის შენახვის დადგენილი წესი. მიმღებ პუნქტში ჩვენ ვნახეთ ვაშლის ზვინები, რომლებიც დასაშვები 40-50 სანტიმეტრი სიმაღლის ნაცვლად ერთი მეტრის სიმაღლეზე მეტ ზვინად ეყარა.

ტყვიავში ორ-სამ წელიწადში ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება ხეხილის ბაღების ფართობი. ბუნებრივია, მოსავალიც იმატებს. საკითხავია, როგორ უნდა აუვიდეს მიმღები პუნქტი 1500-1600 ტონა ხილის დროულად მიღება-შეფუთვას და მომხმარებლამდე გაგზავნას?

ოთარ დემეტრაშვილი

## გასწორება

„დროშის“ მე-12 ნომერში (1968 წ.) გამოქვეყნებულ წერილში „დაუვიწყარი ღვაწლი და ამაგი“ პირველი აბზაცის ბოლო უნდა იკითხებოდეს ასე: „ექვთიმე თაყაიშვილის რჩეული ნაშრომების პირველი ნაწილი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ალ. ბარამიძემ, ხოლო მეორე ნაწილი— „ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი“ — გ. ლომთათიძემ. აღსანიშნავია, რომ მხცოვანი მეცნიერი, პარიზიდან ჩამოსვლის შემდეგ, ამ მოგონებებს კარნახობდა იმ დროს ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკს გ. ლომთათიძეს, რომელმაც, დიდი შრომა გასწია, რათა ეს ძვირფასი მასალები ჩაეწერა და წესრიგში მოეყვანა“.

და შემდეგ, როგორც ტექსტში.

ბორის ჩხეიძე

# ნაირმალის ფერადები

მოთხრობა

ნაირმალის მიდამოები ზაზას ძლიერ მოეწონა მოლბერტი გამართა. გადმოსახატავ ბუნებას ძებნა არ სჭირდებოდა. მადნის ნარეცხისაგან გაუფერულებულ მდინარის გაღმა, ნახევარი კილომეტრის მანძილზე ამწვანებულიყვნენ სითის, კოლითის და ცხრაძლულის ვენახიანი ბორცვები.

სწორედ იმ ადგილებზე უთხრა სიგმამ: ნამდვილად გეუბნები, შემოდგომაზე, როცა იმ სოფლებში ციცქა, ცოლიკაური და კრახუნა მწიფს, ცოდვილი კაცი იქ გავლის ღირსი არ არისო.

— განა ასეთ მშვენიერ ადგილებში ცოდვილიცა გყავთ?! — გაოცდა ახალი მდგმური.

— რამდენიც გინდა, დასტა-დასტა... მარტო ანძახაძე (ამას უკვე იცნობდა მხატვარი) რადა ღირს!

— რას აშავებს აგეთს?

— ორჯერ-სამჯერ წნეხებით გამოწურული ჭაჭის, წყლის, შაქრის შერეული ნაყენიდან ღვინოს აკეთებს ის დასაწვავი...

შენადნობთა ქარხანა კიდევ უფრო ახლოს იყო. საწარმოების, მუშებისა და მექანიზმების გადმოხატვა ზაზამ ფანქარს მიანდო. პეიზაჟისთვის სიგმას ბინის აივანი ხომ ადრევე ამოირჩია. ერთ საღამოს სამუშაო დღე შუაზე გაჰყო და წესად დაიდო: შუადღემდე შენადნობთა ქარხნის სახურავებქვეშ ხატავს, ნაშუადღევს ნაირმალზე იტრიალებს მოლბერტთან.

რვეული და. ფანქრები პორტფელში ჩაალაგა, სახვალიოდ ქარხანაში წასასვლელად მოემზადა.

დილით უთენია გასწია. შინიდან გადადგა თუ არა ფეხი, ეზოში თვალი მოჰკრა: მეზობლის სახლიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. მხატვარი რამდენიმე წუთით შედგა, საგონებელს მიეცა, ხომ არსად მინახავსო. ამასობაში ქალმა სწრაფად გაიარა ეზო და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა შარას. მხატვარმა თვალი გააყოლა. არა, რა საოცარია! უნახავს. მაგრამ სად? არა, არსად არ უნახავს. როგორ თუ არსად! ესეც იმ დაკარგული ქალიშვილის ტოლია, მაგრამ ქერაა. ის კი შავთმანაწნავიანი იყო. რაკი ასეა, მაშ არსადაც არ უნახავს, არსადაც არ შეხვედრია.

— ვინ არის? — ჰკითხა დიასახლისს.

— აქ ცხოვრობს მდგმურად. შენადნობებში მუშაობს. სწორედ ეგ არის ოლიკო აბაზაძე. მეტსახელად ქარხანაში ცეცხლის პირისფარეშს ეძახიან. იმ უხიაკ საბედას დაურქმევია თურმე ეგ მეტსახელი, — ჩაუჩორავა სიგმამ.

არა, ეს მოჩვენება აღარ იყო! დიახ, სადღაც უნახავს, შეხვედრია. ოლიკოს ლიზა ქოშაძის ნაბიჯი და მიხრა-მოხრა ჰქონდა. თვალებიც მისას ემსგავსებოდა. გულმკერდის მოღერება და ხელების დაჭერის შნოც ლიზას აგონებს და რაც მთავარია... ქერა თმა... შეიძლება ქოშაძის ქალთან ალიკვალად მსგავსება აფიქრებინებს ზაზას მინახავსო. რატომაც არა! ადვილად შესაძლოა. განა არ მომხდარა ან არ შეიძლება ასე მოხდეს.

— რაო, ცეცხლის პირისფარეშიო? რა გვარია?

— აბაზაძე, — გაუმეორა სიგმამ.

— გათხოვილი ხომ არ არის?

— არა, რას ამბობ! — გაიოცა სიგმამ. — ეს ორი-სამი წელიწადია აქ დაქალდა, ბეღურასავით ერთი ციცქნა მოვიდა და მტრედისტოლა გახდა.

— რაო! მართლა არ არის გათხოვილი? — ისევ ჩაეკითხა მხატვარი.

— ვაჰ, არა-მეთქი! — დაუდასტურა სიგმამ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! — რატომღაც უხარია ვაჟს, რომ აბაზაძის ქალი გათხოვილი არ არის. — და ესეც, როგორღაც, დაკარგულ გოგონას აგონებს. მაშ, თუ იმას ველარსად გადააწყდა, ამას, აბაზაძის ქალს შეირთავს, ვითომ ნაქვრივალია კარგარეთელი. მაშ უცოლშვილოდ ხომ არ გადავა!

ერთხელ, ასეთ ფიქრში წასულ მხატვარს გულმა მტკიცედ მოსთხოვა, მეზობელ ახალგაზრდა ქალს, ოლიკო აბაზაძეს ფეხდაფეხ გაჰყოლოდა, გაეგო სად მიდის, რას აკეთებს, ვინ არიან მისი ნაცნობები. ფეხდაფეხ გაჰყოლოდაო! ეს კიდევ რაღა უბედურებაა? ხომ არ მოეწონა და იმ დაკარგული ქალივით ერთი შეხედვით ესეც გულში ხომ არ ჩაუვარდა? ერთი სიტყვით, შეუყვარდა?

— უხიაკიო? საბედა ვიღაა?

— ის თვითონ გამოგეცხადებათ! — აგდებით მიუგო სიგმამ.

* * *

შენადნობთა ქარხანაში უფრო ცხელოდა, ვიდრე გარეთ, მზეზე. ადამიანს თვალს სჭრიდა მადნის დნობის მძლავრი, მრავალფეროვნად ბრდღვინვა. რკინის კორპუსების დგანდგარი ყველა ხელისშემშლელ, საქმეზე გულისამყრელ სადარდებელს უქარწყლებდა გამრჯე ბუნების მხატვარს. მალე ცნობისმოყვარეობის ჟიაც გაუხელდა, მოუნდა ლითონის გამოდნობის შესწავლა და უმალვეც შეიძინა საჭირო წიგნები.

ზაზა მალე დარწმუნდა, რომ ამ ბოლის, ლითონის ხვარხვარის, რკინის ლეგა ფერების გამოსახვას მარტო ფანქრით ვერ მოერეოდა, ამიტომ ხის გადამამუშავებელ სახელოსნოში, მეორე, სულ ახალი მოლბერტის შეკვეთა განიზრახა. ეს სამსახური თავს იდო ხელდახელ გაცნობილმა გამოდნობის ოსტატმა თედო ხარაძემ, რომელმაც მაშინვე გასწია მეზობელ საამქროში. სანამ ის დაბრუნდებოდა, მხატვარი არ მომცდარა. ეცნობოდა მელითონეებს, ხანდახან ჩატვირთვის საათებში, სულგატვრენილი მისჩერებოდა, როგორ იყრებოდა მადანი ღუმელში, როგორ ურთავდნენ მუშები ელექტროდებს შახტას.

ზაზამ რამდენიმე დღეში მელითონე ოსტატების სახეების მთელი გალერეა შექმნა.

ღუმელებთან ბარე სამჯერ ოლიკო აბაზაძეს გადაეყარა. ქალიშვილი უეცრად გაირბენდა, მხატვარს შეზუზნულ სახეს აარიდებდა, ქარხნის კორპუსსა და ღუმელებს შორის გასასვლელებში ნაპერწკალივით ქრებოდა. ნაირმალის ბინაზე კი მოკაზმული ოლიკო აღარ ემალებოდა მეზობლებს. იქ ყველას თამამად ეჩვენებოდა, ამ დროს მხატვარი მას თვალს ვერ სწყვეტდა და ამჩნევდა, რომ ახალგაზრდა ქალი, კდემამოსილების საბურველში გახვეული, თავისი ლამაზი აღნაგობით ფარულად ამაყობდა; მშვენიერს, ვაჟკაცის დამაღონებელს, ულევთოდ ლამაზს, ცქრიალა სახის იერით შექეზებულს, დედოფლურად ეჭირა თავი.

სად უნახავს, სად? იგონებდა მხატვარი და ვერ მოეგონებინა, თან ვერც თვალს არიდებდა, ვერც გონებიდან იშორებდა.

ოლიკო ძლიერ, ძლიერ ჰგავდა ლიზა ქოშაძეს. უფრო გამხდარი, ტანწერწეტა, კოხტა რომ არ ყოფილიყო, უფრო წვრილი წარბები რომ არ ჰქონოდა, კაცს ეგონებოდა დოქტორ ალექსანდრეს ცოლის ტყუპის ცალიაო.

ერთხანს ზაზა ცდილობდა არ შეხვედროდა და არც არაფერი გაეგო ოლიკოზე.

მეორე მოლბერტი ვერ გამოუვიდა კარგი თედო ხარაძეს. მხატვარმა ხელსაწყო სამჯერ გადააკეთებინა დურგალს. ქვევით, ნაირმალზე, პეიზაჟის წერის საქმეც ცუდად აქვს. ვერ იქნა, ვერ მიუდგა ბუნებას ხერხიანად. წინასწარ გაფიქრებულ თვალსაზრისში ვერ ჩატია სიუჟეტი და ფერებით სათქმელი. ხაზები გაურბიან, არ სხდებიან საღებავებიან ფუნჯის ქეჩოზე. საიდან დაიწყოს — ხელი ვერ წაავლო დასაბამს და, რაღა თქმა უნდა, არ იცის, სად გაათაოს.

ქარხანაში ერთი ქალბატონი აედევნა. ახალგაზრდაც რომ არ არის ის შეჩვენებული! როცა ზაზა თავდახრილია და ფანქარს ათამაშებს ქაღალდზე, მაშინ მიეპარება, ქურდულად ჩაუხედ-ჩაუთვალთვალებს ნახატს. შენიშნავს თუ არა მხატვარი, გაიპარება. ვინ არის, რა უნდა?

ბევრჯერ შეეცადა ყველაფერი თავიდან დაეწყო. ზეთოვანი საღებავებით ტილოს ეკვეთებოდა. ამ დროს ღალატობდა ჯანი და მაშინვე ხვდებოდა: თურმე გულისა და გონებისთვის მტკივნეულად ან მაამებლად ამაჩქროლებელი, ვერაფერი ისეთი ვერ შეარჩია დასახატავად. მძლავრად, სულითა და გულით ვერაფერს ჩასჭიდებოდა, ეს კი აუცილებელ პირობად მიაჩნდა, რათა ფერების ღმერთს გასაიდუმლებოდა. და ჰოი საკვირველებავ, ისევ შემთხვევა, ისევ ქალი.

პირველად — ბიძგის მიმცემი გონიერი გონჯალა, მეორედ — გამამწარებელი, ხელმოცარვის მიზეზი, ქოშაძის ლამაზი ცოლი, მესამედ — უცნაური ქალბატონი საბედა, როგორც სიგმა ეძახის, უხიაკი. ამას მაინც რაღა ჭირი აწუხებს! მიეპარა, ცარიელ ტილოს მოლბერტზე ქურდივით აეკრა. დამანჭა და დამანჭა ცხვირი, ტუჩები, შუბლი, დაბოლოს, მასწავლებლობაც მოუნდომა.

სწორედ მეორე კვირის გასულს მოხდა ეს: საბედამ უსიტყვოდ, ხელის აქნევით ანიშნა მხატვარს, აბა შეხედეო. ზაზამაც არ დააყოვნა. არა, იქამდეც ათასჯერ მოხვედრია თვალს ის, რაზეც უხიაკი, ხანში შესული, არც თუ ულამაზო ქალი უჩვენებს. მადნის სადნობ-სადუღარ-სახარშავ შენობაში ეს ის მხარეა, საითაც მხატვარს გავლისა ერიდება. შიშით ატანილი, ლითონის ნადნობი არ შემომესხასო, ყოველთვის უკნიდან მოფარებით უვლიდა ღუმელებს.

უხიაკმა ბოდიშით ხელი წაატანა, გასწია, ცეცხლის მწკრივებისკენ გაატარა. ქალმა თვითონაც თვალი გაუსწორა ნადნობის ვარვარს და ზაზაც პირდაპირ შეახედა გავარვარებულ ლითონს.

და უეცრად... არის ნატურა! მადნის თხიერი მასა ტორტმანებს ღუმელებში, სადღაც ბუმბერაზი საბერველები ქშინავენ, ცხელი, ყვითელი, მყრალი ბოლი ქარიშხალივით ადის ქარხნის მაღალ ჭერში.

ღუმელების გასწვრივ რიგის დაცვით ოლიკო აბაზაძე, ცეცხლის პირისფარეში რომ დაურქმევია უხიაკ საბედას, უშიშრად, სპეცტანსაცმელიც რომ არ აცვია ისე, ფეხსა და ადგილს ინაცვლებს. ტემპერატურის საზომებიდან, საათისებურად ბრჭყვი-

---

დასასრული. იხ. „დროშა“, № 1.

ალა ციფერბლატებიდან, ქაჯური სისწრაფით ციფრებს იწერს უბის წიგნაკში. ხანდახან შენადნობის ნიმუშს რკინის ჩამჩით ლაბორატორიაში მიარბენინებს.

* * *

უხიაკმა ცერი მაღლა ასწია, თითქოს შეეკითხა მხატვარს, როგორ მოგწონს ოლიკოს საცადელიო. როცა გოგო (ასე იხსენიებდა უხიაკი ოლიკო აბაზაძეს) დღეში ორჯერ ან სამჯერ ნიმუშების შემოწმების დასასრულს კვლავ გამოჩნდებოდა, უმალვე თედო ხარაძეს მოუდგებოდა გვერდით. მაშინვე ორივე მწყობრად განზე გაიწევდნენ. ოლიკო გაისუსებოდა. თედო შენადნობმხარშავებს ალამს უქნევდა. ამ ნიშანზე გამდნარი მასა, მზისებრ ბრჭყვიალა მილიარდი ჟინჟლლის ფრქვევით ღუმელებიდან ციცხვებში თერგისებრ ღრიალით ეშვებოდა.

ცხელი ლითონის ღვართქაფი, ოლიკო აბაზაძე, ოსტატი თედო ხარაძე, რკინის ხელკეტებიანი ვაჟკაცები, მშანთავი ჟინჟლლების თოვა... ნელ-ნელა გაინასკვა ამბავი, გამოჩნდა თვალსაზრისი, მხატვარს შემოედო შემოქმედების ჟინი.

ზაზამ თამამად გაჰკრა საღებავის ნაზავით აკიაფებული ფუნჯი სუფთა ტილოზე. დაჯდა, დაემკვიდრა ქსოვილზე გამტაცებელი პირველი ხაზი და ფერი.

ამ დროს უხიაკი ქალი კიდევ მოეპარა მხატვარს, თვალი ჩაუკრა, ხარაძეს კი ტუჩი აუბზუა, ვითომ შენაც რასმე წარმოადგენო. მერე უეცრად მიიხედა ბნელი კუთხისკენ. იქ ვიღაცას წვრილი, გაწიწმატებული ხმით შეუცაცხანა, აშრულად შეუკვისინა და გაქრა.

უხიაკს მდიდრულად ეცვა, გავრცელებულ მოდაზე. ოღონდ თხელი სიფრიფანა ტუჩების ნაპობი ლურჯად გადაკროდა წოწოლა, კოიტ ნესტოებს ქვემოდან. სწორედ ისინი აძლევდნენ უამურ, უკმეხ იერს.

— ვინ არის? — ახლა უკვე ხმამაღლა იკითხა ზაზა კარგარეთელმა.

— საზიზღარი ვინმე გახლავთ, საბედას ეძახიან. ტყუილად დაურქმევიათ ეგ სახელი მის მშობლებს, ოცდათვრამეტი წლისაა. ჯერ არავინ გაუხარებია თავის საბედოობით, — უთხრა ხარაძემ.

— გონიერი კი უნდა იყოს! — ჩაილაპარაკა მხატვარმა.

— ჰო, რად გინდა! უწყალოდ კრიჟანგია, ავი, კაპასი!

— იმას, იმას ვის გაუწყრა? მგონია ძაღლის წკმუტუნიც შემომესმა! — ფრთხილად იკითხა მხატვარმა იმიტომ, რომ საბედას და მოლბერტის მოშორებით ერთი ხნიერი კაცი შენიშნა. ეს კაცი წინათაც დაუნახავს, შავი, უჯიშო მეძებარი ძაღლი ეჭირა ხოლმე ხელში საყელოზე ჩაბმული თოკით.

— შავლე გოგიჩაძე გახლავთ! — აცნობა თედო ხარაძემ. — მიწების სამუშაოთა მექანიზატორია. იცოდე, როცა ის აშარი და უხიაკი ქალი აქ გამოჩნდება, იქვე ახლოს ეგ შავძაღლიანი მექანიკოსიც მოძებნე. შავლე ჩემი ძმაკაცია. თბილისში ტექნიკუმი ერთად დავამთავრეთ. მე აგერ აქ ვარ. ის კი მიწას ვერ შეელია.

— გოგიჩაძეს ეგ ქალი ხომ არ უყვარს? მაშ, რად ადევნებია ჩრდილივით?

— ხა... ხა... ხა... რაღა დროის მაგ ბებრის სიყვარულია! — გაუტრიზავა ხარაძემ.

— ქარხანაში რას აკეთებს ის თქვენგან ათვალისწინებული უხიაკი ქალი? — ისევ საბედას დაუბრუნდა მხატვარი.

— უსარგებლოაო ვერ იტყვი. უცხო ენები იცის. ინჟინრებს, როცა საჭიროა, უცხოური ჟურნალებიდან რაღაც-რაღაცეებს უთარგმნის. ამბობენ, ნახაზების კითხვაც ეხერხებაო. გაღმა, სითში ცხოვრობს. იქიდან დადის სამსახურში.

ხწორედ ამ დროს ისევ გამოიარა უხიაკმა. ხატვის დროს გონიერი შენიშვნების საფასურად და ოლიკოსთვის მოხდენილი ზედმეტსახელის შერქმევისთვის, მადლობის გრძნობით შეპყრობილმა ზაზამ ქალს უეცრად მაჯა დაუჭირა, ხელზე აკოცა. საბედამ არ შეიშნო, ხელი გამოგლიჯა, გაქრა.

— შენ, რა! — გაეძრახა ხარაძე, — გინდა საბედა ახალგაზრდულ შნოში ჩააგდო? ეგ არავის ძალუძს.

— ისა, ლაბორანტი, აბაზაძის ქალი? — შეეკითხა ოლიკოზე.

— ის სხვაა! — გაიხარა კითხვით ხარაძემ, — ჩვენი გოგოა, ცეცხლის პირისფარეში!

—გათხოვილია? — ყასიდად იკითხა მხატვარმა, თუმცა უკვე კარგად იცოდა, გათხოვილი არ იყო.

— არა, არც არავინ იცის, ვის უნახავს თავის ყმაწვილქალობას. მაგისი ტოლი საცოლე მყავდეს... მაშინ მე ვიცოდი. აქედან პირდაპირ ჩემ სახლში გავაქანებდი, — დანანებით თქვა ხარაძემ.

* * *

სულ ცოტა ხანში სიგმას ბინაზე მხატვრის გარშემო ძმაკაცური პატარა საზოგადოება შეიკრა.

ზაზა კარგარეთელი ღამის გასათევ უბანში ნაშუადღევს ჩადიოდა. შინ მისვლის უმალ შეუდგებოდა პეიზაჟის წერას. ხელი იქაც მოეცარა. მაგრამ ამით ახლა გულს არ იტეხდა. სწამდა, ბუნების წიაღშიც მიაგნებდა შემოქმედებითი ჟინის ამანთებელ საგანს.

ნაცნობ-მეგობრები ნახვას არ აკლებდნენ. კიდევ მეტიც. რომ იტყვიან, უმისოდ ვერ ძლებდნენ. მოვიდოდნენ, პირველად სიგმას, ანანო სიყმაშვილის ქალს მოიკითხავდნენ. მერე მუხლის ქარის ამოსალებად აივანზე ჩამწკრივდებოდნენ. ხანდახან გარეთ სკამლოგინზე დასხდებოდნენ, ზედ მოლბერტის მახლობლად გაირინდებოდნენ. იქიდან ადევნებდნენ თვალს, როგორ ამოფოფინდებოდა ტილოზე რტო, ფოთოლი, კლდის ნაპრალი.

მალე ყველამ შენიშნა: მიუკარებელ, ასპიტ, ბოროტად ლურჯტუჩმოკუმულ უხიაკ საბედას გზის გამრუდება დასჩემდა. პირდაპირ ალარ დადიოდა სამსახურში.

ამოივლიდა სითიდან, თუ ჩაივლიდა სითისაკენ, სადაც მუდმივად ცხოვრობდა მამისეულ სახლში, ათიოდე წუთით სიგმას ბინისკენ შეუხვევდა. პეიზაჟის წერის დროს ზაზას რაღაცას ჩაუზმუილ-ჩაუწუწუნებდა, ამას მოუწონებდა, იმას დაუწუნებდა. მალე ისევ უსიტყვოდ გაუდგებოდა თავის გზას.

საბედასთან ერთად ფეხდაფეხ შავლე გოგიჩაძეც ტურასებრ მოიპარებოდა სანერგეებიდან. მას ყოველთვის თან ახლდა თავისი განუყრელი შავი, უჯიშო მეძებარი. მექანიზატორს კოხტად ადგა ტანზე ძვირფასი ქსოვილის კოსტუმი. სხვა იყო, როცა მეურნეობაში მუშაობიდან დაბრუნებული, მეგობრების სანახავად გამოვიდოდა ნაირმალზე; ამ დროს რაღაც ძველაძვულები, გადაბმულ-დაკერებული ბამბეულის ხალათ-შარვალი ეკიდა, ცოტა არ იყოს, აწოწილ, გამხდარ სხეულზე. ასე ჩაცმულ-დახურულს ყოველთვის თევზის სატყუარი დამპალი ელენთის სუნი ასდიოდა და არც თუ იშვიათად ლაყუჩებში ღვლერჭჩაბმულ ლოქოს მოათრევდა.

მექანიზატორმა ერთხელ ხმადაბლად, სხვების არგასაგონად სთხოვა:

— იცით რა! ამ უხიაკ საბედას ნუ აიყოლიებთ. ისედაც არ არის სრული ჭკუისა. მეშინია, სულ არ გადამერიოს.

ეს უთხრა მხატვარს და ვეებერთელა ლოქო დაუგდო საჩუქრად წინ, მოლბერტთან. უსურვა გაამოსო, მალე ზუთხსაც დავიჭერ და მოგიტანო.

მხატვარს ამ თხოვნამ გული მოაყვანინა. ფუნჯიანი ხელი მოიფათურა. უნდოდა ქრთამი თავში დაეთხლიშა მონადირისა და უშნო შეყვარებულისთვის. მაგრამ თევზი ალარსად იყო. სიგმას გაეტაცნა სამზარეულოსკენ. იქიდან კი ჰერის ამკლები სიცილი მოისმოდა. იცინოდნენ სიგმა, რვა თვის ორსული თამარ აფაქია-გოფოძე, ოლიკო და კიდევ ორი ქალი. დასცინოდნენ მხატვრის მიამიტობას. ზაზამ სული გატვრინა, ხმა ვერ ამოიღო. აბა, როგორ აწყენინებდა ძალო სიგმას... უგემრიელეს სადილ-ვახშმებს უმზადებდა ხელმისაწვდომ ფასად. მარტო სილნალური შოთები რად ღირდა! აკი დუდულეთისებურად ფქვილის მოზელა, გაფუება, თონეში ჩაკვრა, დიდი ხანია სიგმას მეზობლებისთვის ესწავლებინა. უფრო შეიძლებოდა ამ ოსტატის გამომცხვარი პურით დაკმაყოფილება და მთელ დღეს მუშაობა.

ასე ღამდებოდა, ასე თენდებოდა. ყველა შრომობდა, ყველა საცადელში იყო. რაც უფრო ხანი გადიოდა, ზაზა კარგარეთელი და ოლიკო აბაზაძე ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. დილდილობით ერთად მიდიოდნენ ქარხანაში. სად გინდა და სად არა. მათ წამოეწეოდა სითიდან სამსახურში მომავალი საბედა. სალმის ნაცვლად პირმოკუმულად უქნევდა მხატვარს თავს, ოლიკო აბაზაძეს კი ისეთ იქედნურ თვალს მიანათებდა, რომ, როგორც ახალგაზრდა ქალი სიგმას ერთხელ გულგახეთქილი გამოუტყდა, იმ შეხედვას მიწის გასკდომა ერჩია.

—აი, ეგ გადამუავებული, ეგა! — გაწყრა სიგმა.

— მე ისეთი სიზმარი ვნახე, — ჩაერია საუბარში მედოქის უშნო ცოლი, — საბედას იქნება თუ ოლიკოს, ერთ-ერთს, ეგ ჩვენი მხატვარი კარგ დღეს არ გაუთენებს, რაღა ერთ-ერთს, იქნებ ორთავესაც!

ქალებმა ყურები ცქვიტეს. ეს ამბავი ჩვენ რად არ მოგვივიდა აზრადაო. გადაყრუებულ-გამოციებული საბედა ჭირს წაულია, მხატვარმა ახალგაზრდა ქალი ოლიკო არ გაგვიუბედუროსო.

— თუ მეტი არა, ორივეს ჩალას გამოავლებს პირში, მერე არხეინად გაუდგება გზას თბილისისკენ, — ღვარძლიანად ჩაურთო ღვინის ფალსიფიკატორმა.

ამ დროს ქალები თონესთან ტრიალებდნენ. სიგმა პურს აკრავდა, სხვები ეხმარებოდნენ. როგორც ყოველთვის პურის ამოყრის დროს, ანძახაძე თონესთან მისულიყო, ცხელი პური აელო უბოდიშოდ, იღლიაში გამოერჭო და შინისაკენ გალალვას აპირებდა.

— ეგ არ იქნება! მხატვარი მაგას არ იკადრებს!— გამწარდა სიგმა.

— ვითომ რა დაუშლის? — დაადგა თავისას ღვინის ფალსიფიკატორი.

— ნუ ენაძალლობ! — შეუტია სიგმამ.

— მე გეუბნებით, ორივეს მოჭრის თავს და ზედ თქვენც მიგაყოლებთ-მეთქი. ქალი, რა პირში ჩალაგამოვლებული, რა იმისი ამხანაგი—სულ ერთია!— კიდევ უფრო ღვარძლიანად წამოიძახა ღვინის ფალსიფიკატორმა.

— უი, უი, აი, შე... — აქოთქოთდნენ ქალები.

სიგმამ კი საბოლოოდ დასაკარგავად გაიმეტა ცხელ პურზე შემოჩვეული უწმაწური მეზობელი. მისდგა:

— უწმინდური იყავი, უწმინდურად რჩები შენი დღენი. განგება მაგიერს გიხდის. ტალახში ამოსვრილი ჩახვალ შავ სამარეში! — აქ სიგმამ აგვისტოს გავარვარებულ ცას ახედა თუ არა, შეღაღადა: — უფალო, რად აჩენ ქვეყანაზე ანძახაძისებრ მავნეებს და მოსავალს რას ერჩი! ანძახაძე დასწვი, მოფშვენი!

* * *

დიახ, აგვისტო იდგა. სიცხე გამკაცრდა. ღამით ცვარ-ნამი არ იდო მინდვრებზე, შინ ვეღარავინ ჩერდებოდა. მხატვართან შეჩვეული ნაცნობ-მეგობრები ახლა თავს იყრიდნენ ხიგმას ეზოდან ათიოდე ნაბიჯით დაცილებულ ძელქვების ჩრდილში. ეს ხეები, რიცხვით ორმოციოდე, როგორც სიგმამ ყველას აცნობა, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს დაენომრა, აღერიცხა, სასტიკად აეკრძალა ლითონის იარაღით მათთან ახლოს მისვლა და გავლა.

ძელქვებს იქით, ხუთიოდე ნაბიჯზე, მიწიდან

ჩქეფდა ღურღუმელა წყარო. ამ წყაროსთან ქალები ჭილობს ან ფარდაგს გაიგებდნენ, დასხდებოდნენ. მათ არც მამაკაცები ჩამორჩებოდნენ. ისინიც ტომრებს ან ძველ პალტოებს მოიტანდნენ, მოეწყობოდნენ ქალების ახლოს. რა თქმა უნდა, მამაკაცები ქალების ღვიძლი ნათესავები, ან ძალიან დაახლოებული პირები იყვნენ. იმ დაახლოებულთა შორის ზაზა შვილად ან ძმად ითვლებოდა.

მხატვარს მოლბერტი ძელქვების ქვეშ გადმოეტანა. იქ უგულოდ განაგრძობდა პეიზაჟის ხატვას. ქალებიც არ იყვნენ უსაქმოდ. ხშირად პარკ ლობიოს არჩევდნენ. ზედადგარზე შემოდგმულ ქვაბებში ქლიავის, ატმის, მსხლის, პანტა-მაჟალოს კომპოტებს ხარშავდნენ. ეს ხელობა ჩინებულად ეხერხებოდა თამრო აფაქია-გოფოძეს. კომპოტებს თვითონაც ბევრს ხარშავდა და მეზობელ ქალებსაც ასწავლიდა თავის ხელობას.

ანძახაძე შელაპარაკების შემდეგ შინ და თონეზე ველარ ეკარებოდა სიგმას. ძელქვების ქვეშ კი თამამად გამოდიოდა, რადგანაც ეს ადგილი საქვეყნო კუთვნილებად ეგულებოდა. სიგმა გულზე სკდებოდა, უნდოდა მიებეგვა მავნე ბერიკაცი. აყოვნებდა. თვითონ მოიბეგვება, სიკვდილი კარს ადგასო. მართლაც, აგვისტოს დღეებში ანძახაძე ყველაზე გვიან ჩნდებოდა ძელქვების ქვეშ.

ფერიცვალების მოლოდინში სიგმამ სასაფლაოზე სიარულს მოუხშირა. გარდაცვლილი ქმრისა და ომიდან შინ ჭრილობამოყოლილი, დაღუპული ვაჟის განსასვენებელს მიწას უფხვიერებდა. მეტწილად საფლავების ბექობებზე ჩარგულ ყვავილებს და თითო ძირ ძელქვას ფესვებს უმარგლიდა, წყალს უსხამდა. ვერ გადაგარჩინეთ, ვერა, დასძახოდა ძვირფასებს საფლავებზე და ირტყამდა თავზე ხელებს. და ბოლოს, საფლავებს შუა თავისთვის ორმოს გასაჭრელად დატოვებულ ცარიელზე დაემხობოდა. იქიდან კვლავ ძელქვებისაკენ გამოსწევდა. ამის შემდეგ ანანო-სიგმა, დასავლეთში სიღნაღ-ტიბაანიდან გათხოვილი ქალი, ძელქვების ჩრდილში თავმოყრილებს უერთდებოდა. იქ უმალვე მარილიანად ჩაერეოდა საუბარში. გავიდოდა კიდევ რაღაც ნახევარი საათი და წვრილი, საამური ხმით საყვარელ სიმღერას წამოიწყებდა. მას მეორე და მესამე ხმებით აჰყვებოდნენ ოლიკო აბაზაძე და თამრო აფაქია-გოფოძე. მამაკაცები, როგორც მათ შეეფერებოდათ, ბოხი ხმებით ეშველებოდნენ ქალებს. აი, ამ სიმღერის მოსათვალავიც:

სიყვარულის მომგონო,
შენ გაგიტყდეს კალამი,
მშობლის კარს მომაცილე,
დამიკარგე სალამი.

სიგმას წამოწყებულ სიმღერას მეორეს, ენით გამოუთქმელ სასოებით, უკვე მშობიარობის ვადამოახლოვებული ორსული თამრო უმატებდა გულის დამკოდავ კაეშანს. როგორც სიგმა სიღნაღიდან, თამროც იქ, ნაირმალზე ორსანტიიდან გამოეთხოვებინათ აფაქიებს.

უკანასკნელ დღეებში მხიარული კისკისა ხმა და ტკბილი სიმღერის კილო ოლიკო აბაზაძეს ერთბაშად გაუქრა. ახალგაზრდა ქალის ხმაში სიამის ნაცვლად მწუხრის ზარი გაისმა.

მხატვარი სულმოუთქმელად შესცქეროდა მომღერლებს. ამ ცქერა-დაკვირვებაში გვიან შენიშნა, რომ მასთან იმ ზაფხულს დამეგობრებული მამაკაცები და ქალები თავიანთი შესახედაობით, დარდითა და სიხარულით ფუნჯის ბეწვებში ეხლართებოდნენ, თავისით ერეოდნენ საღებავებში.

მხატვარს თავიდანვე მოსწონდა სიგმას მეზობლები. მათ შრომა-გარჯის მეტი არაფერი ეხერხებოდათ. ეკრძალებოდათ ერთმანეთისა. თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ორსულს, რომ იტყვიან ცივ ნიავს არ აკარებდნენ თამროს. კამათობდნენ, რა გაუჩნდებოდა; რადგან ქალი მეტისმეტად მძიმედ იყო და ნაყოფთან გაყრის დღემოახლოვებული, თითქმის ველარ იძროდა, მეტ წილს დაეჟინებინა ქალი მიეცემაო. მედოქის ცოლი საწინააღმდეგო აზრს იცავდა. მან თავისი გუმანი ადვილად დაამტკიცა. ორსულს ქალალდი გაუშალა, ვაჟი ამოუყვანა. უნდა ენახა კაცს, როგორი კმაყოფილი იყო ამით უკლებლივ ყველა.

თამრო არავის არიდებდა თავის ვენერასებურად ჩამოსხმულ-ჩადგმულ, ახლა კი ორსულობით დამახინჯებულ შესახედაობას.

გოფოძეების რძალი თავისი მდგომარეობით ამაყობდა. უძირო ზღვისებრ საშიშარი, იდუმალებით სავსე ურუნა თვალით ცას ხშირ-ხშირად შესთამაშებდა. მხატვარს ეგონა, რომ ორსული ამ წუთებში განგებას ევედრება, ჩემი დიდი მოვალეობაა ხალხის წინაშე გაუჭირვებლად მომახდევინე, მალე დედობას შემასწარიო. როცა ამ მაღლით ავლენილ ლოცვას მორჩებოდა, მედიდურად მიიხედ-მოიხედავდა. მაშინ ხანგადასული სიგმა, ჯერ ხელუხლებელი ოლიკო, მედოქის ცოლი, კიდევ თუ იქ იყო, ტუჩებაწკაპული, უხიაკი საბედა ხის მორებად ეჩვენებოდნენ.

გარდა საბედასი, ამაზე გული არავის მოსდიოდა. თქმა არ უნდა, უხიაკი სიტყვიერად თავს არ ამჟღავნებდა, გულში კი ქოქოლას აყრიდა დღეში ჩამდგარ ორსულს: „რა ჭირი გაამაყებს, ჩასკდი, მერე რა, ყველა ქალი შობს. ასე არ ქნა, ამირანი გაგიჩნდესო“.

გაფიქრების უმალ, ორსული ქალი და ეს ჩემი მახლობელ-მეგობრები დავხატოო, ზაზამ ახალი ტილო გადააკრა ჩარჩოს მოლბერტზე. თავდავიწყებით შეუდგა ხატვას. სხვები რომ სამუშაოდან შინ ბრუნდებოდნენ, ძელქვების ქვეშ შეგროვდებოდნენ, იცინოდნენ, ხარხარებდნენ, სადილს, ჩაციებულ ნესვს, საზამთროს, ატამს შეექცეოდნენ, მთელი ორი კვირის მანძილზე, მხატვარი ტილოს უტრიალებდა გარშემო. ასეთი გადმოსახატავების შოვნა ადვილად არ შეიძლებოდა. უნდოდა ფუნჯით ნაზავის უკანასკნელად წასმამდე ერთად, უკლებლივ ჰყოლოდა ყველა.

ცარიელი ტილო დღითი-დღე თანდათან მეტყველი ხდებოდა. ნაირმალის მკვიდრნი შიგ თავისთავს ცნობდნენ. და ასე, იქამდე გრილი ჩვარი, ახლა ადამიანის ცხოვრების გამომხატველი ქსოვილი, სიხარულის ფრქვევით დასასრულს უახლოვდებოდა.

„გაგიმართლა. გაგიმართლა“, შემოსძახოდა შიგნიდან გულის ხმა ზაზას. მხატვარს ამ ხმით თავისი ძალისა და ნიჭის შეგნება ღონეს მატებდა, ახალისებდა.

სურათში განსაკუთრებით მშვენიერი, მოხდენილი მოჩანდა ოლიკოს თითები. ისინი ახალგაზრდა ქალს იმავე მანერით ეჭირა, როგორც მთლად მივიწყებულ ლიზა ქოშაძეს ჩვეოდა. ახლა ქოშაძის ქალის მარტო მოგონება ფერებისა და შტრიხების ტრფიალს უწამლავდა ფუნჯის ოსტატს. ასე არ იყო ცეცხლის პირისფარეში. მის წვრილ, გრძელ თეთრ თითებზე თვალის გადავლებაც შემოქმედებითი სიცხით თანგავდა შემოქმედს. რადაო? ეკითხებოდა თავის თავს მხატვარი და პასუხს ვერ პოულობდა. ოლიკო სხვა რიგადაც სჯობდა ყველას. თუმცა ვერ შეედრებოდა თამრო გოფოძეს, ამ ქალის სახის გადატანისას ტილოზე ზაზამ დიდის, სიცოცხლის მიმნიჭებლის ძალი და მადლი (თუმცა ამაში ნივთიერი არა იყო რა), უხვად შეურია ზეთისა და მრავალი ფერადი ფხვნილის ნაერთს.

ოლიკო რითღა იყო კარგი? ამ ქალსაც მოუძებნა კუთხე ხელოვანმა. განა მასში არ ჭვრეტდნენ ნაირმალის მკვიდრნი იმას, რასაც ჯერ გაუფურჩქვნელი ყვავილის ხიბლი ჰქვია? განა მარტო მხატვარი ეტრფოდა ამ მართლაცდა ცეცხლის პირისფარეშის ხელუხლებელ, ვარსკვლავივით კამკამა, განსპეტაკებულ შინაგან სამყაროს! ყველა, ყველა, ყველა! მამაკაცები ამას მამაკაცებისთვის დამახასიათებელი უტყუარი ალღოთი სწვდებოდნენ, ქალებს კი ქალიშვილის არაფერი ჰქონდათ უცნობი, შეუნიშნავი, დამალული. ამიტომაც მისი ხორციელი და სულიერი სიწმინდისათვის მზად იყვნენ მტლედ დასდებოდნენ გასათხოვარი ქალის სიცოცხლეს.

* * *

უხიაკი საბედა მხატვარს კვლავ თავს დასტრიალებდა, უწონებდა და უწუნებდა შტრიხებს, ფერებს, სახეებს, კომპოზიციებს, თანაც ცდილობდა, არაფერს ზოგავდა, რომ ცეცხლის პირისფარეშის, ოლიკოს ეშხ-იერი სდებოდა სურათის ყველა ფერსა და წვრილმანს. გასათხოვარი ქალისადმი საბედასგან ასე მალულად ზრუნვა მეტისმეტად აოცებდა მხატვარს. ცდილობდა ამის მიზეზი მალე აეხსნა. საბედას გულში რაღაც საიდუმლო იმალავს თავსაო, ფიქრობდა მხატვარი.

— რად არ თხოვდები? თამროს მდგომარეობაში ჩავარდნის ხომ არ გეშინია? — უდარდელად და თამამად ჰკითხა ერთხელ.

— მამაკაცთან ერთ ბალიშზე თავი დავდო? მანამდე არა ჭამოს რა სამამაკაცეთმა! — შეესმა საბედას უკმეხი პასუხი.

— რადაო? — შეძრწუნდა მხატვარი.

— გამოგიტყდე? ოლიკოს ხნისა ვიყავი, ერთმა შენგვარად, საიდანღაც ჩამოსულმა ყმაწვილმა მოსვენება აღარ მომცა. დიდხანს ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე უკანასკნელ პაემანზე შევხვედროდი და განმეცხადებინა, მოგყვებიო, გავსწიე ჩვენს ხესთან. რა თქმა უნდა, დაუგვიანებლად მობრძანდა. მეც, სულელი, სულიან-ხორციანად ხელში ჩავუვარდი, და იცით რით, როგორ დამთავრდა ეს ამბავი?

— როგორ?

— მას შემდეგ მე ის აღარსად მინახავს.

— ვთქვათ, ახლა, ამ წუთს გამოჩნდა? — ჩაურთო კითხვა ცუღლუტად მხატვარმა.

—ახლა, სადაც უნდა, იქ იყოს. გინდა აქ გამოჩნდეს, გინდა არა. ამ წუთს კი, რაკილა განდობაა, ალსარებაც მიიღე ჩემგან.

— ესოდენ დიდი ნდობისათვის გმადლობთ!—წამოუდგა მხატვარი ფეხზე.

— იმ შემთხვევის სიმწარედ და სიამედ ვაჟი მეზრდება თელავში. და იცით, რამოდენაა? შეიძლება ცოლიც შეირთოს.

— გიყვართ?

—განა საკითხავია?!

— ეგ ამბავი აქ არავინ იცის, თორემ ჩემს ყურს



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მწერლის 75 წლიწადი



სერგო კლდიაშვილი და ვახტანგ ბერიძე.



გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მწერალს სერგო კლდიაშვილს დაბადებიდან 75 წლისთავი შეუსრულდა.

რედაქციის დავალებით ფოტოსურთები უნდა გადამეღო მწერლის ამ თარიღთან დაკავშირებით. ჟურნალისათვის მასალის ჩაბარება მიგვიანდებოდა და ყოველი წუთი სათვალავში მქონდა. მინდოდა ბინაზე მენახა, მაგრამ იქ მითხრეს:

— მხატვარ ნატო ფალავანდიშვილთან არის. ქ-ნი ნატო მის პორტრეტს ხატავს და ერთი საათი იქნება, რაც მასთან წავიდაო.

გადავწყვიტე მეც იქ წავსულიყავი. სასიამოვნოც იყო ჩვენს ცნობილ მხატვართან და მის მეუღლესთან—პროფ. ვახტანგ ბერიძესთან ოჯახში მისვლა.



სერგო კლდიაშვილმა, ჩემი სტუმრობის მიზეზი რომ გაიგო, ცოტა არ იყოს, წარბი შეიკრა. ადრევე ვიცოდი, ფოტოსურათის გადაღება არ უყვარს. მაგრამ იმის იმედი მქონდა, რომ ჩემდამი მეგობრულად არის განწყობილი და უარს არ მეტყოდა. მაინც შეჭოჭმანდა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ერთი შენც, ჩემო ოთარ! რა საჭიროა ჩემი ფოტო! რომელი ნატო ვაჩნაძე მე მნახე: ვინმე ახალგაზრდა ქართველი ჭაბუკი გადაიღე, თვალს ესიამოვნება, გაახარებს თქვენი ჟურნალის მკითხველს.

მეწიშნა, თითქოს იმითაც იყო უკმაყოფილო, რომ ვახტანგისთან საუბარი შევაწყვეტინე. მასთან საუბარი კი ვის არ გაიტაცებს.

— კეთილი, გადაიღე, მაგრამ უეჭველად ვახტანგისთან ერთად, — დაყაბულდა ბოლოს სერგო.

გადავიღე პირველი ფოტო, შემდეგ მათ თითქოს დავავიწყდი, გრძელ საუბარში ჩაებნენ, მე კვლავ გადავიღე რამდენიმე ფოტოსურათი.

მხატვარი კი ამ დროს პირველი სეანსის სამზადისს შეუდგა: სინათლეს სინჯავდა, ადგილს არჩევდა, მოლბერტს დგამდა, საღებავებს იმარაგებდა. ერთხანს ის თავის საქმით იყო გართული, დაამთავრა თუ არა სამზადისი, მოიმარჯვა ფუნჯი და მაშინვე მისი ხმაც გაისმა.

— აბა, ახლა კი რამდენიმე ხნით შეწყვიტეთ ლაპარაკი. მუშაობას ვიწყებ!

სერგო მორჩილად დაჯდა სკამზე.

ტილოზე პირველი ფერები გამოჩნდა. ვახტანგიც და სერგოც ჯერ ჩუმათ იყვნენ, მერე ხმადაბლა შეეხმიანენ ერთმანეთს, თანდათან ხმას აუწიეს და მალე ისევ გატაცებით ჩაებნენ საუბარში.



სერგო კლდიაშვილი და ნატო ფალავანდიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარს მათი საუბარი ხელს აღარ უშლიდა.

მეც ჩემი საქმით ვიყავი გართული. ფართო და ნათელია მხატვრის სახელოსნო, კედლებზე ძველი და ახალი ნამუშევრები ჰკიდია.

ასე გაგრძელდა ხუთ დღეს, სერგოს ფერწერული დიდი პორტრეტი დამთავრდა.

კიდევ ერთი რამ: საქმე ის არის, რომ ვახტანგ ბერიძემ თავის მეუღლეზე უფრო ადრე დახატა სერგოს პორტრეტი. ეს იყო 1954 წელს, ქვიშხეთში. ვახტანგის ნახატსაც აქვე ვათავსებთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი რედაქციის სახელით დაბადების 75 წელი მივულოცო სერგო კლდიაშვილს, ვუსურვო მას ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

ფოტო და ტექსტი **ოთარ თურქიასი.**







ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის არ ასცდებოდა არას გზით, — უთხრა საბედას ზაზამ და ტანში საშინლად გასცრა ყინულმა.

— ნამდვილად არავინ იცის, თუ შავლე გოგიჩაძეს არ ჩავთვლით. სხვათა შორის, აკი გთხოვეთ ალსარება მიიღეთ-მეთქი, ან ეს რაღად დაგიფიცოთ, სიცოცხლეს მიმწარებს მაგისი ხვეწნა: გამომყე და შენს შვილს ჩემი და შენი ადრე ახალგაზრდობის ცოდო-მადლად ვაღიარებ. ამაში თედო ხარაძეს დავიმოწმებო. შენ იცი, რა ძველი მეგობრები არიან ისინი...

— მინდა წარმოვიდგინო, ვიგრძნო, როგორ გძულთ თქვენი მოღალატე!

— ნუ მეუბნებით! — უეცრად აუწია ხმას საბედამ. — ჩემი ახლანდელი სიცოცხლისა და სიამაყის, ჩემი ვაჟის გაჩენის მიზეზი გძულსო, როგორ მიბედავ?!

— მაშ გიყვართ?

— არც მიყვარს, არც მძულს.

— მაინც რომელი გრძნობა უფრო გძლევთ, ავი თუ კარგი?

— არ ვიცი, ღმერთმანი, აგრე გამიჭვნით ვერას ვიტყვი. ეგ შემთხვევა იყო და არის ჩემს გულში ღრმა, მტკივან, მოურჩენელ, მაგრამ უჩირქო ჭრილობასებრ...

მხატვარი გიჟივით ეცა საბედას. თითქმის ყველა მეზობლის თანდასწრებით უხიაკი გულში ჩაიკრა. რაღაც თუნდაც აკვიატებულისათვის თავგანწირული ადამიანები მოსწონდა, უყვარდა, წმინდანებად მიაჩნდა.

* * *

მოულოდნელი რამ მოხდა. მეზობლები პირშეკრულებივით თითო-თითოდ წამოდგნენ ზეზე. უხმოდ, თავჩაღუნულებმა დატოვეს ძელქვის ჩრდილები. მათ არ მოეწონათ მხატვრის საქციელი. იქაურობის გარიდების მიზეზიც ეს იყო.

— აი, ხომ გეუბნებოდით, ეგეც პირველი მსხვერპლი. მხატვარიო! დიახ! — თაღლითი ყოფილა! — დუდღუნებდა ღვინის ფალსიფიკატორი.

მხატვარი იმასაც მიხვდა, რომ ამ ადგილს და მეგობრებს მალე უნდა გასცლოდა. აშკარა გახდა: ხტუმარსა და მასპინძლებს ერთმანეთი მოყირჭებოდათ. ამიტომაც ზაზამ სიგმასთან მიირბინა, შეეხვეწა, რაც შეიძლება მალე წასასვლელად მომამზადეო. თვითონ ტილოები დაახვია, შეკრიბა ჩანახატების დასტები, ერთად შეკრა მოლბერტები, პალიტრა და ფუნჯები.

— ფსონში არ მიიღებთ მონაწილეობას? — ცალუბად შეეპატიჟა სიგმა.

— ფსონი რად მოგაგონდათ?

— ოლიკოს ვაცილებთ საღამოს მატარებლით.

— ჩემი ფსონი უკვე იყო. მე დავძლიე... მშვენიერზე მშვენივრად დავხატე ოლიკოს ხელები და თითები. ეს მეყოფა, მომილოცე-მეთქი.

— რაო? დავძლიეო! ეგ რა სიტყვაა? ცოლად ირთავ თუ? ჩემი მკვდრის განათლებამ, ცოცხლების გაძლებამ, ჭკუასთან ახლოს ხარ.

მხატვარი არას გზით არ ელოდა თავისი ნათქვამის ისე გაგებას, როგორც ის სიგმას ესმოდა.

— ოლიკოსთანა ქალს საცოლედ ვინ მომაქვავებს! ეს მესამედ ვიხილე მშვენიერება და მგონია, უკანასკნელად, არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?!— მწუხარედ, გულის კვნესით აღმოხდა ზაზას.

— ამას დამიხედე! თუ აგრეა, იმ უხიაკ საბედას რად იკრავ გულის ფიცარზე და კოცნი? ეგეთი ადამიანის მოძულე რად ამოგიჩემებია მოყვრად? რას დაეხეტება შენთან? რად გჭირდება მისი რჩევა? ვეე, მამაკაცო, სცნობდე შენს თავს, ზომას ნუ გადახვალ. ღმერთო, დამიფარე! სად შენ, ოცდარვა წლის ბიჭი, სად ის — ოცდათვრამეტს გადაცილებული უხიაკი! ახლა ენა ჩაიდუმე და მისმინე: გაიგე, წუხანდელს აქეთ აქ რა მოხდა? ანძახაძეს წნევამ დაჰკრა, სიხხლი ჩაექცა. ექიმმა თქვა და ნაირმალის უბნის დედაკაცებმა დაადასტურეს, მზის ჩასულს სულს დალევსო. თამრო გოფოძე სამშობიაროში გავაგზავნეთ. მდივანი და ვატო ბაქრაძე ჩვენს უბანში ღვინის დიდი ქარხნის ასაგებად ადგილს არჩევდნენ. ამისთვის იყვნენ თურმე მშობიარის ილბლად აქ, ნაირმალზე მოსულნი და გაგიხარია, მანქანიდან ძირს ჩამოვაბრძანეთ. საბედა, საბედას არ იკითხავ? გათხოვილა! წუხელის ხელი მოუწერია. ვისთან, თუ იცი? შავლე გოგიჩაძესთან და იცი ვინ ჰყოლია მაყრად? მხოლოდ თედო ხარაძე. ხედავ, რა უხმაუროდ გაგვეპარნენ! თუმცა, სად გაგვექცევიან, ქორწილს, უნდათ, არ უნდათ, მაინც გადავახდევინებთ.

მხატვარი სიგმას აღარ უსმენდა. მისი ყურადღება ოლიკოს სამგზავრო დაუკეტავ ყუთის ხალთაპერანგზე წითლად ამოქარგულ ორ ასოს, პატრონის ინიციალებს მიეპყრო. გული აუფართქალდა, თბილისში, ავტოსადგურზე ნახული ქალი ხომ არ ვიპოვეო. მაგრამ ოლიკო ქერაა, ის კი შავთვალწარბა იყო.

—არ ვიცი, ღმერთმანი, უბედურებაა თუ ბედნიერება, ყველა ერთად შენ ფეხს მოჰყვა ამ ზაფხულს ჩვენს უბანში. რა ასეთი ძალა გქონდა! ახლა, რაც მალე წახვალ აქედან, ის აჯობებს, — განაგრძობდა სიგმა ზაზას შეგონებას.

მხატვარი იმ ღამით მართლა აპირებდა თბილისში გამგზავრებას, მაგრამ ეს ახლა აღარ აგონდებოდა. სწრაფად მიუახლოვდა ყუთს, სწორედ ისეთი იყო — თეთრად პრიალა, თეთრი ტილოს ხალთაპერანგში მოქცეული ლითონის ბალთებიანი სამგზავრო კოლოფი. მაგრამ ამ ხალთა-პერანგზე „ი“ და „ბ“-ს ნაცვლად, სულ სხვა ასოები „ო“ და „ა“ იყო ამოქარგული.

ზაზამ მალე ყუთს თავიც ახადა. თვალში პირველად წიგნები ეცა. სულ ხუთი-ექვსი დაითვალა. გულის ფანცქალით თითო-თითოდ იღებდა ხელში, თავფურცლებს კითხულობდა. წიგნებს ქვეშ ფოტოსურათები ეწყო. ერთ მათგანზე უეცრად დაინახა ალექსანდრე და ლიზა ქოშაძეების სახეები. ცოლი და ქმარი სავარძელზე ისხდნენ, ოთხი შვილი მუხლებზე ესვათ.

— ესენი რად მოხვდებიან ოლიკოს? — შეეკითხა სიგმას.

— ქალი, — თითი დაადო მან, — ოლიკოს გამზრდელი დაია, კაცი — მისი ქმარი, ბავშვები — შვილები.

—-მაშ თამრო სამშობიაროში წაიყვანეს? — უადგილოდ იკითხა მხატვარმა, — ღმერთმა კეთილად გადაარჩინოს. კარგი ქალია.

— შენ ილბლად თამრო ორსულად იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, იმისი ეჭვიანი ქმარი თავის ცოლს თვალითაც არ გაჩვენებდა, — გასამწარებლად და ნიშნის მოგების კილოთი უთხრა სიგმამ ახალგაზრდა კაცს.

— აგრე საშიშარი ვარ?

— ხარ! კაცი რომ საბედას სამამაკაცეთისკენ გულს მოუბრუნებს, საშიშია, მა რა! ესეც არ იყოს, გაქრი, აგერ ჩვენ რა გვიყავი! გვეგონა, სამარის პირის რიგში ვიდექით და თურმე სიცოცხლე, სიხარული და წუხილი კიდევ შეგვძლებია. ეს რომ იპოვნე ჩვენს სულსა და გულში, ამით ყველას თავი შეგვაყვარე.

— ქარხანაში ანგარიში გავასწორე. დეიდა სიგმა, მატარებლით წასვლას ავტობუსი ვარჩიე! — კარიდან დაიძახა ახალგაზრდა ქალმა და უკან დაიხია, ზაზას ამ დროს იქ დანახვას ოლიკო არ ელოდა.

— ავტობუსზე ამ სამიოდე წლის წინათ ხომ არაფერი შემთხვევა გქონია? — უეცრად შეეკითხა ზაზა. ჯერ მაინც არ ეგონა, თუ დაკარგულ გოგონას არ მიაკვლია და განაგრძო: — ვთქვათ, ფეხი გაგისრიალდა, კინაღამ თავი დაჰკარი ქვას ასფალტის კიდეზე, ვიღაცამ დაგიჭირა, ასე ხიფათს გადაგარჩინა. მერე ავტობუსში ჩაგხვა, ყუთი ხელში მოგაწოდა?

— არა, ავტობუსით შორს ჯერ არც მიმგზავრია. თბილისში ნათესავებთან მხოლოდ მატარებლით მივდივარ ხოლმე.

— ეს მაინც მითხარი გულახდილად: ნაირმალს გარდა, სხვაგან ხომ არსად შემხვედრიხარ?

— მხოლოდ ერთხელ თბილისში. ჩემმა უფროსმა დამ დამანახვა თქვენი თავი შორიდან, ის მხატავსო.

— ამ ქალმა? — ზაზამ უჩვენა ფოტო. მერე თითი დაადო ლიზას.

— დიახ! — დაუდასტურა ოლიკომ.

ახლა მხატვარმა გულის ჯიბის წიგნაკიდან ოთხად შეკეცილი თეთრი ნაჭერიც ამოიღო და ჰაერში შეაფრიალა. სამი წელიწადი სრულდებოდა მას თან ატარებდა.

— ხომ არ იცით ვისია? — შეეკითხა კვლავ და პასუხიც უმალვე მიიღო:

— ბაბთა ჩემი არ არის. ისე კი, ეგეთი თმის სამკაული, როგორც ყველა ჩემს ტოლ ქალებს, მეც ბევრი მქონია.

— ოლიკო, უშენოდ ერთ დღესაც ნუ მიცოცხლია!

— ამას რას მეუბნებით! — წამოიძახა ქალმა.

— ერთი შემთხვევის გადამკიდე სამი წელიწადია დავეძებ და აი, სად, როგორ გადავაწყდი ღვთისა და განგებისაგან დანიშნულ ჩემს ბედს. დეიდა ანანო, იქნება შენ მოგვეშველო, ჰა! — შეეხვეწა სიგმას მხატვარი.

— აბა, ჩემი შველა რად გჭირდებათ! ეგ არის ოლიკოს გავამხელ, გავთქვამ. მე ვიცი, არც მას შეუძლია აწ უშენობა და ამიტომ მიდის აქედან. კი არ მიდის, თავქუდმოგლეჯილი გარბის, ქალის გულის და მთელი სიცოცხლის დამაღონებელმა იმ ოხერმა გრძნობამ, სიყვარულმა საბედას ოინი არ დამმართოსო.

— ოლიკო, ხედავ, გესმის, რას ამბობს დეიდა სიგმა? — შეეკითხა ზაზა ცეცხლის პირისფარეშს.

— მესმის, არ უარვყოფ... კიდევ მეტიც. მეც გადაწყვეტილი მქონდა, ოღონდაც თქვენზე ადრე, უთქვენოდ არ მეცოცხლა.

მხატვარმა აღარ აცალა ახალგაზრდა ქალს სათქმელის დამთავრება. მივარდა, ხელი მოჰხვია, სიგმასთან მიიყვანა.

— დაგვლოცე, დეიდა ანანო!

— რამდენი რამის მოწმე გახდება ადამიანი! აქ სიცოცხლე და ბედნიერება ინასკვება, იქ, სადღაც ვიღაცას თავისი რიგი მოუვიდა, თავდება, — შეჰღაღადა თავის სახლის ჭერს ანანომ და ახალგაზრდებს მიმართა: — დამილოცნიხართ, ოღონდ მალე გასწით შინ.

ახალგაზრდების თავისებურად დალოცვა, მერე რჩევა-დარიგება სიგმას არც კი დაემთავრებინა, რომ ნაირმალზე შეკივლება გაისმა.

— ნეტავი რა ამბავია? —შეჩოჩქოლდა მხატვარი.

— მგონია, ანძახაძემ თქვენი ჭირი წაიღო! — აღმოხდა სიგმას და ხმაში კანკალით განაგრძო: —დიახ, ყველას ჭირი წაიღო! ეგ დღეს თქვენი საქმე აღარ არის. გასწით იმ გზით, რომელიც გელით. საწუხარს აქ ჩვენც მოვუვლით, უთქვენოდაც მივაყრით მიწას მიცვალებულს. აბა, მალე გასწით აქედან!.. ავტობუსი, სადაც არის, ჩამოდგება. — მერე ამას ისე დაუმატა, თითქოს ეს არავის შეეხებოდა: — საზიზღარი რამ არის სიკვდილი!

ზაზა ორჭოფულ გუნებაზე დადგა. არა, აბა, რას ჰგავდა! ისეთ სასტიკ წუთს, როცა უბანში ნაცნობი ადამიანი გათავდა, მეგობრებს სტოვებდა, იქ სხვა ამბავიც ეუხერხულებოდა. სწორედ დღეს, ამ მკაცრ წუთებში მიაგნო, როგორ დაემთავრებინა ლიზა ქოშაძის პორტრეტზე, მართლაცდა ლამაზი ქალის მოხდენილი ხელ-თითები. მერე მალე გადაავიწყდა ყველა საზრუნავ-საწუხარი, როცა ავტობუსის საფეხურზე ყუთს აწვდიდა ცეცხლის პირისფარეშს. ეს კი იყო, ქალს შეეკითხა:

— ჰა, ოლიკო! რას იტყვი? შენი გამზრდელი დაი მეც გამიწევს დედობას თუ არა?

ოლიკომ არაფერი უპასუხა. სამაგიეროდ ნდობით, სიყვარულით აღსავსე თვალები მიაპყრო. ამით თითქოს უთხრა:

— ჩემი ჯიშის ქალებმა ადამიანებზე ამაგის დადებისა და ზრუნვის მეტი არა ვიცით რაო.

# თეთრი სახლის შავი ჩრდილები

ალბერტას ლაურინჩიუკასი
ლიტველი მწერალი

ვაშინგტონში ბევრი პატარა მოედანია, სადაც თავს იყრის ექვსი-შვიდი ქუჩა. ამ მოედნებზე დადგმულია „დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომისა“ და ამერიკის სამოქალაქო ომის გენერლების ძეგლები. თუ ცხენი სამ ფეხზე დგას, ეს იმას ნიშნავს, რომ გენერალი დაიღუპა ბრძოლის ველზე. თუ დგას ოთხივე ფეხზე — გენერალი მოკვდა თავის საწოლში. ყველაფერი გასაგები და ნათელია. სამაგიეროდ, არლინგტონის სასაფლაოზე კაცი ვერაფრით ვერ გაარკვევს ვინ დაიღუპა სამშობლოს დაცვის დროს და ვინ სხვა ხალხების დამონებისათვის ჩხუბში.

ამერიკაში სასაფლაოები ძალიან ჰგვანან ქალაქებს. საფლავებს შორის მოასფალტებული ქუჩებია, სადაც შეიძლება მანქანებით სიარული. ამ ქუჩებს აქვთ თავიანთი სახელები და მოძრაობის მაჩვენებელიც კი. აკლდამები აგებულნი არიან როგორც უფანჯრო მინიატურული სახლები. საფლავებსაც კი ექსკავატორებით თხრიან.

ამერიკის ყველა პატარა ქალაქი ერთმანეთს წააგავს, ასევე ჰგვანან ერთმანეთს სასაფლაოებიც.

არლინგტონის სასაფლაო გამონაკლისს წარმოადგენს. აქ მრავალი აკრი მშვენიერი მიწაა, დაფარული ბალახის მწვანე ხავერდით, რომელსაც უვლიან, რწყავენ და კრეჭავენ სპეციალური მანქანებით. თანაბრად მწვანე ფონზე მკაფიო ოთხკუთხედებად გამოიკვეთებიან ქვის აკლდამები; არლინგტონის სასაფლაოს გული უცნობი ჯარისკაცის სამარეა. მასთან დღედაღამ საპატიო ყარაულში დგას ორი ავტომატიანი მეომარი. ასე სცემენ პატივს ბრძოლაში დაცემულთ.

იყო დრო, როცა დიდი ამერიკელები — ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ლინკოლნი და სხვები — მოუწოდებდნენ თავიანთ ხალხს ინგლისური კოლონიალიზმის, სამხრეთ შტატების კონფედერაციის რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასზე მეტი წლის წინ, ავსტრიის კანცლერმა მეტერნიხმა გაბრაზებულმა თქვა: „სადაც არ უნდა იფეთქოს რევოლუციამ, ამერიკელები მაშინვე იქ ჩნდებიან. ისინი დასტირიან რევოლუციონერებს, როცა ისინი მარცხდებიან და ტაშს უკრავენ, როცა იმარჯვებენ“. დღეს პენტაგონი თვითონ გზავნის ამერიკელებს სხვა ქვეყნებში რევოლუციის ჩასაქრობად, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ჩასახშობად. საზღვაო ქვეითი ჯარის რაზმები თავიანთი დაჭედილი ფეხსაცმლებით თელავენ თავისუფლების, თანასწორობისა და დამოუკიდებლობის ლოზუნგებს, რომლებითაც თავის დროზე ბურჟუაზია ხელისუფლების სათავეში მოექცა. ახლა იგივე ლოზუნგები შიშსა და ძრწოლვას იწვევენ მასში.

ვაშინგტონის ცენტრიდან რომ არლინგტონის სასაფლაოზე მოხვდე, თეთრ სახლს უნდა ჩაუარო. გზა მიდის ლამაზ მდელოზე, რომელზეც აღმართულია ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის — ჯორჯ ვაშინგტონის მონუმენტი. 555 საფეხურს მივყევართ ამ მონუმენტთან, რომელიც 1.187.710 დოლარი და 31 ცენტი დაჯდა. შემდეგ გვერდს ვუხვევთ ამერიკელი ხალხის ორი გამოჩენილი შვილის — თომას ჯეფერსონისა და აბრამ ლინკოლნის დიდებულ ძეგლებს. მათ იქით ხიდია მდინარე პოტომაკზე და როცა გაივლით ამ ხიდს, მარცხენა მხარეს თქვენს წინ, როგორც ხელისგულზე, გამოჩნდება გრანდიოზული 34-სართულიანი შენობა, სადაც მოთავსებულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მანქანის შტაბი. შენობა აგებულია ხუთკუთხედის ფორმით და ამიტომ ჰქვია პენტაგონი.

სიტყვა „პენტაგონი“ დიდი ხანია აღარ იწვევს ადამიანთა წარმოდგენაში გეომეტრიულ ფიგურას, იგი გადაიქცა ამერიკული იმპერიალიზმის სიმბოლოდ, ისევე როგორც ნიუ-იორკის პატარა ქუჩა უოლ-სტრიტი გადაიქცა ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის სინონიმად.

პენტაგონმა თავისი საცეცებით შეაღწია ქვეყნის ხელისუფლების ორგანიზმის ყველა უჯრედში. თადარიგის 200 გენერალი და ადმირალი, 1.300 პოლკოვნიკი და 6 ათასზე მეტი სხვა მაღალი ჩინის სამხედრო — პენტაგონის აღზრდილნი — მუშაობენ ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში შესატყვის თანამდებობებზე. პენტაგონის ქონება შეფასებულია 160 მილიარდ დოლარად. პენტაგონს ეკუთვნის 32 მილიონი აკრი მიწა შეერთებულ შტატებში და 2,6 მილიონი აკრი ამ ქვეყნის საზღვრებს გარეთ. პენტაგონი არის სახელმწიფო სახელმწიფოში.

ხუთკუთხედ შენობაში იქმნება სულ სხვადასხვანაირი აგრესიული გეგმები, რომლებსაც, ჯერ კიდევ ხორცშეუსხმელებსაც კი, ვიღაც-ვიღაცეებისათვის გრანდიოზული მოგება მოაქვთ.

ამერიკელებმა იციან, რომ ერთი რაკეტა „ატლასი“ ღირს იმდენივე, რაც ღირს 70 კარგი ბიბლიოთეკა. ერთი ატომური ავიამზიდის ღირებულება უდრის 950 თანამედროვე სკოლის ღირებულებას. ხოლო ერთი ბალისტიკური რაკეტის ნაცვლად შეიძლება აიგოს სამი დიდი სიმძლავრის ელექტროსადგური.

მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა 50 მილიონზე მეტი კაცი, ხოლო ათეულ მილიონობით ადამიანი დაიჭრა და დასახიჩრდა.

პენტაგონისა და მონოპოლიების მიერ დაქირავებული სწავლულები დაჟინებით ეძებენ ადამიანთა მოსპობის სულ უფრო ახალ საშუალებებს, თუმცა ასეთი საშუალებები უიმისოდაც საკმაოდ ბევრია. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ამჟამად საწყობებში ინახება 15 მილიონამდე ცალი ატომური ბომბი, იმათი მსგავსი, რომლებმაც აღგავეს პირისაგან მიწისა ხიროსიმა და ნაგასაკი. ამერიკელებმა გამოითვალეს, რომ 20 მეგატონიანი ერთი წყალბადის ბომბის აფეთქებას შეუძლია სიკვდილის ზონად აქციოს ტერიტორია ფილადელფიიდან ნიუ-იორკამდე.

ნაგასაკსა და ხიროსიმაში ამერიკელების მიერ ჩამოგდებული ატომური ბომბების აფეთქებიდან 10 დღის შემდეგ, იაპონელი მსახიობი ქალის მიდორი ნაკას მკურნალმა ექიმმა დღიურში ჩაწერა: „დღეს გარდაიცვალა იაპონიის ყველაზე ლამაზი ქალი. უმოკლეს ხანში იგი გადაიქცა უთმო, უკბილო, საშინელ არსებად. იგი მოკვდა დარწმუნებული იმაში, რომ ის მოჰკლა აფეთქებულმა მზემ... მაგრამ მზე კვლავინდებურად ანათებს. მაშ რაღა აფეთქდა?“

ასეთი ჩანაწერი წარმოიქმნა იმიტომ, რომ იმპერიალისტური იაპონიის მთავრობა, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით, დიდხანს უმალავდა ხალხს, რომ ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოგდებულ იქნა ბომბები, რომ დაიწყო მსოფლიოში პირველი ატომური ომი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გულუხვად დააჯილდოვა ისინი, ვინც განახორციელა ოპერაცია „ხიროსიმა და ნაგასაკი“. მაგრამ არის რაღაც, რასაც ვერავითარი ფულით ვერ შეისყიდის კაცი. თუმც მოგვიანებით, მაგრამ ატომური თავდასხმის ერთ-ერთ მონაწილეს, კლოდ იზერლის სინდისი გაეღვიძა და მან საჯაროდ განაცხადა, რომ იგი არის „მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მკვლელთაგანი“. „ვისაც სინდისი აქვს, უმჯობესია ციხეში იჯდეს“, — თქვეს მათ, ვინც მანამდე კლოდ იზერლის ეროვნულ გმირად აცხადებდნენ. სულ მალე მათ „დაადგინეს“ მფრინავის შეურაცხადობა და საგიჟეთში დაამწყვდიეს.

ზოგჯერ შეერთებული შტატების საზოგადოებრივ მოღვაწეებს უყვართ ლაპარაკი ამერიკელი ხალხის მშვიდობისმოყვარულ ტრადიციებზე. ამერიკელი ხალხი ნამდვილად მომხრეა მშვიდობისა. შეერთებულ შტატებში ტარდება მიტინგები და დემონსტრაციები, გზავნიან სენატში მოთხოვნებს: შეწყდეს სამარცხვინო ომი ვიეტნამში! მაგრამ ამერიკელი ხალხი და ამერიკელი იმპერიალისტები — ეს სულ სხვადასხვა ცნებებია.

გაუგონარ დანაშაულს სჩადიან ამერიკელი იმპერიალისტები ვიეტნამში. მართალია, მათ ჯერ კიდევ არ გამოიყენეს იქ ატომური ბომბები, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ასე იმიტომ კი არ იქცევიან, რომ უფრო ჰუმანურები გახდნენ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ატომური ბომბი აქვს საბჭოთა კავშირსაც, რომელიც ვიეტნამელი ხალხის ერთგული მეგობარია. სამაგიეროდ, შეერთებული შტატების მხედრიონი დიდი რაოდენობით იყენებს ნაპალმსაც და მომწამვლელ ნივთიერებასაც, სპობენ რა ამ მრავალტანჯულ ქვეყანაში ადამიანებს, ნათესებს, ყოველივე ცოცხალს.

ვიეტნამის ქალაქებისა და სოფლების, ქარხნებისა და ელექტროსადგურების ბარბაროსულმა დაბომბვამ, ვაშინგტონელი სტრატეგების აზრით, მუხლებზე უნდა დააყენოს ვიეტნამელი ხალხი, მაგრამ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის დამარცხება შეუძლებელია. ვიეტნამში საომარი მოქმედების ესკალაცია იწვევს ამერიკელ დამპყრობლებისადმი სიძულვილის ესკალაციას.

შეერთებული შტატების მმართველი წრეები ხშირად ლაპარაკობენ: ამერიკა თვით ღვთის მიერაა მოწოდებული იდგეს „თავისუფალი სამყაროს“ სადარაჯოზეო.

ღვთისა რა მოგახსენოთ, მაგრამ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხები ნამდვილად პროტესტს აცხადებენ ძია სემის ამგვარი „მეურვეობის“ წინააღმდეგ.

აბრამ ლინკოლნი ამბობდა, რომ შეიძლება ადამიანთა მცირე რიცხვის დამონება დიდი ხნით, ან ბევრის დამონება მოკლე ხნით, მაგრამ შეუძლებელია სამუდამოდ დაიმონო ყველა.

ამ სიტყვების სამართლიანობა დასტურდება ამჟამად ისტორიის მთელი მსვლელობით.

თარგმანი ლ. შიოშვილისა.



1

# წინ დიდი გზაა



4

ფოტო თ. არჩვაძისა.

განიერ, მაღალ კიბეს დიდსა და ნათელ დერეფანში აჰყავხართ. ზარი დაირეკა... დერეფანში სიჩუმეა. აქ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში ახლა მეცადინეობა მიმდინარეობს.

სულ რამდენიმე წუთის წინ, ვიდრე ზარი დაირეკებოდა, ეს შავთვალწარბა ქალიშვილი დერეფნის კუთხეში მიმდგარიყო, ხელში წიგნი ეჭირა და ხმამაღლა კითხულობდა. ამ ქალიშვილს საოცრად ნაცნობი სახე აქვს. თითქოს სადღაც შეგხვედრიათ, სადღაც გინახავთ. (ფოტო № 1).

2



3



თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, ქართველებთან ერთად, სცენის ოსტატობას ეუფლებიან მოძმე ხალხთა შვილებიც. აქ შეხვდებით ჩერქეზებსაც, ყარაჩაელებსაც. ინსტიტუტში დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე ზრუნვას, პროფესორ-მასწავლებლები დიდად გულისხმიერნი არიან მათ მიმართ, არაფერს იშურებენ, რომ მათ მისცენ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. ჩერქეზი და ყარაჩაელი სტდენტები ყოველთვის დიდი ინტერესით ისმენენ თეატრის პრორექტორის, დოცენტ ეთერ გუგუშვილის ლექციებს (ფოტო № 2).

აგერ, ისევ ის ქალიშვილი, წეღან რომ დერეფანში შეგვხვდა. ახლა აუდიტორიაშია, მერხზე ზის. აქ, სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებთან მეცადინეობას ატარებს რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი.

— აბა, ნანი, გაიმეორე! — ეძახის იგი. ნანი, ნანა ჩიქვინიძე, ნაცნობი სახელი და გვარია, ნაცნობი სახე. დიახ, ისარის, პატარა ნანა, ამ ათიოდე წლის წინათ ფილმებში „მაგდანას ლურჯასა“ და „სხვის შვილებში“ რომ გაგვახარა! ახლა ის უკვე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია (ფოტო № 3).

პირველი ზარი ამ კედლებში ოცდაცხრა წლის წინათ დაირეკა. იმ პირველი ზარის მომსწრეა ინსტიტუტის მხცოვანი პედაგოგი, ადრე რუსთაველის თეატრის მსახიობი ეთერ კედია. სიბერე რას მიქვია, როცა გულს ეხალისება, — ამბობს იგი და კვლავ სიყვარულით განაგრძობს სტუდენტთა აღზრდას (ფოტო № 4).

დიდი შრომა უხდებათ პედაგოგებს პირველკურსელებთან. პირველ კურსზე ისწავლება სამსახიობო ანბანი. ჯერჯერობით არც ერთი სიტყვა... მხოლოდ მოძრაობა, ასეთია იმ ეტიუდების შინაარსი, რომლებსაც პირველკურსელები ასრულებენ. ეტიუდი დიდ როლს თამაშობს მსახიობის შემოქმედებაში. რეჟისორი გივი სარჩიმელაძე ყურადღებით აკვირდება სტუდენტთა პირველ ნაბიჯებს (ფოტო № 5).

5



ოცდაცხრა წლის მანძილზე არა ერთმა თაობამ გაიარა ხელოვნების ეს შესანიშნავი სკოლა, და ვინ მოსთვლის ამ ხნის მანძილზე მან ქართულ ხელოვნებას რამდენი ნიჭიერი შემოქმედი შემატა!

დღეს ამ ქალიშვილების და ჭაბუკების სახელები მხოლოდ ინსტიტუტის კედლებში ისმის. გაივლის დრო და მათი სახელები და გვარები თეატრების პროგრამაში დაიწერება, ეს ნაცნობი სახეები ეკრანებიდან გაგვახსენებენ თავს. მათ, წინ დიდი გზა აქვთ.

ლინა ბარათაშვილი

ახალი, მე-20 საუკუნის მიჯნაზე, 1900 წლის იანვარში გიორგი წერეთელი მძიმე ავადმყოფობამ იმსხვერპლა. ეს იყო მისი „კვალის" არსებობის მეშვიდე წელს. ძალიან დაეტყო ეს დანაკლისი ჩვენი ჟურნალ-გაზეთების იმ წლების ვითარებას, კერძოდ, „კვალს" და „მოამბეს".

სამაგიეროდ, მოდიოდა და მრავლდებოდა ძველი თაობის ცვლა — ახალი დასი, ახალი პროზაიკოსები, კრიტიკოსები, პუბლიცისტები, რედაქტორები; მათ შორის ახალმა საუკუნემ დავით კლდიაშვილის მხატვრული კალმითაც მოგვილოცა თავისი შემოსვლა.

დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება" ჯერ კიდევ 1894 წელს დაარსებულმა სქელტანიანმა ჟურნალმა „მოამბემ" გამოაქვეყნა, პირველი წლის დეკემბრის (ე. ი. მე-12) ნომერში. მისი მოთხრობებიც იბეჭდებოდა და უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა. მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, მამას და მისი მეგობრების წრეში ამ ავტორმა უფრო დიდი ყურადღება მაშინ მიიქცია, როდესაც თავისი მეორე სახცენო ნაწარმოები დაბეჭდა იმავე „მოამბეში", უკვე რუსეთ-იაპონიის ომის თვეებში, 1904 წელს. ეს იყო „დარისპანის გასაჭირი".

ქართველ კალმოსანთა რაზმს რომ ასეთი ახალი ტალანტი შეემატა, ამის გამო მამას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

საინტერესოა, რომ ამ ახალი მწერლის ორივე საუკეთესო დრამატული ნაწარმოები: „ირინეს ბედნიერება" და „დარისპანის გასაჭირი" ჩვენმა ახალგაზრდობამ (ქუთაის-ბათუმ-თბილისიდან) პირველად სცენაზე ჩვენი სამშობლოდან ძალიან შორს იხილა, მოყვარულთა შესრულებით: ნევას ნაპირებზე, პეტერბურგში, სადაც 1900-იან წლებში მრავალი ქართველი სტუდენტი და ქალთა უმაღლესი კურსების თუ ინსტიტუტების „კურსისტკები" შეიკრიბნენ, იმდენად ბევრნი, რომ როდესაც ჩვენი გამოშვების ნაკადი შემოემატა 1904 წლის შემოდგომიდან პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა კოლონიას, უშუალოდ შინაგან საქმეთა ჯალათ-მინისტრის პლევეს მოკვლის შემდეგ რევოლუციონერების მიერ, ჩვენ იქ ერთი ქართული სათვისტომოს ნაცვლად (რასაც მაშინ რუსულად „ზემლიაჩესტვო"-ები ერქვა), ორი სხვადასხვა მიმართულების სათვისტომო დაგვხვდა: ერთი — „არისტოკრატებისაგან" შემდგარი (პირვანდელი, თბილისელების მიერ დაარსებული), რომელსაც სათავეში ედგა თბილისელი გენერლის გაბაშვილის ვაჟი, სტუდენტი დიმიტრი (მიტია) გაბაშვილი. ამ სათვისტომოს „პირველი" ერქვა და ის „უპარტიოთა" გაერთიანებად ითვლებოდა.

მეორე სათვისტომო ახლად დაარსებული იყო, სწორედ იმ ხანებში, ჩვენ რომ ჩავედით პეტერბურგში; იგი, თითქმის მთლიანად, ქუთაისელ ქალ-ვაჟ სტუდენტებისაგან შედგებოდა, ერთი-ორი ბათუმელის დამატებით. სათავეში მას პეტრე ქავთარაძე ედგა, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი; ჩვენი ნაკადი რომ ჩამოვიდა, ორივე ამ სათვისტომოს აქტივი შეიკრიბა, ჩვენთვის თავთავისი გაერთიანების გასაცნობად; ამ შეხვედრის დროს ისეთი შეტაკება მოხდა იმ ორი მიმართულებისა, რომ ახლად ჩამოსულებმა ერთხმად გადავწყვიტეთ ჩვენი საკუთარი, „მესამე" სათვისტომოს დაარსება, რომლის ხელმძღვანელად ვანო ჩერქეზიშვილი ავირჩიეთ; ჩვენს თავს „დამოუკიდებელთა სათვისტომო" ვუწოდეთ, რადგანაც არც პირველი გაერთიანების მიმართულება მოგვეწონა, არც მეორისა; ჩვენ, თბილისიდან ჩამოსულებს — ჩერქეზიშვილს, მე, ტარიელ კეზელს (დავით სოსლანის შვილს), სიმონ ჩხეიძეს და სხვებს პირველ რიგში განზრახული გვქონდა მეცნიერებას დავწაფებოდით: ლექციები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, სალამოობით კი აქაური განთქმული თეატრები და კონცერტები.

ორივე ჩვენზე „უფროს" სათვისტომოში კი ეს საკითხები მეორე პლანზე ჰქონდათ გადატანილი. პირველი სათვისტომოს მთავარი ხაზი იყო პეტერბურგელ ქართველთა დაახლოება მეფის კარის უმაღლეს საზოგადოებასთან, „სასარგებლო" ნაცნობების შეძენა. ამ სათვისტომოში შესვლა მაღალწრიული თავდაჭერის ცოდნასაც მოითხოვდა, სათანადო ჩაცმულობა-თავხურვასაც, ხარჯებს, თავისუფალი დროის დიდ მარაგსაც. ეს გაერთიანება, პირველ რიგში, შარვაშიძეების და ერისთავების ოჯახთა მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა; სახცენო ხელოვნებიდან მათი რჩეული დარგი იყო სამეფო ოპერის თეატრის ოთხშაბათ-კვირაობის სალამოს ბალეტი, მთელ მსოფლიოში განთქმული თავისი ბალერინებით (ქსეშინსკაია, პავლოვა, კარსავინა). იმ წლებში კი ჯერ კიდევ ცეკვავდა მათი წინამორბედი ვარსკვლავი — მარია პეტიპა, განთქმული მარიუსის შვილი და შარვაშიძეთა ოჯახის რჩეული მოცეკვავე.

სულ სხვა იყო მეორე სათვისტომო, რომელსაც ჩვენი ნაკადის მთელი ქუთაისელი ჯგუფიც მიემხრო, მათ შორის, ბაბულია კანდელაკი, ბაბი კიზირია, ელენე ქიქოძე, თამარ შარაშიძე (შემდგომში ქარცივაძე), ანიჩკა ჩირგაძე (შემდგომ თაგუნას ცოლი) და სხვ. „სასარგებლო" ან „ბრწყინვალე" ნაცნობობათა ძიების ნაცვლად ეს ახალგაზრდები თავგამოდებით ემსახურებოდნენ თავისთვის დასახულ მაღალ მიზნებს; თავისუფალ დროს კი ისინიც სწავლას ანდომებდნენ. და ეს ჩვენს სათვისტომოს მათ გაერთიანებასთან ბევრად უფრო აახლოვებდა, ვიდრე პირველთან, მით უმეტეს, რომ ჩვენ მათთან ძველი მეგობრობაც გვაკავშირებდა, რომელიც ქუთაისიდან მომდინარეობდა, მამიდაჩემის, კატო ნიკოლაძის პანსიონიდან, სადაც ორი წელი მეც მქონდა ბავშვობაში გატარებული.

იმ პანსიონიდან ყველანი, ქავთარაძის, ანუ მეორე სათვისტომოში დამხვდნენ, გარდა ზურა მაჩაბლისა, რომელიც პირველი სათვისტომოს ერთ-ერთ ბურჯად ითვლებოდა, და ჩვენ სტუდენტურ სალამოებზე, გაბაშვილთან და სხვა ამხანაგებთან ერთად, ქულაჯაში გამოწყობილი მოდიოდა; მეორე სათვისტომო კი ამის გასანეიტრალებლად „კოსოვოროტკებით" ხვდებოდა მათ და მათს „მაღალ სტუმრებს". ასევე მკვეთრად განსხვავდებოდა ქალების გარეგნობა და



# წლები და შეხვედრები

რუსუდან ნიკოლაძე

ჩაცმულობა: სად ჩვენი ორი „უმცროსი" სათვისტომოს ქალებისა და სად მათთან დაახლოებული ქართველი ოჯახების „ფრეილინა" — ქალების ბრწყინვალე სამეჯლისო მორთულობა, რომელსაც აკაკის თქმით, სიტყვა „გატიტვლება" უფრო მოუხდებოდა, ვიდრე ჩაცმულობა.

ჩვენი „მესამე სათვისტომო" იმდენად განსხვავდებოდა პირველისაგან და იმდენ რამეში სულ ახლო გრძნობდა თავს მეორესთან, რომ თანდათან, ჩვენი იქ ჩასვლის პირველივე თვეებიდან „ქავთარაძელებმა" წინადადება მოგვცეს მათთან საერთო „კულტურულ-თეატრალური წრე" დაგვეარსებინა. ეს იმისთვის, რომ ჩვენ, მესამე სათვისტომოელებს, თავისუფლებს სხვა, უფრო სერიოზული დავალებებისაგან, მეტი დრო და მოცალეობა გვექნებოდა თვალყური გვედევნებინა საინტერესო ლიტერატურული სალამოებისა, თეატრალური დადგმებისა და კონცერტებისათვის, გვეშოვნა ბილეთები, აგრეთვე მოგვეწყო ჩვენი საკუთარი სტუდენტური სალამოები.

იმ წრეში, ცხადია, მეც მოვხვდი, ვინაიდან ვერავითარ სხვა ხაზს ჩვენი სათვისტომოების საქმიანობისა მე ვერ დავუკავშირე ჩემი გატაცებული მუშაობა ქიმიასა და ფიზიკაში; პეტერბურგის თეატრებით კი ისე ვიყავი აღტაცებული, რომ ამ წრეში სიხარულით ჩავეწერე; მაგრამ ამის გამო, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ჩავები სცენისმოყვარეთა ჯგუფში, რომელიც მამიდაკატოს ნათლულის და ჩემი ბავშვობის მეგობრის, ელენე ჩხეიძის, იმ დროს სტუდენტ-მათემატიკოს გიორგი გეგელაშვილის მეუღლის ოჯახში იკრიბებოდა, და რომელსაც მიზნად ჰქონდა ქართველ ავტორთა პიესების დადგმა.

ჩხეიძეების გვარი, როგორც ჩანს, თეატრალური დინასტიაა ჩვენში, რადგან ამ წრეში ლადო მესხიშვილისა და ნუცა ჩხეიძის მგზნებარე თაყვანისმცემლები რომ შევიკრიბეთ ელენე ჩხეიძე-გეგელაშვილის ოჯახში, სადაც ნიკო მარიც ხშირი სტუმარი იყო, გამოირკვა, რომ ჩვენს დიასახლისს, ელენეს და მის ბიძაშვილს, სიმონ ჩხეიძეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ახლავე აემუშავებინათ ქართული დადგმების ჯგუფი, რომელიც თავისი ძალ-ღონის შესაბამისად აქ გვაჩვენებდა ქუთაისის ან თბილისის ახალ საინტერესო დადგმებს, კერძოდ, ქუთაისში ასე მოწონებულ და დასადგმელად მიღებულ დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებას".

მაგრამ პეტერბურგის სტუდენტთა შორის იმ დროს ვიღას ეცალა მოხალისეთა დადგმების მოსაწყობად. მღელვარე დღეები იწყებოდა, უკვე იგრძნობოდა პოლიტიკური გაზაფხულის პირველი ნიშნები. მეფის მთავრობა წარმოუდგენელი სისწრაფით ჰკარგავდა თავისი ავტორიტეტის უკანასკნელ ნატამალს. ასე მოახლოვდა 1905 წელი, რომლის შემოსვლას რუსეთი უკვე უპორტარტუროდ შეხვდა: 20 დეკემბერს სტესელმა იგი იაპონიას ჩააბარა. ამასთან დაკავშირებით გაძლიერდა სტუდენტთა მღელვარება; აქ უკვე ჩვენი სათვისტომოც ამოძრავდა; დაიწყო დემონსტრაციები ქუჩებში, ამუშავდა ცხენოსან პოლიციელთა რაზმების მათრახები. ერთი შავი ზოლი მეც ჩამომყვა თბილისში მარჯვენა ლოყაზე, ცხრა იანვრის შემდეგ...

რა საშინელება იყო ეს საზარელი „სისხლიანი კვირა". ჩვენ, სტუდენტებმას არ დავსწრებივართ, თუმცა ხოცვა-ჟლეტის ამბის გაგებამ ბევრნი გამოგვიყვანა ნევის პროსპექტზე. სამაგიეროდ მეორე დღიდან დაიწყო ჩვენი „სხოდკები", გაფიცვა, სასწავლებლებიდან ჩვენი გარიცხვა. უმაღლეს სკოლაში სწავლა შეწყდა. უნივერსიტეტი და ბესტუჟევის კურსები ჯერ კიდევ მაგრად იყო „დაკეტილი". ამიტომ ჩვენი სათვისტომოების თეატრალური წრე უფრო მოცლილი აღმოჩნდა, რათა ჩვენთვის მონდობილი საქმე გაგვეკეთებინა.

იმ წლების მღელვარებამ ფრიად თვალსაჩინო გამოძახილი ჰპოვა თეატრალურ ცხოვრებაში. აქაც მთელი ძალით იგრძნობოდა შეურიგებლობა თვითმპყრობელური რეჟიმისადმი. მელოდეკლამატორები სცენიდან კითხულობდნენ უაღრესად გაბედულ ტექსტებს. დიდი წარმატება ჰქონდათ ხოდოტოვს „ალექსანდრინკას" საიმპერატორო დრამიდან და ვედრინსკაიას კომისარჟევსკაიას თეატრიდან (აქვე იდგმებოდა ჩეხოვის „ჩაიკა", მას დიდი წარმატება ჰქონდა, ვინაიდან ნინა ზარეჩნაიას როლს თვით კომისარჟევსკაია ასრულებდა).

მე, რაკიდა ქიმიაში მეცადინეობის გამო დრო ცოტა მქონდა, სულ ადვილი დავალება მომცეს. კომისარჟევსკაიას და იავორსკაიას თეატრების ყველა საინტერესო დადგმების ბილეთები უნდა მეშოვნა. ამას კი სალაროების რიგებში ხანგრძლივი დგომა უნდოდა. ამაში რამდენიმე ხანდო თანაშემწე გამიჩნდა ჩვენს წრეში კომისარჟევსკაიას მხურვალე თაყვანისმცემელთა რიცხვიდან და ჩვენ თითქმის დღეგამოშვებით სალამოებს თეატრებში ვატარებდით. იავორსკაიას თეატრს კი უფრო მეტად ჩვენი პირველი სათვისტომო სწყალობდა; იმ ხანებში იქ იდგმებოდა თვითონ მსახიობ-ქალის მეუღლის, თავად ბარიატინსკის მიერ მისთვის სპეციალურად დაწერილი „სალონური" პიესები რუსეთის მაღალი საზოგადოების ცხოვრებიდან, რასაც თან ერთვოდა იმჟამად ახლად მოდაში შემოსული „მაჩიში" და „კეკ-უოკი", შესრულებული თვით იავორსკაიას მიერ.

მაგრამ იავორსკაია ჩვენც ძალიან მოგვწონდა, ოღონდ სულ სხვა, თანამედროვე განწყობილებისათვის შესაფერის დადგმებში; ასეთი იყო, მაგალითად, იბსენის შესანიშნავად დადგმული ალეგორიული პიესა „ქალი ზღვიდან", რომელიც თითქოს ბანს აძლევდა კომისარჟევსკაიას თეატრში დადგმულ იმავე ავტორის საყოველთაოდ ცნობილ, აგრეთვე ალეგორიულ პიესას: „მშენებელი სოლნესი".

მაგრამ ჩვენი წრის ქუთაისის ნაწილმა პროტესტი გამოგვიცხადა მარტო პეტერბურგის განთქმულ თეატრებში სიარულის გამო. და სულ მოკლე ხანში მათ სცენის მოხალისეთა ჯგუფი შეარჩიეს, რომელმაც განიზრახა ახალი ქართველი დრამატურგის, ორი პიესის ავტორის დავით კლდიაშვილის პირველი ნაწარმოების გამოტანა სცენაზე; ეს იყო „ირინეს ბედნიერება", რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ქუთაისში დაიდგა შალვა დადიანის და ნუცა ჩხეიძის თაოსნობით და მონაწილეობით. მაგრამ 1905 წლის პირობებში ამის გამეორება ნევას ნაპირებზე, ცხადია, შეუძლებელი იყო.

საქმე ის არის, რომ ოქტომბრის მანიფესტმა მრავალი უბედურება დაატეხა თავს მოსწავლე ახალგაზრდობას. დაიწყო „არასაიმედო" სტუდენტების დაპატიმრება, რომელიც, პირველ რიგში, ჩვენს მეორე სათვისტომოს შეეხო. წაიყვანეს მისი თავმჯდომარე, მერე სხვებიც. თეატრალურმა წრემ სულ სხვა მიზნები დაისახა: საჭირო გახდა დიდი მასშტაბის საქველმოქმედო სალამოების მოწყობა, რომლებიც ადგილობრივ საუკეთესო საზოგადოებას მოიზიდავდნენ და რაც შეიძლება მეტ შემოსავალს მოგვცემდნენ ჩვენი „პოლიტიკური ამხანაგებისთვის" დასახმარებლად, ციხეებში ან გადასახლებაში.

1906 წლის დეკემბერში ერთ-ერთი ასეთი დაუვიწყარი სალამო ჩავატარეთ კონსერვატორიის უშველებელ თეატრალურ დარბაზში. მოსკოვიდან მოვიწვიეთ ჩვენი „სახცენო ღმერთი" და იდეალი, ლადო მესხიშვილი, რომელიც იმჟამად მოსკოვის სამხატვრო თეატრში მუშაობდა. მან შესანიშნავი სალამო მოგვაწყობინა: ზუსტად ზიჩის მიხედვით აგებული ხუთი ცოცხალი სურათი „ვეფხისტყაოსნიდან", ამ სურათებისთვის მთელი ჩაცმულობა ჩვენ უნდა შეგვეგროვებინა — შეგვეძინა ან შეგვეკერა. განსაკუთრებით გაგვაწვალა თამარ მეფის თვალმარგალიტით მორთული გვირგვინის და სამოსის ერზაცებისა და ტარიელისთვის ვეფხის ტყავის მოძებნამ; ვეფხის ტყავი, ჩვენს იღბალზე აღმოვაჩინეთ ერთი იქ მცხოვრები ქართველის — სერგო ლოლობერიძის ბინაზე, ავკერეთ მისი წითელი მაუდის არშია და გამოვაწყვეთ ამ მხატვრულ საფარში პეტრე ქავთარაძის ძმა — სერგო, შემდგომში, გამოჩენილი საბჭოთა და პარტიული მოღვაწე; შოთა რუსთაველი შალვა შარომიძე იყო, ფრიად შესანიშნავი, ნესტანი — მისი და თამარი. მაყურებლები მან აღტაცებაში მოიყვანა. ამას დაუმატეთ ქართული გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები, რომლებსაც ასევე წარმატება ხვდათ, და ფრანც მოორის უკანასკნელი სცენა მისი ბოლო მონოლოგით (ქართულ ენაზე თვით ლადოს მიერ შესრულებული). ამ სალამომ საგრძნობლად გაზარდა პატიმართა დასახმარებელი ფონდი.

ყველა ამის გამო „ირინეს ბედნიერების" პირველი დადგმა ნევას ნაპირებზე, თუ არ ვცდები, მხოლოდ 1907 წელს მოხერხდა, არ მახსოვს, რომელ [illegible] საქირავებელი დარბაზის (კლუბის მასშტაბის) სცენაზე. მონაწილეებიდან კარგად მახსოვს ორივე ჩხეიძე, ელენე გეგელაშვილი და სიმონ ყარამანის ძე ჩხეიძე, შემდგომ ჩვენი ცნობილი იურისტი თბილისში, და ზაჰეს-ხრამჰესის მმართველობათა იურისკონსულტი (ამჟამად პენსიონერია). აბესალომის როლი კი, თუ არ ვცდები, შეასრულა სტუდენტმა ყორყოლიანმა, ჩვენი საყვარელი მსახიობის სანდრო ყორყოლიანის აწ განსვენებულმა ძმამ, რომელსაც ქუთაისში ამ როლში გამოსული შალვა დადიანი ენახა.

(გაგრძელება იქნება)

# სასიქადულო მოქალაქე

დავით სარაჯიშვილის დაბადების 120 წლისთავის გამო

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის დავით სარაჯიშვილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დავითი დაიბადა თბილისში, 1848 წლის 9 ნოემბერს. 1866 წელს მან დაამთავრა ვაჟთა პირველი გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც ერთი წელიწადი დაჰყო და შემდეგ გერმანიაში გაემგზავრა. იქ, 1871 წელს უნივერსიტეტი დაამთავრა და ქიმიის დოქტორის ხარისხი მიიღო.

ამის შემდეგ სარაჯიშვილი, იქვე გერმანიაში 1878 წლამდე, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას სწავლობდა. 1878-1879 წლებში კი საფრანგეთში გადავიდა, სადაც მევენახეობის გაცნობას შეუდგა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე სარაჯიშვილმა თბილისში მოაწყო — კავკასიაში პირველი — რექტიფიკაციის აპარატი. 1887 წელს მანვე გახსნა ლიქიორის ქარხანა, რისთვისაც მცოდნე ოსტატები საფრანგეთიდან მოიწვია, მაგრამ განათლებულ და დიდ სპეციალისტს ეს საქმე არ აკმაყოფილებდა. მისი ოცნება იყო კონიაკის წარმოება.

1888 წელს დავით სარაჯიშვილმა თბილისში დაიწყო კონიაკის დამზადება. ეს იყო პირველი წამოწყება მთელ იმპერიაში.

სარაჯიშვილი მალე დარწმუნდა, რომ კონიაკის ხარისხის გასაუმჯობესებლად, გამოსახდელად საჭიროა ყველა მხრის ღვინოები, მათი სარდაფებში დაყენება, შენახვა და კუპაჟი; ასე უნდა მომზადებულიყო ის სასმელი, რომელსაც საფრანგეთში კონიაკს უწოდებენ. ამისთვის შექმნა ბაზები: ყიზლარში (1889 წ.), ერევანში (1894 წ.), ბესარაბიაში (1895 წ.), გეოკჩაიში (1901 წ.).

დავით სარაჯიშვილი ცნობილია, როგორც უმაგალითო ქველმოქმედი. იგი სისტემატურად უგზავნიდა სტიპენდიებს ჩვენი ერის შვილებს, რომლებიც განათლებას ღებულობდნენ სხვადასხვა ქალაქებში; მისი მგრძნობიერი გული ყველასათვის ფეთქდა. იგი იყო ხელოვნების მუშაკთა პირველი დამხმარე და მეგობარი. დიდ დახმარებას უწევდა ისტორიული ძეგლების შეკეთებას, სოფლად სკოლების აგებას და წერა-კითხვის გავრცელებას. მან მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის პროექტის შერჩევაში და მშენებლობას ფინანსური დახმარებაც გაუწია.

აღსანიშნავია, რომ 1900 წელს, როცა ეს მშენებლობა დაიწყო, ფიქრობდნენ დაეხარჯათ 350 ათასი მანეთი, ხელზე კი ჰქონდათ 35 ათასი მანეთი, ამიტომ უნდა გამოენახათ 315 ათასი მანეთი. მშენებლობის პროცესში, შენობის მოცულობის გადიდების გამო, ფაქტიური ხარჯები უდრიდა 688.550 მანეთს, რაც დაიფარა ილია ჭავჭავაძის შემწეობით ქართული ბანკის სახსრებიდან, დავით სარაჯიშვილის და სხვების შეწირულებით.

დ. სარაჯიშვილი იყო ქართული ღვინის დიდი პოპულარიზატორი როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. 1900 წლის ოქტომბრის გაზეთ „ივერიაში" (№ 213) გამოქვეყნებულია ასეთი ცნობა: „პარიზის მსოფლიო გამოფენაზე. წარდგენილ ექსპონატებისათვის ოქროს მედლით დაჯილდოებიათ დ. ზ. სარაჯიშვილი და თბილისის მოქალაქე (ოლღას ქუჩაზე) ნიკოლოზ სესიაშვილი ვერცხლის მედლით კახური ღვინოებისათვის".

ყოფილ სასახლის ქუჩაზე (ამჟამად რუსთაველის პროსპექტის დასაწყისი) იდგა დავით სარაჯიშვილის 1881 წელს აგებული სახლი, „სარაჯიშვილის ნომრებად" წოდებული; ერთ დროს მას „ევროპასაც" უწოდებდნენ. აქ დავით სარაჯიშვილთან ხშირად იკრიბებოდა ქართველი მოწინავე საზოგადოება. მსჯელობდნენ ლიტერატურაზე, სოფლის მეურნეობაზე, განათლებისა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. მასპინძელთან თავს იყრიდნენ: დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვანო მაჩაბელი, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ივანე კერესელიძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ხიზანიშვილი, ლადო მესხიშვილი. დავით სარაჯიშვილის ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე არტურ ლაისტი და სხვ.

ამ სახლიდან გამოეთხოვა აკაკი წერეთელი თავისი დიდი თანამებრძოლის ილია ჭავჭავაძის ცხედარს, დაკრძალვის დღეს. ამ ხანებში აკაკი ავად იყო და სარაჯიშვილის სახლში იწვა, სადაც გულკეთილი მასპინძელი მზრუნველობას არ აკლებდა.

1905 წელს დავით სარაჯიშვილმა ახალი სახლი ააგო (ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის სახლი, მაჩაბლის ქუჩა № 13), იგი თავიდანვე იქცა ქართველი მწერლების და საზოგადო მოღვაწეების შეხვედრის ადგილად.

სარაჯიშვილმა ანდერძით დაუტოვა ეს სახლი ქალაქ თბილისს მუზეუმის მოსაწყობად, დანარჩენი, რაც გააჩნდა, გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელიც მაშინ სათავეში ედგა ყოველ კულტურულ წამოწყებას.

მთელმა ჩვენმა პრესამ ამას წინათ ფართოდ აღნიშნა ქართული კონიაკის გამოშვების 80 წლისთავი. და ყველგან ხაზგასმული იყო უდიდესი დამსახურება ამ საქმის პირველი ენთუზიასტის — დავით სარაჯიშვილისა. ქართულ ლიქიორზე, კონიაკზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა როგორც საბჭოთა კავშირში, ისევე უცხოეთშიც. სწორედ ამ საქმის მოთავე, ქართული ლიქიორისა და კონიაკის წარმოების სულისჩამდგმელი იყო დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი, უმაგალითო ქველმოქმედი და სასიქადულო მოქალაქე.

დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა თბილისში, 1911 წელს.

ბ. ბეჟანიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# აკთიღად მოსაგონარნი



ქართველი მწერლები და ქართველი მსახიობები მუდამ მხარში ედგნენ ერთიმეორეს, ერთად ჰქმნიდნენ ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიას. იმ ადამიანთა შორის, ვინც მთელი სიცოცხლე შესწირა თავისი ხალხისადმი სამსახურს, ჩვენ გვინდა მოვიხსენიოთ მსახიობ ქეთევან ანდრონიკაშვილის სახელი.

ქეთევან ანდრონიკაშვილი იყო ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ზურაბიშვილის უფროსი დაი. ქეთევანი დაიბადა 1862 წელს, ყვარელში, საკმაოდ შეძლებულ და განათლებულ ოჯახში. მან წარჩინებით დაამთავრა თელავის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი და შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა, ცოლად გაჰყვა თავად ანდრონიკაშვილს.

ქეთევანის ოჯახში თითქმის ყველანი შესანიშნავი მომღერლები და მოცეკვავენი იყვნენ.

ქეთევანის დედა — მელანო ქაჯაია ზედმიწევნით იცნობდა და თვითონაც მშვენივრად ასრულებდა ძველ ქართულ სიმღერებს. ილია ზურაბიშვილმა ერთხელ ხუმრობით თქვა, რომ მათი ოჯახი პატარა საოპერო სტუდია იყო. ქეთევანის ძმებს — მიხაკოს და თედოს ლირიკული ტენორი ჰქონდათ, ილიას და მამას — ელეფთერს ბანი, ქეთევანს და დედა მელანოს — სოპრანო.

ქეთევან ანდრონიკაშვილი თეატრალურ ასპარეზზე ოთხმოციანი წლების ბოლოს გამოვიდა, იმ ხანებში მან მონაწილეობა მიიღო სცენისმოყვარეთა წარმოდგენაში, რომელიც თელავში მოეწყო. გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი თელავიდან იტყობინებოდა:

„წუხელ რამდენიმე ქალი და კაცი შევიყარენით კლუბის დარბაზში სალიტერატურო საღამოზე დასასწრებლად. საღამოზე ჩვენი სმენა დაატკბო ქ-ნმა ქეთევან ანდრონიკაშვილმა, რომელმაც პირველად მიიღო მონაწილეობა ამ საღამოში და გრძნობით წაიკითხა რამდენიმე ლექსი“.

ქეთევან ანდრონიკაშვილს მრავალჯერ უთამაშნია ჩვენს დიდ მსახიობებთან — ვასო აბაშიძესთან, მაკო საფაროვასთან, ლიზა ჩერქეზიშვილთან და სხვ. „ივერია“ არაერთგზის აღნიშნავს, რომ ქეთევანი მუდამ ბრწყინვალედ ასრულებდა თავის როლებს. გაზეთი თავის ფურცლებზე საკმაო ადგილს უთმობს თელავში გამართულ წარმოდგენებს, განიხილავს მსახიობის თამაშის ხელოვნებას და ოსტატობას. 1889 წელს თელავში დაუდგამთ „ორ ცეცხლს შუა“ და „ადვოკატი მელაძე“, რომელშიაც და-ძმა კვლავ გამოსულან, შემდეგ უჩვენებიათ „პარიზელი ბიჭი“, სადაც ბარონესას როლი ქეთევან ანდრონიკაშვილს შეუსრულებია.

1891 წელს „ივერია“.წერს, რომ ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ დადგა პიესა „თამარ ბატონიშვილი“, სადაც რუსუდანის როლი ბრწყინვალედ განუხორციელებია ქეთევან ანდრონიკაშვილს; გაზეთი იქვე დასძენს, რომ საჭიროა ანდრონიკაშვილი უფრო დიდ, უფრო რთულ როლებში ვნახოთ.

ქეთევანს არა ერთხელ მოუხიბლავს ქართული საზოგადოება ცეკვითა და ტკბილი სიმღერით. აკაკის „მუხამბაზი“ მან თურმე ისეთი განცდით შეასრულა, რომ პოეტს ცრემლი მოერია და მსახიობს გადაეხვია. ცოცხალსა და გონებამახვილ ქეთევანს ყველგან სიხარული და მხიარულება შეჰქონდა. როგორც ილია ზურაბიშვილმა და შემდეგ კი მისმა ნათესავმა, დამსახურებულმა მასწავლებელმა ანა ზურაბიშვილმა მიამბეს, ქეთევანი ხშირად ცეკვავდა „ქართულს“ ალექსანდრე ყაზბეგთან ერთად. თვით ალ. ყაზბეგი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა ახალგაზრდა ქალს. „ქართულის“ ცეკვაში ზოგჯერ ილია ზურაბიშვილიც იღებდა მონაწილეობას.

1888 წელს საქართველოში ჩამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე III. იგი თბილისიდან თელავს გაემგზავრა, სადაც დიდი ბანკეტი მოუწყვეს. ბანკეტის დროს ქეთევანს ხალიჩა გაუშალეს და „ქართული“ აცეკვეს; როგორც ცნობილია, ალექსანდრე III ჭკუით არ გამოირჩეოდა; ახლაც, ქეთევანის ცეკვას რომ უცქირა, ვერაფრით ვერ დაიჯერა, რომ მოცეკვავე შეიძლება ასე მიგოგმანებდეს. „პაწია ბორბლებზე დგასო“, ჩაიქნია თურმე ხელი და ვერაფრით ვერ დაარწმუნეს, რომ მოცეკვავე ჩვეულებრივად, თუმცა უმაღლესი ოსტატობით ასრულებდა ცეკვას.

ქეთევანი ძალიან ახალგაზრდა დაქვრივდა და შემდეგ ცოლად გაჰყვა კოლა კახიძეს, რომელიც ბაქოში მუშაობდა მოსამართლედ. ბაქოში ჩასვლისთანავე ქეთევანი კვლავ ჩაება თეატრალურ საქმიანობაში, რომელსაც ბაქოში საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ხელმძღვანელობდა. დასის მუშაობას სათავეში ედგნენ მეცენატი იოსებ დადიანი და ვასო ხუჭუა, პროფ. პავლე ხუჭუას მამა. ეს ის წლებია, როდესაც ბაქოში მუშაობდნენ ცნობილი თეატრალური მოღვაწეები და მწერლები — შალვა დადიანი, იუზა ზარდალიშვილი, ნიკო გვარაძე, ვალერიან შალიკაშვილი და ალექსანდრე წუწუნავა. ამას გარდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ტრადიციულ ქართულ საღამოებზე თბილისიდან იწვევდა ვანო სარაჯიშვილს, ნუცა ჩხეიძეს, სანდრო ინაშვილს, იოსებ გრიშაშვილს და სხვებს. შალვა დადიანი თავის მოგონებაში, „რაც გამახსენდა“ წერს: „პროფესიონალთაგან კი ჩემსობას ბაქოს დასში მონაწილეობდნენ მსახიობები ქეთევან ანდრონიკაშვილი, ცაცა ამირეჯიბი, ელო ანდრონიკაშვილი და დავით აწყურელი. ბაქოში ცნობილ თეატრალურ მოღვაწეებთან ერთად ქეთო ანდრონიკაშვილმა დიდი სახელი მოიხვეჭა, როგორც კარგმა მსახიობმა და ლეკურის შესანიშნავად მოცეკვავემ“. 1917 წელს ქეთო, თავისი ოჯახით გადმოვიდა თბილისში. აქ მან უფრო ფართოდ გაშალა თავისი თეატრალური შემოქმედებითი მოღვაწეობა, და 1922 წელს თბილისში გახსნა პირველი ხალხური ცეკვის სტუდია; 1925 წლიდან 1940 წლამდე ქეთო ანდრონიკაშვილი მსახიობად მუშაობდა კინოსტუდიაში, სადაც ასრულებდა როგორც დრამატულ, ისე კომიკურ როლებს. ქეთევანი გარდაიცვალა 1941 წელს, სამოცდაცხრამეტი წლის ასაკში.

ქეთევან ანდრონიკაშვილზე ძალზე მცირე ცნობები მოიპოვება, გაფანტული უმთავრესად ძველი გაზეთების ფურცლებზე; ქართული ხელოვნების ისტორიაში მას თავისი ადგილი უჭირავს და იმსახურებს იმას, რომ მისი სახელი დავიწყებას არ მიეცეს.

ალ. ხიბუა

ფრიდონ ხალვაში

## ეს სიტყვა უნდათ

ბიბლიოთეკა

ეს სიტყვა უნდათ ოდებს და ლოდებს
და მთებს, ჩემი რომ მქვია სამყოფი,
ეს სიტყვა უნდათ, როგორც ლურჯ ტოტებს
ყოველ ზაფხულში უნდათ ნაყოფი.

ამ სიტყვას ითხოვს მშობლიურ ხევში
ნისლი რძესავით ჩამოღვარული,
გუთანზე მამის ხელი უხეში,
აკვანთან დედის ხევდა მალული.

ეს სიტყვა უნდათ იმ ძველ ნაფუძრებს
და აჭარაში ატეხილ ვაზებს,
ყველაზე დამწველ ქარს რომ გაუძლეს
და ჩემი სუფრა ახლაც აავსეს.

ეს სიტყვა არვინ არ დამიჩაგროს!
ეს სიტყვა ყოფნის დედაბოძია,
მზე, სიძულვილმა ბნელში რომ ჩარგო,
ამ სიტყვამ ისევ ზე ამოსწია.

## ჯუღითვენახი

აქ, ღელის პირას ერთი ფერდობი
შენი ყანაა დიდი ხანია,
მისი ფოთლების ნათქვამს ენდობი,
იმის შრიალში მიგიხარია.

სახნისი მიწის ფერდს რომ ამოთლის,
ულელში თითქოს შვიდი ხარია.
აგერ ქვის ძირას წყარო ამოდის,
ყანაში მუდამ დიდი ხვავია.

აქ მტერი იყო,
ვაზი გაგვიხმა,
და ბერის თვალი ცრემლმა დაფისა.
შეგვიგინეს და რად არ იხმარეს
ქვევრები ჩვენი პაპის პაპისა.

მაგრამ უვაზოს კვლავ ბერთვენახი
უწოდეს წლებმა დაწეწილებმა,
თავის სახლის ახე შენახვა
მიწასაც თურმე არ ეწყინება.

* * *

თითო მარცვლობით ნაკრებ სიხარულს,
მწუხარ სახეთა ხნულებში ვთესავ.
და ლურჯ ზეცაში შემოდგომაზე
მზე დამწიფდება საუკეთესო.

როგორც მერანი დაურახტავი
ქარი გამაფრენს შლეგი, ტიტველი,
სხივებს ძაფებად ხეზე გავაბამ
და წვიმის წვეთებს დავთვლი თითებით.

# როდის მოასწარი, ადამიანო!



ირინე ვლადიმერის ასულ პეტროვას კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება. მისი დამსახურება არ იფარგლება მარტო სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით, მან დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას, ქართულიდან ინგლისურ ენაზე მხატვრული თარგმანის დამკვიდრება-განვითარებას.

ქართული მიწის სიყვარული ირინე პეტროვამ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა. დაიბადა იგი ჩაქვში, 1910 წელს. რუსი ინტელიგენტის ოჯახში. მამამისი სპეციალობით აგრონომი იყო. მამის მდიდარი ბიბლიოთეკა პატარა ირინესათვის იმთავითვე ყველაზე უფრო საყვარელ სამყაროდ იქცა. დედა, მეტად დარბაისელი, კარგად აღზრდილი, სათნო პიროვნება ყოველმხრივ ცდილობდა შვილებს არ დაჰკლებოდათ იმ დროისათვის საუკეთესო აღზრდა-განათლება. პატარა ირინეს ძიძა ფრანგი ქალი იყო, ხუთიექვსი წლის გოგონა უკვე გერმანულ ენაზეც ლაპარაკობდა, მაგრამ საბოლოოდ მის აღმზრდელად მოიწვიეს ინგლისელი ქალი მისს ფელოუსი. მაშინ ირინე რვა წლისა იყო და მათი ოჯახი უკვე თბილისში ცხოვრობდა. მისს ფელოუსს თბილისელი მეგობრები ძალიან აშინებდნენ, პეტროვების ოჯახში ისეთი ჰინკა გოგონა ჰყავთ, ვერაფერს ვერ მოუხერხებ და სისხლს გაგიშრობსო. მაგრამ მისს ფელოუსმა ყური არ ათხოვა მითქმამოთქმას, მაშინვე აუღო ალღო პატარა ირინეს, რომ გონიერი და თავისებური ბავშვი იყო. პედაგოგიური ტაქტითა და მშობლიური სიყვარულით მიიზიდა „ჰინკა გოგონა“, ღვიძლ ენასავით შეასწავლა და შეაყვარა ინგლისური ენა, ლიტერატურა, ისტორია, ხელოვნება, მითები, ზღაპრები, ლეგენდები, გაუღვიძა შრომისა და განათლების დიდი ინტერესი. მისს ფელოუსმა ირინეს მეორე დედობა გაუწია.

თავდაპირველად ირინე სწავლობდა კერძო სასწავლებელში, 1919-1921 წლებში ფრანგულ ლიცეიში, მერე გადავიდა 43-ე საშუალო სკოლაში, რომელიც 1925 წელს დაამთავრა. ამიერიდან ეს სკოლა ირინე პეტროვას ოჯახის „საკარო სკოლად“ გადაიქცა. ამ სკოლაში დაიზარდნენ მისი სამი შვილი, ერთი შვილიშვილი, და ერთი ახლაც იქ სწავლობს.

ფართო ჰუმანიტარული სწავლა-განათლების მიღების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ირინე რომელიმე ჰუმანიტარულ დარგს აირჩევდა, მაგრამ მას ბავშვობიდანვე თავდავიწყებით უყვარდა ბუნება, ტყე, მთები, უყვარდა ცხენები და ოცნებობდა ამ დარგის სპეციალისტი გამხდარიყო. ბევრს ეცადნენ მშობლები ხელოვნებათმცოდნეობის განხრით წასულიყო იგი, მით უფრო, რომ ხატვაც ეხერხებოდა და ეხალისებოდა, ერთი წელი კიდეც ამზადებდნენ საამისოდ. მაგრამ ირინე ვლადიმერის ასული იმ პიროვნებებს არ ეკუთვნის, რომლებიც იოლად თმობენ თავიანთ სანუკვარ მისწრაფებებს. 1931 წელს მან დაასრულა სატყეო ინსტიტუტი იმ ვარაუდით, რომ მთელ სიცოცხლეს ბუნების, ტყის წიაღში შრომას შეალევდა, და მეტყევე უცხენოდ ხომ არ იქნებოდა! იგი ენერგიულად შეუდგა თავის საქმიანობას. ერთხანს მუშაობდა თეთრი წყაროს სატყეო მეურნეობის წალკის უბანზე მეტყევის თანაშემწედ, მერე გადაიყვანეს აზერბაიჯანში, თაუზის სატყეო უბანში. სხვათა შორის, თავის პროფესიულ საქმესთან ერთად, მოწოდებით ლინგვისტი, ირინე იოლად ითვისებს თურქულ და აზერბაიჯანულ ენებსაც. თაუზში ყოფნის დროს იგი ცოლად გაჰყვა ანდრეი ხოტიანოვსკის, ტყის ექსპლოატაციის გამოცდილ სპეციალისტს. მალე ახლადშექმნილ ოჯახს შვილები შეემატა და ირინე იძულებული შეიქმნა თბილისში დაბრუნებულიყო საცხოვრებლად.

აქ პეტროვამ მუშაობა დაიწყო „ინტურისტში“, თანდათანობით ჩაება პედაგოგიურ მუშაობაში. პროფ. ისიდორე გვარჯალაძის რჩევით მან ერთ წელიწადში, 1937 წელს დაასრულა თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიურ ფაკულტეტთან არსებული უცხო ენების სექტორი (საქართველოში იმ პერიოდში ეს იყო ერთადერთი უცხო ენების ფაკულტეტი). დღეს უკვე ძნელი სათქმელია. თუ რა ღვაწლს დასდებდა ირინე პეტროვა მეტყევეობის საქმეს, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ, მისი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მან თავისი შესანიშნავი განათლება, შემოქმედებითი უნარი, ინგლისური ენის ბრწყინვალე ცოდნა ჩვენი ერის კულტურის დიდ საქმეს მოახმარა.

1938 წელს პეტროვა მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის მასწავლებლად. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, 1941 წლის ივლისში მან მიაშურა სამხედრო სამსახურს, დასტოვა სამი მცირეწლოვანი შვილი, უნივერსიტეტი და ომის წლებში ამიერკავკასიის სამხედრო შტაბში მუშაობდა. სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს, 1944 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის მეორე სპეციალობას, ინგლისური ენის მასწავლებლობას; ერთი წელი მუშაობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში.

1948 წელს, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებისთანავე, პეტროვა მიიწვიეს ინგლისური ენის კათედრაზე სამუშაოდ, 1958 წელს დაინიშნა ამავე კათედრის გამგედ. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დაცვის შემდეგ, 1962 წელს მას მიენიჭა დოცენტის წოდება.

ირინე პეტროვას ღვაწლი და ამაგი მრავალფეროვანია. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ბევრი კარგად აღზრდილი, განათლებული ინგლისელიც ვერ დაიტრაბახებს მშობლიური ენის ისეთი ცოდნით, როგორც ირინე პეტროვა ფლობს ინგლისურს. ამას მეტყველებს, თუნდაც მის მიერ შესრულებული მხატვრული თარგმანები რუსულიდან და ქართულიდან ინგლისურ ენაზე. მის ფუნდამენტურ ნაშრომს, ინგლისურ ენაზე თარგმნილ ძველ რუსულ ეპოსს „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე მაღალი შეფასება მისცეს გამოცდილმა საბჭოთა სპეციალისტებმა. თარგმანის გამოქვეყნებას მალე მოჰყვა პროფ. დ. უორდის აღტაცებული შეფასება შოტლანდიიდან, თანაც, გავიხსენოთ, რომ პროფ. უორდი, ედინბურგის უნივერსიტეტის ფონეტიკის კათედრის გამგე, თავად სლავისტი, „ამბავი იგორის ლაშქრობისას“ ერთ-ერთი ინგლისელი მთარგმნელი გახლავთ.

ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე, ირინე პეტროვა დიდი გატაცებით მუშაობს ქართული ლიტერატურის ინგლისურ თარგმანებზე და თანაავტორობს თავის ყოფილ მოწაფეებთან. ლეილა გამსახურდიასთან ერთად მან თარგმნა ნ. ნათაძის და ს. ცაიშვილის მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“, ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, რომლებიც უახლოეს დროში გამოქვეყნდება, ჯუანშერ მჭედლიშვილთან ერთად — სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ (ადაპტირებული თარგმანი), ამ წერილის ავტორთან ერთად — კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდია“, მ. ჯავახიშვილის „ყაჩაღ დაიგვიანა“, ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“, დ. შენგელაიას „განძი“, ა. ბელიაშვილის „ციალა“, ლ. გოთუას „უგზო ქარავანი“, ს. კლდიაშვილის „ჰინკა ბიჭები“, ა. სულაკაურის „მტრედები“, რომლებიც მოსკოვის გამომცემლობა „პროგრესმა“ გამოაქვეყნა 1964 წელს. შემდეგ — გ. ნატროშვილის მონოგრაფია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც 1968 წელს ინგლისურ ენაზე გამოსცა „განათლებამ“. ცნობილ მთარგმნელ ვ. ურუშაძესთან ერთად მან დაასრულა აკად. შ. ამირანაშვილის კაპიტალური ნაშრომის „ქართული ხელოვნების ისტორიის“ ინგლისური თარგმანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო დღეებში გამოქვეყნდა ირინე პეტროვას მიერ ინგლისურად თარგმნილი იმავე ავტორის პოპულარული მონოგრაფია ქართულ ხელოვნებაზე.

და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი სტატია უთარგმნია ირინე პეტროვას ხელოვნების, არქეოლოგიის, ისტორიის სფეროდან, რამდენი თარგმანის რედაქცია გაუკეთებია?! ყოველ მის ნამუშევარში ჩანს დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება, ალღო, სიზუსტე, ფართო განათლება, ამა თუ იმ დარგის უბადლო ცოდნა. მაგრამ ირინეს ცოტა დრო აქვს ამ დიდი საქმისათვის, რომელიც მეტად დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობას მოითხოვს. ვინ იცის კიდევ რამდენს თარგმნიდა, ასე თავდავიწყებით, თავგამოდებით რომ არ ეწეოდეს პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. მაგრამ აქაც ხომ ფასდაუდებელია მისი ამაგი! მისი თაოსნობით ავტორთა ჯგუფმა შეადგინა სახელმძღვანელოები I და II კურსებისათვის, ქართველმა სტუდენტობამ პირველად მიიღო მშობლიურ ენაზე ინგლისური ენის სახელმძღვანელოები სპეციალური ფაკულტეტისათვის. ახლო მომავალში მისივე თაოსნობით გამოვა მომდევნო კურსების სახელმძღვანელოებიც. ასევე საგულისხმოა „ინგლისური ენის ფონეტიკის კურსის შესავალი“, რომელიც ირინე პეტროვამ დოც. არჩილ ალხაზიშვილთან ერთად შეადგინა. იგი რედაქტორობს უმაღლესი სკოლებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოებს, ადაპტირებულ ტექსტებს, კრებულებს, სკოლის სახელმძღვანელოებს. დიდ შრომას ეწე-

ვა ლექსიკონების დამუშავებაზე, განსაკუთრებით ავტორთა დიდი კოლექტივის მიერ შედგენილ ქართულ-ინგლისური ლექსიკონის სისტემაში მოყვანისათვის.

ყველაფერი ეს იწერება, იბეჭდება, ქვეყნდება და ქართველ ხალხს საშვილიშვილოდ დარჩება. მაგრამ ირინე პეტროვა აკეთებს გაცილებით მეტს ისეთს, რაც ქაღალდზე არ იწერება. იგი მთელი დღეობით ინსტიტუტში ტრიალებს, დასვენებებზე, ლექციებს შორისაც კი მას სულისმოთქმის დროც არა რჩება, კოლეგები და სტუდენტები თავს ეხვევიან რჩევისათვის, საქმისათვის. მან იცის ყოველი ლექტორის, ყოველი აკადემიური ჯგუფის, ყოველი სტუდენტის უნარი და უუნარობა, წარმატება თუ ჩამორჩენილობა და განუწყვეტლივ ეძებს გზებს, მეთოდებს, საშუალებებს, რაც შეიძლება ასწიოს სტუდენტთა მომზადების დონე. მისი აღზრდილნი, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი შესანიშნავი ავტორიტეტით სარგებლობენ როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც და საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმაც.

იქნებ ინსტიტუტში მოუსვენარი დღის შემდეგ ეძლევა ქ-ნი ირინე სახლში განცხრომას? რანაირად? მან დაზარდა სამი შვილი, რომლებიც თავთავიანთ გზას დაადგნენ, მაგრამ მზრუნველი დედის კალთას მაინც ვერ ელევიან, ასევე შვილიშვილებიც; იგივე უნდა ვთქვათ მისი ვაჟიშვილის თანატოლ ვალოდიაზე, რომელიც ობოლი შეივრდომა და შვილივით გამოზარდა ირინემ. ვალოდია ახლა უკვე დაცოლშვილებულია, სამხედრო სამსახურშია, და დედობილის რჩევის გარეშე ნაბიჯს არა სდგამს.

ირინე პეტროვა თავმდაბალი, უპრეტენზიო პიროვნებაა, ამავე დროს სამართლიანი და პრინციპული, თუმცა მისი ერთი ხმამაღალი, მრისხანედ წარმოთქმული სიტყვა ჯერ არავის სმენია, არც შინ, არც გარეთ. იგი თავდადებული დედაა და მეოჯახე, გამტანი მეგობარი და კოლეგა, უანგარო, მტკიცე ხასიათის, ამავე დროს, იუმორით აღსავსე, ბუნების, სილამაზის მოყვარული, შინაგანად ფაქიზი ადამიანი.

ამას წინათ დიდი სიყვარულით აღნიშნა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა ირინე პეტროვას დაბადებიდან 60 წლისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავი.

ვუსურვოთ დამსახურებულ ადამიანს, ირინე პეტროვას ხანგრძლივი სიცოცხლე და შემოქმედებითი წარმატებები, რომლისკენაც მუდამ ისწრაფვის მისი მახვილი გონება, ფაქიზი გემოვნება და სათუთი გული.

ციალა თოფურიძე

# რა ღირს ერთი შეხვედრა

გრიგოლ გვაძაბია

ნამდვილი ამბავი

ავადმყოფი გაირინდა, ფიქრმოძალებულს ხელები აუკანკალდა, გული შეეკუმშა — მზეზე გარუჯული, სახეზე ცხრაგზის ნაიარევი ბრალდებული დამცინავი ღიმილით მისჩერებოდა მას და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ცრიდა:

— პატივცემულო თავმჯდომარევ! მე არ უარვყოფ წაყენებულ ბრალდებას. თქვენ კანონს იცავთ, არა? მეცა მაქვს ჩემი საკუთარი, დაუწერელი კანონი... ვიცი, სიკვდილი არ ამცდება, მაგრამ მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ სრულიად დამშვიდებული მოვმკვდარიყავი. ხომ გახსოვთ ის დილა...

— წყეულმც იყავ! — წამოიყვირა თავმჯდომარემ, ოდნავ წამოიწია და შეშინებულმა ირგვლივ მიმოიხედა.

— დამშვიდდი, ბიკენტი! — საწოლთან ექიმი იდგა და მაჯას უსინჯავდა ავადმყოფს. — უნდა გამაგრდე, უნდა გაუძლო!

— გავუძლო? განა ამდენი შეუძლია ადამიანს?!

ექიმმა ავადმყოფს შუბლზე დადენილი ოფლი პირსახოცით მოწმინდა და წამალი მიაწოდა.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, გეთაყვა!

— დამტოვეთ, ხომ ხედავთ, არა მცალია, მე პროცესი ჯერ არ დამიმთავრებია. — ავადმყოფი ბოდავდა.

„მე უნდა მოვკვდე, — ჩაესმოდა ექიმს ავადმყოფის მიმქრალი ხმა, — მე დამნაშავე ვარ, მე შევაცდინე პროკურორი, ვაჩქარებდი გამომძიებელს! დიახ, მე ავრიე ყველაფერი, ამ საქმეში თითქოს გამოცდილმა კაცმა."

ბიკენტის იცნობდნენ, როგორც წინდახედულსა და საქმის მცოდნე კაცს. ბევრი ადამიანი დაუყენებია მას სიკეთის გზაზე, ბევრისათვის დახმარების ხელი გაუწოდებია, მაგრამ ერთხელ დაუშვა შეცდომა და ისიც საბედისწერო... ძალიან ძვირად დაუჯდა მას ეს შეცდომა.

ზაფხულის ცხელი დღეები იდგა, რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის საწოლ ოთახში სამარისებური სიჩუმე იყო. ავადმყოფი მძიმედ სუნთქავდა, გაუნძრევლად იწვა და თვალს არ აშორებდა ღია ფანჯარას, ღრუბლებშემოწოლილ ცას, წვიმის წინ სულთამხუთავივით რომ დასდგომოდა ჭექა-ქუხილის მოლოდინში გარინდებულ მიდამოს. მარტოდ დარჩენილი ავადმყოფი ხელის განძრევასაც ერიდებოდა, იცოდა, მეზობელ ოთახიდან ექიმი უთვალთვალებდა.

„ვიხრჩობი", გაიფიქრა და გულის სიღრმიდან წამოსული ტკივილის შესაჩერებლად მკერდზე ხელი დაიდო, მზერა შავარშიამოვლებულ სურათზე გადაიტანა, კედელზე რომ ეკიდა, მერე ყრუდ გაეხმიანა სურათს:

— მემდური, შვილო?

ავადმყოფი აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა. სიზმარივით ახსოვდა გუშინდელი დღე. რას იფიქრებდა, რომ უკანასკნელად მიუჯდა მართლმსაჯულების მაგიდას, უკანასკნელად დაჰკრა ჩაქუჩი ფოლადის პატარა ზარს და აზმაურებულ დარბაზს წესრიგისაკენ მოუწოდა. ყველაფერი მიდიოდა ისე, როგორც წესი და რიგი იყო. მაგრამ ბრალდებულის ბოლო სიტყვებმა წელში გაწყვიტა კაცი, იქვე თვალთ დაუბნელდა და წაიქცა.

დარბაზი ბობოქრობდა, დამსწრენი ბრალდებულისაკენ იწევდნენ, მილიციელებმა ძლივს შეაკავეს ხალხი.

* * *

— გოჩა!

— რა იყო, ნანა?

— ამოცანა ვერაფრით ვერ ამოვხსენი, ხომ არ გამოივლიდი ჩვენსას?

— ახლავე წამოვალ, გენაცვალე.

— ასე ნუ იტყვი ხოლმე.

— რატომ, გენაცვალე?

— სირცხვილია, ვინმე გაიგონებს.

— მერე რა მოხდა, გაიგონონ.

— კარგი, თუ მოდიხარ, წამოდი!

სირბილით გაჰყვნენ თემშარას, ოხუნჯობდნენ, კენჭებს ესროდნენ სარზე წამოსკუპულ სკვინჩას, უეფით გამონთებულ ძაღლებს. ოთახში შესულები მაგიდას მიუსხდნენ, ამოცანა ამოხსნეს და აივანზე გამოვიდნენ.

შებინდებამდე ველარ მოსცილდნენ ერთიმეორეს.

კეთილი და სათნო გოგონა იყო ნანა, ყველა უყვარდა მას, ყველას პატივს სცემდა, მაგრამ მაინც ყველაზე ძალიან გოჩასაკენ მიუწევდა გული; ტოლამხანაგებს არ გამოპარვიათ ეს და, როცა სწავლის მეათე წლისწადსაც ერთ მერხზე ჩამოსხდნენ, ვილაცამ ცარცით მერხზე მათი სახელები ერთად წააწერა.

ზარის დარეკვის წინ შენიშნეს წარწერა, ერთმანეთს გადახედეს, თავი დახარეს, და ორივემ ერთად დაიწყო წაშლა.

ბედს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგაც არ დაუშორებია ნანა და გოჩა — ორივემ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარეს გამოცდები და სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ.

უკვე ძნელი იყო იმის დამალვა, რასაც აქამდე ფრთხილად ინახავდნენ გულის სიღრმეში. იმ საღამოს, ლექციებიდან რომ ბრუნდებოდნენ, გოჩამ ქალიშვილს სიყვარულზე ჩამოუგდო საუბარი. ნანა ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა, მაგრამ ჭაბუკი გრძნობდა, რომ უდროოდ არ დაუწყია ეს ლაპარაკი, ეს აქამდეც უნდა მომხდარიყო. დიდი ხანია ნანას გოჩას გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა.

— რას გაჩუმებულხარ, ნანა? მითხარი რამე!

ქალიშვილმა ისე შეხედა, პასუხი მართლაც აღარ იყო საჭირო.

იმ წელიწადს მეოთხე კურსზე გადავიდნენ და საზაფხულო არდადეგებზე ქალაქ ცხაკაიას მიაშურეს.

* * *

ჩვეულებრივ, შებინდებისას მოვიდა გოჩა, ნანა ჩაცმული დახვდა.

— წავიდეთ! — თქვა ჭაბუკმა.

— კარგი ფილმია? —ჰკითხა ნანამ.

— არ ვიცი, აქებენ. რვიანზე ვერ ვიშოვე, ათზე შევიდეთ! მანამდე ბაღში გავისეირნოთ.

კინოთეატრიდან გამოსულმა გოჩამ შეყვარებული სახლამდე მიაცილა.

ღამის ორ საათზე, როცა ყველას ეძინა, გოჩას სახლის კარზე კაკუნი გაისმა.

— ვინ არის ამ შუაღამისას?

— მე ვარ, ბიკენტი, — მოისმა გარედან.

„ნანას მამაა. ნეტავ რაშია საქმე?" — გაიფიქრა გოჩამ, სასწრაფოდ გადაიცვა და კარი გააღო.

— ნანა აქ არის?

— ნანა? აქ რა უნდა?! ის ხომ წუხელ, თორმეტ საათზე დაბრუნდა შინ. მე თვითონ მივაცილე ჭიშკრამდე.

— რას ამბობ, აბა რა დაემართა?! — დაიბნა ბიკენტი.

სამი დღე ამაოდ დაეძებდნენ ნანას და მეოთხე დილით, როცა დედამისი ჭიდან წყალს იღებდა, რაღაც წამოედო ვედროს, სასწრაფოდ ჩაუშვეს კაცი ჭაში და წყლიდან ქალიშვილის დასახიჩრებული გვამი ამოიღეს. ექიმმა დაადასტურა, რომ მკვლელმა ჯერ გაგუდა ნანა და შემდეგ კი ჭაში ჩააგდო.

მკვლელობის საქმის შესწავლა პროკურატურის ყველაზე საუკეთესო გამომძიებელს მიანდეს. მან უპირველესად დაადგინა იმ პირთა ვინაობა, რომლებიც იმ საღამოს ბოლო სეანსს ესწრებოდნენ.

დაკითხულთა შორის აღმოჩნდა სამი ისეთი მოწმე, რომლებიც ამბობდნენ, იმ საღამოს ნანა გოჩას არ მოსცილებიაო. ისიც თქვეს, რომ ბიჭი ხმამაღლა ეჩხუბებოდა ქალიშვილს, ვიღაც ტარიელს უხსენებდა, ორივეს მოკვლით ემუქრებოდაო. ერთი მოწმე იმასაც კი ირწმუნებოდა, ჩემი თვალით დავინახე ჭიშკართან როგორ გაარტყა გოჩამ ქალიშვილს, მან კი სახეზე ხელი აიფარა და აქვითინდაო.

ოჯახში ბოლო არ უჩანდა ტირილსა და მოთქმას; გოჩა გაოგნებული იყო, კუბოს წინ დადგებოდა და საათობით მიაშტერდებოდა მიცვალებულს, რომელიც ოთახის შუაგულში ესვენა. უძილობისაგან მოთენთილი, მისუსტებული, დღითიდღე ჰკარგავდა ფერს. სულ რამდენიმე დღეში ჩამოხმა და თმაში ჭაღარა გაერია. მის ყურამდე ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ მითქმა-მოთქმას, რომელმაც ელვის სისწრაფით მოიარა მთელი ქალაქი.

ჭაბუკს სული ეხუთებოდა, ვერსად ვერ ეტეოდა, წყევლიდა იმ დღეს, როცა კინოში წასვლა გადაწყვიტეს. თავის თავისათვის ვერ ეპატიებია ის, რომ ნანა ოთახის კარამდე არ მიაცილა და ჭიშკრიდან გამობრუნდა უკან.

თვალებჩაცვენილს, წელში მოხრილს არც შეუმჩნევია, რომ ყველა ზიზღითა და სიძულვილით უყურებდა.

— უნამუსო!

— სასიკვდილე!

— მე მკითხეთ მაგათი ოჯახის ამბავი, — ქაქანებდა ერთი მანდილოსანი, — დედამისი სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა, ამბობდნენ, ქმარმა მოწამლაო. შვილი როგორღა გამოვიდოდა წესიერი!

ნანას დასაფლავების მეორე დღეს გოჩა დააპატიმრეს. ყრუ კედლებში, თავის თავთან მარტოდ დარჩენილი შფოთავდა, მთელი ოცდაოთხი საათი უძილოდ ეგდო. ბოლოს მოითენთა, უფრო ჩამოჭკნა და აზროვნების უნარიც კი წაერთვა.

დღეში ორჯერ მიჰყავდათ გამომძიებელთან. უსიტყვოდ იჯდა. მას გამომძიებლის არც ერთი სიტყვა არ ესმოდა, მაგრამ ყველაფერზე „ჰოს" უპასუხებდა, მორჩილად ასრულებდა ყოველ ბრძანებას. ასევე გულცივად შეხვდა იგი მოწმეებთან შეპირისპირებას.

— ადასტურებთ თუ არა მოწმეთა ჩვენებას?

— დიახ! — დაიჩურჩულა ბრალდებულმა.

— რატომ მოჰკალით ქალიშვილი?

— მოვკალი? მე მოვკალი?

— ნუ თვალთმაქცობთ. აღიარეთ, გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

— დამნაშავე ვარ...

პატიმარმა დაკითხვის ოქმზე ხელი მოაწერა.

სულ მალე საქმე გაირჩა. სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

* * *

გაიარა დრომ, ნანას მკვლელობის გარშემო ატეხილი ხმაური თანდათან მინელდა და ბოლოს ეს ამბავი დავიწყებას მიეცა.

ცხოვრება ცხოვრებაა, ადამიანი ყოველგვარ ჭირსა და უბედურებას ურიგდება, ეჩვევა.

ასე დაემართა ბიკენტისაც. კვლავ დადიოდა სამსახურში, აკეთებდა დავალებულ საქმეს, და როცა შვილი გაახსენდებოდა, მწარედ ამოიოხრებდა და იტყოდა:

— ეჰ, ალბათ, ასეთი ბედი ეწერა!

იმ დღეს ჩვეულებრივ ადრე მოვიდა სასამართლოში. წინა დღით მიღებული საქმეები გადაათვალიერა. უცბად ნაცნობ გვარს მოჰკრა თვალი.

„ფალავა, — გაიელო გულში, — ცნობილი რეციდივისტი, არაფერი ეშველა მის გამოსწორებას". კარგად ახსოვს — თორმეტი წელიწადი მიუსაჯა ყაჩაღური თავდასხმისათვის. ამ რამდენიმე თვის წინათ კი დღისით, მზისით, მგზავრები გაძარცვა. ერთმა მათგანმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა და ფალავამ დანით მკერდი გაუპო, შემდეგ მიიმალა, მაგრამ იპოვეს და დააპატიმრეს.

მძარცველის გასამართლების დღეც დადგა. ბრალდებულს მშვიდად ეჭირა თავი. ყოველ კითხვაზე აუღელვებლად იძლეოდა პასუხს, საბრალდებო სკამზე იჯდა და ხან მოსამართლეებს, ხანაც დარბაზში მსხდომთ გადახედავდა და გაიბოლებდა.

ყველაფერი ნათელი იყო. პროკურორმა დამნაშავის დახვრეტა მოითხოვა.

სასამართლოს თავმჯდომარემ სიტყვა ბრალდებულს მისცა. ბრალდებული წამოდგა, ერთი ჩაახველა და დაიწყო.

— ერთი წუთითაც არ მიფიქრია, შეწყალება ვთხოვო სასამართლოს. ან რა აზრი ექნებოდა ამას? არავითარი. მაგრამ ერთი რამ მინდა შევახსენო თავმჯდომარეს. პატივცემულო ბიკენტი! გახსოვთ, სულ პირველადაც ამ დარბაზში რომ გამასამართლეთ! გახსოვთ, ბატონო თავმჯდომარევ? მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. თქვენ არ შემიბრალეთ, და თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეთ. დავბრუნდი და აი ახლა სულ მალე დამთავრდება ყველაფერი, მაგრამ ნუ ფიქრობთ, ბატონო თავმჯდომარევ, რომ ვალში დაგრჩენოდეთ... დიახ, ის მანუგეშებს, რომ კარგად გადაგიხადე!

დარბაზი გაინაბა.

— გახსოვთ, თქვენი ქალიშვილი?! თქვენი სასიძოც გაიხსენეთ! შურისძიებით ანთებული, სასამართლოს რომ ევედრებოდით მკაცრად დაესაჯა დამნაშავე. მკვლელი მე ვიყავი, თქვენ კი უდანაშაულო კაცი გამოასალმეთ სიცოცხლეს.

მთელი დარბაზი გაოგნებული იყო, ხმა ვერავის ამოეღო.

ბრალდებულმა ხელი ასწია და დაუმატა:

— ახლა კი მშვიდად შემიძლია მოვკვდე...

* * *

შეცდომა ვის არ მოუვა, იტყვიან ხოლმე, მაგრამ აი რა ძვირად დაჯდა სასამართლოს ერთი შეცდომა.

ჩვენ აქ არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, თუ რაოდენ სიზუსტე და საზრიანობაა საჭირო საქმის გარჩევის დროს. ეს ყველაფერი ცხადზე უცხადესია.

ბიკენტი თვითონ მოსამართლე იყო; ცხადია შვილის საქმეს ის ვერ გაარჩევდა, მაგრამ მთელ ძიებას ხომ თვალს ადევნებდა; და გამწარებამ, სულიერმა ტანჯვამ და ტკივილმა, გასაგებია, რომ მას დროებით დაუკარგა საქმის ვითარებაში ზუსტად გარკვევის უნარი.

მის კოლეგებს რაღა დაემართათ? რატომ დაენდნენ ბრმად ცრუ მოწმეთა ჩვენებებს, არ გაითვალისწინეს შეყვარებული ახალგაზრდა კაცის სულიერი მდგომარეობა, კონტროლი ვერ გაუწიეს გამოძიების ხარისხს და დაღუპეს ახალგაზრდა კაცი.

სიმართლე რომ შეიტყო, ბიკენტი საბოლოოდ მოტყდა. იმ დღის შემდეგ ლოგინიდან ველარ წამოდგა, და ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

ასე დამთავრდა ეს მართლაც ძალზე იშვიათი და სამწუხარო ამბავი.



# პროგნოზები

პროგნოზები
პროგნოზები

ამბობენ, საჭადრაკო სტილი ადამიანის ხასიათს ასახავსო. თუ ეს ასეა, მაშინ ბორის სპასკი ერთგვარი გამონაკლისი ყოფილა. ცხოვრებაში საოცრად წყნარი და თავმდაბალი, იგი საჭადრაკო დაფაზე ნამდვილ ცეცხლს ანთებს. და სწორედ ამ „ცეცხლმა“ შთანთქა ისეთი „მატადორები“, როგორიც გელერი, ლარსენი და კორჩნოი არიან.

როცა მსოფლიო ჩემპიონობის მრავალი მაძიებლიდან რვა რეალური პრეტენდენტიღა დარჩა, ვინ მოსთვლის რაოდენ პროგნოზებს აკეთებდნენ მრავალრიცხოვანი წინასწარმეტყველნი! პრეტენდენტთა ასპარეზობის პირველ წრეში ერთმანეთს ხვდებოდნენ სპასკი-გელერი, კორჩნოი-რეშევსკი, ტალ-გლიგორიჩი და ლარსენ-პორტიში. იმდროინდელ პროგნოზებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ თითქმის არც ერთი არ გამართლებულა. მიმომხილველები ამტკიცებდნენ, რომ გელერი სძლევდა სპასკის. რა საბუთით?! სპასკი გადაილალა გაუთავებელი თამაშით და საკუთარი აღიარებით, მაღალი კვალიფიკაციის ხელოსანს უფრო ჰგავსო.

სპასკი რომ მეტისმეტად მრავალმხრივი მოჭადრაკეა, ეს ადრეც კარგად იყო ცნობილი, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე არავინ იცოდა, რომ ჭადრაკში ფაქტიურად „რამდენიმე სპასკი“ არსებობს. ახლა უკვე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ესოდენ უნივერსალური სტილის მოჭადრაკე არასოდეს ყოფილა. გადავხედოთ მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლის ეტაპებს. სპასკის პირველ მეტოქე გელერზე სამართლიანად ამბობენ, რომ მისი ფიგურები უკან არასოდეს იხევენ. როდესაც გელერი უტევს, მასთან ბრძოლა ძნელია. ამას დავუმატოთ საჭადრაკო თეორიის ბრწყინვალე ცოდნა, სტრატეგიული ნიჭი (ბოტვინიკის აზრით, ყველაზე საინტერესო დანაირნაირი იდეები თანამედროვე დიდოსტატთაგან სწორედ გელერს ებადება), ტაქტიკური ხედვა. ერთადერთი, რაც გელერს არ უყვარს, ხანგრძლივი და შეუპოვარი დაცვაა.

ერთი სიტყვით, სპასკიმ სამართლიანად დაასკვნა, რომ გელერთან მოგება მხოლოდ ერთი გზით, განუწყვეტელი შეტევით შეიძლებოდა და მან ბრძოლა ისეთი სიფიცხით წარმართა, რომ თვით ტალსაც კი შეშურდებოდა. რამდენჯერმე ასეთი გაბედული ტაქტიკა კინაღამ სრული მარცხით დასრულდა. საკმარისი იყო გელერს ცოტაოდენი ეფიქრა, რომ აუცილებლად მონახავდა სწორ სვლას და მოიგებდა კიდეც. მაგრამ აქ ყოველთვის საქმეში ერეოდა გელერის ძველი და ცუდი „მოკავშირე“ — ცაიტნოტი. მეტოქის გაბედული ჩანაფიქრის გამოცნობას ეს დიდოსტატი იმდენ დროს ანდომებდა, რომ შემდეგ რაღაც წამებში ლუპავდა 5 საათის ნაოფლარს. ესეც, რა თქმა უნდა, სპასკის ბრძნულ ტაქტიკაზე მეტყველებს — მან სწორედ საჭირო გასაღები მოარგო მეტოქეს.

გელერის გზიდან ჩამოშორების შემდეგ სპასკის წინაშე წარდგა არანაკლებ სახიფათო მეტოქე — ლარსენი. დანიელი დიდოსტატი, რომელსაც უდიდესი გაბედულების გამო ვიკინგი დაარქვეს, აღიარებულ იქნა 1967 წლის № 1 მოჭადრაკედ. როგორ უნდა ეთამაშო ლარსენს?! რა თქმა უნდა, ასეთი მზამზარეული რეცეპტი არ არსებობდა. „ვიკინგი“ დიდებულად უტევს, მშვენივრად იცავს თავს (ამაში იგი სრულიადაც არა ჰგავს გელერს), საუცხოოდ იცნობს თანამედროვე თეორიის მიღწევებს, მაგრამ მას მაინც ძველებურ, რომანტიკულ ვარიანტებს ამჯობინებს. თვით ლარსენი დარწმუნებული იყო, რომ სპასკის სძლევდა, შემდეგ მოიგებდა პრეტენდენტთა ასპარეზობის ფინალურ მატჩს და პეტროსიანს შეხვდებოდა; ასე ფიქრობდა არა მარტო ლარსენი. დანიელი დიდოსტატის საუცხოო ტრიუმფმა ჰავანაში, ვინიპეგში, სუსსა მაიორკასა და მონტე-კარლოში მას განსაკუთრებული შარავანდედი შეუქმნა.

ეტყობა, არა ერთი ღამე გაათიეს სპასკიმ და მისმა მწვრთნელმა ბონდარევსკიმ „ლარსენის საიდუმლოების“ გამოცნობაში. და როდესაც მალმეში (შვეცია) სპასკი-ლარსენის მატჩი დაიწყო, სპეციალისტებს ძირითადად მისი ფსიქოლოგიური მხარე აინტერესებდათ. „ვიკინგმა“ წააგო პირველივე სამი პარტია. ორთაბრძოლის ბედი თავიდანვე გადაწყდა და, ცხადია, ლარსენიც „ნოკდაუნში“ აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ მას სრულიად სხვა სპასკი ეთამაშებოდა. ეს ის დიდოსტატი როდი გახლდათ, რომელიც თავიდან ბოლომდე გაბედულად (ზოგჯერ მეტისმეტად აზარტულადაც) უტევდა გელერს. ასეთი ტაქტიკით ლარსენთან ვერაფერს გახდები. ის „სხვა სპასკი“ მეტისმეტად მდორედ ზლაზვნითა და ტაატით ებმოდა ბრძოლაში, თამაშს ისეთ ხასიათს აძლევდა, როგორიც ლარსენისათვის არ იყო სასურველი. გამოირკვა, რომ „ვიკინგი“ წონასწორობიდან გამოდის, როდესაც მეტოქე შეგნებულად „უფუჭებს თამაშს“, დაფაზე ცეცხლის კერებს აქრობს, გასაცვლელად დასდევს ფიგურებს, მოსალოდნელი ყაიმის საფრთხე ლარსენზე ისე მოქმედებდა, რომ იგი ამჯობინებდა წაგებას.

და აი ფინალური მატჩი, მესამე მეტოქე, კორჩნოი. უნდა ითქვას, რომ მოურიდებლობამდე გულახდილი კორჩნოი სრულიადაც არ მოელოდა სწორედ სპასკისთან შეხვედრას. მან ჯერ კიდევ აპრილში იწინასწარმეტყველა, რომ გელერი სძლევდა სპასკის. მაგრამ როდესაც სპასკიმ დამაჯერებლად განვლო ორი საფეხური, კორჩნოიმ განაცხადა: „სპასკი ტალზე ძლიერია და ჩემზე ძლიერიც. ამიტომ უფრო მაინტერესებს მასთან შეხვედრა“.

ჩვენ პირდაპირ გაგვაოცა კიეველი გულშემატკივრების თავისებურმა ფანატიზმმა. სპასკი-კორჩნოის პარტიები საღამოს 5 საათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე დარბაზში არც ერთი თავისუფალი ადგილი აღარ რჩებოდა, თუმცა საჭადრაკო გულშემატკივარი განა ყველგან ერთნაირი არ არის? ჩვენ აღარაფერს ვამბობთ თბილისელებზე, რომლებიც პირდაპირ ალყას არტყამდნენ რუსთაველის თეატრს ნონასა და ნანას გამარჯვების მოლოდინში. გავიხსენოთ, რას დაემსგავსა ბუენოს-აირესის უზარმაზარი აეროდრომი, რომელსაც რამდენიმე ათასმა კაცმა მიაშურა შეძახილით — „ვივა, პეტროსიან!“ ხომ საოცრად მშვიდნი ჩანან გარეგნულად გერმანელები! ლაიფციგის ოლიმპიადას „რინგ მესე ჰაუსში“ იმდენი მაყურებელი მიაწყდა, რომ თამაშიც კი დაბრკოლდა.

გამოგიტყდებით, კიევში მცირე ხნით ვიყავი ჩასული, მაგრამ აი დაიწყო ბრძოლა, რომელმაც ისე გამიტაცა, რომ ყველა საქმე გადავდე. თუმცა რა გაეწყობა! რას ვამტყუნებთ გულშემატკივრებს. ყველა მიმომხილველის სქელი აბჯრის ქვეშ ხომ მოყვარულისა და ქომაგის ცხელი გული ფეთქავს!

ეტყობა, კორჩნოი მეტად გაოცდა, როდესაც მის წინაშე „სულ სხვა სპასკი“ წარსდგა. ეს სპასკი დიდხანს არც უტევდა (როგორც გელერთან), არც „თამაშს აფუჭებდა“ (გავიხსენოთ შეხვედრა ლარსენთან), არამედ იშვიათ თავაზიანობას იჩენდა და მეტოქეს ურჩევდა თვით გადასულიყო შეტევაზე. შემდეგში კორჩნოიმ აღიარა, რომ სწორედ ასეთი ტაქტიკა აღმოჩნდა მისთვის ყველაზე უფრო უსიამოვნო. ლენინგრადელი დიდოსტატი დაცვისა და კონტრშეტევის ვირტუოზია. იგი თანახმაა საათობით მოიგერიოს მრავალრიცხოვანი მუქარა, ამასობაში კი არაჩვეულებრივ სიფხიზლეს იჩენს. კორჩნოის ღრმად სწამს, სადღაც მეტოქის ინიციატივა ამოიწურება. მაშინ მის ქუჩაზე იწყება ზეიმი. „ნელა იჩქარე“ — ამბობს ლათინური ანდაზა: კორჩნოიც იწყებს დინჯ, საგულდაგულოდ მომზადებულ შეტევას, ისე, რომ თამაშის ბოლო საათისათვის მოწინააღმდეგის პოზიციიდან ნამსხვრევებიღა რჩება. ასეთმა ტაქტიკამ კორჩნოის მრავალი პირველი პრიზი მოუტანა.

მაგრამ რა უნდა მოეხერხებინა კორჩნოის მეტოქისათვის, რომელიც მას არ უტევდა?! ლენინგრადელმა დიდოსტატმა თვით გადაწყვიტა გადასულიყო იერიშზე. „შეჩვეულს ნუ გადააჩვევო!..“ კორჩნოის ამ ახალი ტაქტიკიდან არაფერი გამოვიდა. ანგარიში კატასტროფულად იზრდებოდა და მატჩიც ისეთნაირად დამთავრდა, როგორც ორი დანარჩენი — სპასკის 3 ზედმეტი ქულა აღმოაჩნდა.

ახლა კი სიტყვა მივცეთ თვით კორჩნოის.

*როგორ მოხდა, რომ ასეთი ანგარიშით წააგეთ?*

მე სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდი ისეთი ბრძოლისათვის, რომელიც მატჩში მიმდინარეობდა და სასტიკად, გამანადგურებელი ანგარიშით წავაგე. ფაქტიურად მე არც ერთი პარტია არ მომიგია.

*როგორ, მეექვსეში ხომ გაიმარჯვეთ?*

იგი სპასკის ნამდვილი შედევრი იქნებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში ნერვებმა უმტყუნეს. ამ პარტიაში მან ფიგურის ბრწყინვალე პოზიციური შეტევა განახორციელა.

*ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკედ?*

რა თქმა უნდა, სპასკი!

*როგორ დამთავრდება პეტროსიან-სპასკის მატჩი?*

სპასკი დიდი ანგარიშით მოიგებს.

შეიძლება ვიფიქროთ, ეს ყველაფერი კორჩნოიმ ცხელ გულზე თქვაო, მაგრამ მომავალ ორთაბრძოლაში სპასკის უპირატესობას ბოტვინიკი და სმისლოვიც აღიარებენ.

რა შეიძლება ითქვას პეტროსიანის თამაშზე უკანასკნელი წლების მანძილზე? 1966 წელს მან დიდი მარცხი განიცადა „პიატიგორსკის თასზე“, შარშანწინ უფერულად გამოვიდა ვენეციაში, სადაც არც ერთი პირველხარისხოვანი დიდოსტატი არ თამაშობდა. შარშან ვერაფერს გახდა ბამბერგში, სადაც კერესს ორი ქულით ჩამორჩა. ამის მიზეზად ბევრ მიმომხილველს მსოფლიო ჩემპიონის სადებიუტო რეპერტუარის მოძველება მიაჩნია, ზოგი კი ფიქრობს, რომ იგი ცოტას თამაშობს და „ხმალი ქარქაშში უჟანგდება“.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ პეტროსიანი მაინც პეტროსიანად რჩება; იგივე ბოტვინიკი წერდა, რომ პეტროსიანის ფიგურები ყოველთვის მეტად თავისებურად არიან განლაგებულნი, — მათ ვერსაიდან მიუდგები. სპასკი გელერს უტევდა, დიდებულად აწარმოებდა „პრესინგს“ ლარსენთან, საოცრად გამოჰყავდა საკუთარი ციხე-სიმაგრიდან კორჩნოი. როგორ ითამაშებს იგი პეტროსიანთან? რა თქმა უნდა, აპრილისათვის სპასკი და ბონდარევსკი გაამჟღავნებენ თავიანთ მოსაზრებებს იმ პრობლემის გარშემო, რომელსაც „პეტროსიანი“ ჰქვია. საქმე ისაა, რამდენად მართებული იქნება ეს დასკვნა.

ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ პეტროსიანის უაღრესად თავისებური საჭადრაკო ნიჭი სწორედ მატჩებში მჟღავნდება. ხომ დასცა მან ბოტვინიკი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს პირდაპირ გოლიათურ ძალას! ხომ მოუგო მან სპასკის, თუმცა უმრავლესობას მსოფლიო ჩემპიონის შეცვლა გარდუვლად მიაჩნდა (თითქმის ისევე, როგორც დღეს!).

ერთი სიტყვით, მოგვლის არნახული შერკინება. ცოტა მოვიცადოთ, აპრილამდე განა დიდი დრო რჩება!

**გივი გამრეკელი**
(ჩვენი სპეც. კორ.).
კიევი — თბილისი.

# ჭრელი-ჭრელი ამბები



## პარტბილეთი № 1

არლინგტონში, ვაშინგტონის სულ ახლოს, სალამოობით პროჟექტორები მკაფიოდ ანათებენ ერთი სახლის შესასვლელს, სადაც სვასტიკიანი ალამი და ჰიტლერის პორტრეტია გადმოკიდებული. კარებთან დგას დაცვა — ყავისფერხალათიანი მოიერიშენი, რომელთა სახელოებზე სვასტიკაა გამოსახული.

როცა ამერიკაში ნაცისტური პარტია შექმნეს, მისმა ყოფილმა „ფიურერმა" როკუელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ პარტიის ნამდვილი ხელმძღვანელია ის პიროვნება, რომელსაც № 1 პარტიული ბილეთი აქვს. მან უარი თქვა დაესახელებინა ეს პიროვნება, მაგრამ გადაკვრით მიანიშნა, რომ იგი „ამერიკის მდიდარი და გავლენიანი მოქალაქეა". აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჰიტლერი თავისთავად როდი გამხდარა ჰიტლერად, მასაც ჰყავდა მაგარი დასაყრდენი და მფარველები.

ფაშისტები მთელ ქვეყანაში დაძრწიან, აწყობენ „მოიერიშეთა რაზმებს", ემზადებიან მხოფლიოს ახალი „წმენდისათვის". დ. როკუელმა ჩიკაგოს ყველაზე დიდ დარბაზში წარმოთქმულ სიტყვაში 1966 წელს განაცხადა: „მომეცით ექვსი წლის ვადა და 1972 წელს მე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვიქნები".

დარბაზში გაისმა შეძახილები: „ზიგ ჰაილ!" „უაიტ პაუერ"; ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ჰიტლერის შავბნელ დროს.

მაგრამ ამერიკელ ნაცისტთა მეთაურს იმედები არ გაუმართლდა: 1967 წლის 25 აგვისტოს იგი მოჰკლა ერთ-ერთმა მისმა ხელქვეითმა. ეს მკვლელობა მოხდა მაშინ, როცა როკუელი გამოდიოდა ნაცისტური პარტიის შტაბბინიდან ვაშინგტონის ახლოს.

ახლა „ჯონ ბერჩის საზოგადოების" წევრები აგრძელებენ მის ბნელ საქმეებს.



## ქალაქი, რომელსაც მერი არ ჰყავს

ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი პირველად ნიუ-იორკი იყო, შემდეგ — ფილადელფია. როცა ახალი დედაქალაქისათვის შეარჩიეს ადგილი, ძირითადი ყურადღება გეოგრაფიულ მდებარეობას მიაქციეს, მისი კლიმატური თავისებურება კი მაშინ მხედველობიდან გამორჩათ. მოხდა ისე, რომ რუკაზე შერჩეული ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ყველაზე ნოტიო და მცხუნვარე აღმოჩნდა.

ვაშინგტონი, რომელიც ამერიკის დედაქალაქია 1800 წლიდან, მსოფლიოში ერთადერთი ქალაქია, რომელსაც თავისი მმართველობა არ ჰყავს. ქალაქის მერად ამერიკის პრეზიდენტი ითვლება, ქალაქის საბჭოს ფუნქციებს კონგრესი ასრულებს. ვაშინგტონი მიეკუთვნება კოლუმბიის რაიონს, რომელიც არც ერთი შტატის შემადგენლობაში არ შედის. ამ რაიონის მცხოვრებლებს ხმის უფლება არა აქვთ.

დიდი ხანია ლაპარაკობენ იმაზე, რომ საჭიროა ახალი კანონი, რომლითაც ვაშინგტონელები მიიღებენ უფლებას აირჩიონ სენატორები, პრეზიდენტი, კონგრესმენები; ქალაქის მცხოვრებლებს უნდათ, რომ ჰყავდეთ თავიანთი თვითმმართველობა, მაგრამ ამერიკაში არიან ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ კანონიერ სურვილს: მათ ეშინიათ, ვაი თუ თვითმმართველობის საარჩევნო ორგანოებში გავლენა მოიპოვონ ზანგებმა; ზანგები ხომ ვაშინგტონის მოსახლეობის 57 პროცენტს შეადგენენ.



## ბავშვი თქვენია

ჰოლივუდის მხატვარი-დეკორატორი ბერნარდ ფილიპსი საავადმყოფო „ნორტში" გაეშურა, რომ შინ წამოეყვანა თავისი ახლად შეძენილი ვაჟიშვილი და მეუღლე, რომელმაც მას მემკვიდრე აჩუქა; ბავშვი ჯანმრთელი იყო, ცოლი ბედნიერი, ოჯახის უფროსის განწყობილება — საუკეთესო, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა: ფილიპსს 50 დოლარი დააკლდა, რომ საავადმყოფოს ხარჯები დაეფარა.

— ბავშვს მაშინ მიიღებთ, როცა ვალს გაისტუმრებთ! — განუცხადეს ბედნიერ მამას.

წონასწორობიდან გამოსული მამა შეეცადა ძალით ჩაეგდო ხელში თავისი საკუთარი შვილი. არაფერი გამოუვიდა. ფილიპსი იძულებული გახდა სასამართლოსათვის მიემართა.

ვიდრე სასამართლო პროცესი გრძელდებოდა, ბავშვის შენახვის ხარჯები იზრდებოდა. ბოლოს, სასამართლომ, როგორც იქნა, დაადგინა, რომ... სადავო ბავშვი ნამდვილად ბერნარდ ფილიპსის შვილია.

— მე ხომ ამის დასადგენად არ მოვსულვარ სასამართლოში! მე უთქვენოდაც ვიცი, რომ ბავშვი ჩემია, — გაიძახოდა გაოგნებული მამა, — მე მინდა, ჩემი შვილი ჩემთან იყოს სახლში...

ეს ამბავი იმიტომ გახმაურდა, რომ ჰოლივუდში მოხდა. სხვა ათასობით მსგავსი შემთხვევა კი ყველასათვის შეუმჩნეველი რჩება.



## სად შეიძლება ითამაშო ბანქო

აზარტული სათამაშოები ამერიკაში კანონით აკრძალულია. ვისაც მაინცდამაინც უნდა, რომ ითამაშოს, შეუძლია გაემგზავროს მონტე-კარლოში, სადაც მოთამაშეებისათვის ყოველგვარი პირობებია შექმნილი, მაგრამ განა შეუძლია ადამიანს, რომ ყოველ კვირას ოკეანეს იქით გადაფრინდეს?

საიდუმლო სათამაშო ადგილებში მისვლა სოლიდური საქმოსნებისა და მათი ცოლებისათვის სახიფათოა: არ არის იმის გარანტია, რომ მოულოდნელად პოლიცია არ წამოგადგება თავზე და გაზეთები არ ალაპარაკდებიან შენზე.

გამოსავალი მაინც მოინახა: თამაშის მოყვარული მილიონერები ახლა ფოსტით იღებენ შეტყობინებას, რომ ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილზე გაიმართება „მაღალი ცის" კლუბის წევრების შეკრება.

კლუბის წევრები მინიშნებულ აეროდრომისაკენ მიეშურებიან, თვითმფრინავში სხდებიან და მფრინავი, როცა მანქანას ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო სივრცის საზღვრებიდან გაიყვანს — ბანქოს თამაშს იწყებენ. მფრინავი კაზინო ერთდროულად 30-40 ადამიანს ემსახურება.

როცა თვითმფრინავი უკან ბრუნდება და შორიდან ნიუ-იორკის ჩირაღდნები გამოჩნდება — თამაში წყდება. კლუბის ორგანიზატორები ყოველ ასეთ „გამსვლელ სესიაზე" 60 ათას დოლარს იღებენ. სამაგიეროდ მოთამაშეები მშვიდად გრძნობენ თავს — მათ ხომ სახელმწიფო კანონი არ დაურღვევიათ.



## კატების საერთაშორისო კვირეული

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იმართება „კატების საერთაშორისო კვირეული". როგორც მათემატიკის ერთმა მოცლილმა პროფესორმა გამოიანგარიშა, ამერიკაში ამჟამად 21 მილიონი კატაა, მათი დიდი უმრავლესობა „სასარგებლო საქმიანობას" ეწევა — თაგვებს ანადგურებს, 14 პროცენტი კი უსაქმურად და უდარდელად ცხოვრობს.

„კატების საერთაშორისო კვირეულის" ძირითადი დანიშნულება არის, რომ მომუშავე კატებისათვის ეს კვირა შეღავათების დღეები იქნება.

ამერიკის ცალკეულ შტატებში არსებობს კანონი, რომლის მიხედვით სასტიკად იკრძალება კატების ბინიდან გამოსახლება და ქუჩაში გაყრა. ეს კანონი ამას წინათ მოხერხებულად გამოიყენა ერთმა ამერიკელმა მოქალაქემ. როცა სახლის პატრონმა ბინის ქირა გაადიდა, ამ მოქალაქემ 57 კატა იყიდა, გაწვრთნა და შემდეგ სხვა ადგილას გადავიდა საცხოვრებლად.

კატები, როგორც ცნობილია, ძაღლების მსგავსად, თან არ მისდევენ პატრონს და ძველ ადგილზე რჩებიან საცხოვრებლად. სახლის მეპატრონე დღემდე ვერ განთავისუფლებულა ამ კატებისაგან. მას ეშინია, დაარღვიოს ცხოველთა დაცვის კანონი და 57 კატა ქუჩაში გაყაროს. ამას ხომ დიდი აურზაური და მისი დაჯარიმება მოჰყვება!

ჭრელი-ჭრელი ამბები

# კაცი ხელგაშლილი უნდა იყოს

ღამის თორმეტი საათია. ტრამვაი საათში ხუთი კილომეტრის სიჩქარით მიჭაყჭაყებს. ვატმანს ძილი ერევა, თავს ჩაქინდრავს, მაგრამ ჭაყჭაყი დაძინების საშუალებას არ აძლევს. კონდუქტორს მაგრად ჩაუბღუჯავს ბილეთების გორგალი და თავჩაქინდრული ღრმა ძილს მისცემია. ზოგჯერ ძილში თავისთვის ჩაიბურტყუნებს: — გაიარეთ, ამხანაგებო, გაიარეთ, — და ისევ განაგრძობს ფშვინვას. ვაგონში მხოლოდ ორი მგზავრია: საშუალო ხნის კაცი და ახალგაზრდა.

— ბოდიში, სიგარეტი ხომ არ გექნებათ? — სთხოვს ჭაბუკი შუახნის კაცს.

— სიგარეტი?.. როგორ არა მაქვს. ეგ თუ არა მაქვს, აბა მაშინ რა მაქვს? — ამბობს კაცი და სიგარეტს აწვდის. ახალგაზრდა ერთ ცალს იღებს და პირში იჩრის.

— დაიჭი, სულ აიღე, — ეუბნება კაცი.

— არა, როგორ გეკადრებათ, მხოლოდ ერთი ცალი მინდოდა.

— კაცო, რომ გეუბნები, გამომართვი!

— რას ბრძანებთ, მე მხოლოდ ერთი ცალი გთხოვეთ.

— კაცო, როცა გეუბნები, დამიჯერე, არ გამომიყვანო მოთმინებიდან, აიღე! — ახალგაზრდამ კოლოფი გამოართვა.

— ძალიან დიდი მადლობა.

— მე სახლში კიდევ მაქვს, შენ დაგჭირდება, მოსწიე, — ამბობს კაცი.

— ყიდვა მინდოდა, მაგრამ ყველაფერი დაკეტილია...

— გასაგებია, მოსწიე, შეგერგოს.

— მაპატიეთ, რომ ასე...

— რას მებოდიშები, შე კაი კაცო! მწეველი თუ მწეველს არ დაეხმარა, ისე როგორ იქნება?! კაცი გულგაშლილი, ხელგაშლილი უნდა იყოს. გაგონილი გექნება, ირემმა ირემს ბალახი გაუწოდაო. ჰოდა, მწეველმა მწეველს სიგარეტი უნდა დაუჭიროს?

— ძალიან დიდი მადლობა.

— ამას წინათ ქუჩაში მივდიოდი. ვხედავ კაცი მოდის. სიგარეტი ვთხოვე. ამოიღო და ერთი ცალი აღმოჩნდა კოლოფში. ეს მე თვითონ მინდაო, მითხრა. დავიბოღმე, მაგრამ რას იზამ? აბა ის კაცია, მითხარი?

— არა, რა თქმა უნდა...

გაჩუმდნენ.

— აი, შენ გიცქერ და სულ ჩემი ბიჭი მაგონდება. შენხელაა, ისიც ეწევა ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეჰ, — ამბობს ცოტა ხნის მერე შუახნის კაცი, — ერთი კოლოფი სიგარეტი რა არის, რომ კაცს დაენანოს. არ შეიძლება სიგარეტის დაკავება... ხომ ასეა, რასაც გასცემ, შენია...

— რა თქმა უნდა, ასეა.

— უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, ამაშია საქმე, ხომ მართალი ვარ?

— მართალი ბრძანდებით.

— ჰოდა, ისეთ დღეს როგორ არ მოვესწრები, რომ სადმე შეგხვდე და ერთი სიგარეტი გთხოვო. მთა მთას არ შეხვდება, ხოლო კაცი კაცს შეხვდებაო, ნათქვამია. შევხვდებით და, მე თუ არ მექნა, შენ დამეხმარები. ხომ მართალს ვამბობ?

ახალგაზრდამ არაფერი უპასუხა.

სიჩუმე.

— დიდი ხანია ეწევი? — ჰკითხა კაცმა.

— ათი წელია.

— დიდი სტაჟი გქონია. აბა, ათი წლის სტაჟის მქონე კაცს მე სიგარეტს დავუკავებ?.. რა არის ერთი კოლოფი სიგარეტი, რომ ის დაგენანოს. სწორია, თუ არა?

— სწორია, სწორი!.. — დაიბოღმა ახალგაზრდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— კაცი ხელგაშლილი უნდა იყოს, არაფერი არ უნდა დაინანო, თუ გინდა ახლავე პერანგს გავიხდი და ჩაგაცმევ... — შუახნის კაცმა ღილების გახსნა დაიწყო.

ახალგაზრდა წამოხტა.

— აი, ბატონო, თქვენი სიგარეტი და ძალიან დიდი მადლობა, — თქვა მან და კარისკენ წავიდა.

— დაიცა, კაცო, სად მიდიხარ? რამე ხომ არ გეწყინა?.. — დაუძახა კაცმა, მაგრამ ახალგაზრდა უკვე ჩავიდა, თუმცა მისი სახლი ჯერ კიდევ შორს იყო.

ღამის პირველის ნახევარია. ვატმანს ჩაეძინა. ტრამვაი საათში ათი კილომეტრის სიჩქარით მიჰქრის და ვატმანს მეტრო ესიზმრება. კონდუქტორი ღრმა ძილს მისცემია. მას მგზავრებით გატენილი ვაგონი ესიზმრება. ვაგონში მხოლოდ ერთი მგზავრია. იგი სიგარეტს ეწევა და ფიქრობს: „რა ვაწყენინე ახლა მე იმ კაცს?!“

**სიმონ ჯაფარიძე**

გარეკანის პირველ გვერდზე: მოთხილამურე. მეოთხე გვერდზე მგზავრობის წინ. ფოტოები თენგიზ ფურცხვანიძისა.
ჩანართის პირველ გვერდზე: გამოდარება. მეოთხე გვერდზე: შუამთა. ფოტოები ოთარ თურქიასი.

# ერთხელ, ერთმა კაცმა...

## მოულოდნელი თოვლი

ერთხელ, ერთმა კაცმა ვეება მინდორი გადახნა და სიმინდი დათესა. ზაფხულში, სიმინდის ყანა რომ მომწიფდა, ერთ დღეს ისე ჩამოცხა, ისე ჩამოცხა, რომ სიმინდის მარცვლები დასკდა და ბატიბუტმა მთელი მინდორი გადაათეთრა. იქვე, ყანის ახლოს ცხენები სძოვდნენ ბალახს. გადათეთრებული მინდორი რომ დაინახეს, იფიქრეს თოვლი მოსულაო, და ისე შესცივდათ, საცოდავები იქვე გაიყინენ.

## ზარმაცი

ერთ ქვეყანაში, ერთი კაცი ისე გაზარმაცდა, რომ ხელის განძრევაც კი ეზარებოდა. მეზობლები სამადლოდ აძლევდნენ საჭმელს, ბოლოს მობეზრდათ და გადაწყვიტეს — დავმარხოთო. დააწვინეს ფორანზე და მიაქვთ სასაფლაოსაკენ. გზაში ერთი კაცი შემოხვდათ, ჰკითხა ეგ უბედური სად მიგყავთო? მეზობლებმა უთხრეს, გვინდა დავმარხოთ, მაინც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობაო. გამვლელს შეეცოდა ზარმაცი და თქვა— ნუ დამარხავთ და მაგის საზრდოდ ერთ ტომარა თხილს მე მოგცემთო.

ეს რომ გაიგონა, ზარმაცმა თავი ასწია და იკითხა:

— თხილი დატეხილი და გარჩეულია?

— არა.

— არ მინდა, წამიყვანეთ სასაფლაოზე! — თქვა ზარმაცმა.

## რეგვენი სუფრასთან

ერთხელ, ერთი რეგვენი სტუმრად დაპატიჟეს. დაიწყო ნადიმი, სუფრა სავსე იყო ნაირ-ნაირი საჭმელებით. ზოგი კერძი ახლოს იყო, ზოგი შორს. რეგვენი წამოდგებოდა ხოლმე, გადაწვებოდა მთელ მაგიდაზე და ისე აიღებდა საჭმელს.

— ენა არა გაქვს? — ჰკითხა გვერდით მჯდომმა რეგვენს.

— ენა კი მაქვს, მაგრამ ხელი უფრო გრძელი არ არის? — უპასუხა რეგვენმა.

(წიგნიდან „ამერიკული ფოლკლორი“)

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/I-69 წ. გამომც. № 131. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 43.700. შეკვ. № 155. უე 01963

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



მთათუშეთის პეიზაჟი.

ფოტო ო. თურქიასი და ბ. დადვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა

